PRIME Time

N39 (340) ორშაბათი, 5 ოქტომბერი, 2015 წ.

ყოველკვირეული გაზეთი

ფასი 2 ლარი

www.ptpress.ge



„ვინმეს ნათესაობა არ შეიძლება რაიმე პრივილეგიას წარმოადგენდეს... იმედი მაქვს, რომ ყველა კანონდამრღვევი სათანადოდ დაისჯება“

# ვის დაუქნია თითი ბიძინა ივანიშვილმა

## ძალადობის შემზარავი ფაქტები



ჩამორთმეული დედობის უფლება და მიტოვებული ბავშვები

EXCLUSIVE



## არველაძე კობიაშვილს გამარჯვებას ულოცავს

# ექსკლუზივი

## ექსკლუზიური ინტერვიუ რომან ფიფიასთან



„მამაჩემი გაგრაშია დასაფლავებული. რამდენჯერმე შემოგვთავაზეს გადმოსვენება. ეს წარმოუდგენელი რაღაცაა. ამის გაკეთება ჩემთვის აფხაზეთის საბოლოოდ დაკარგვას ნიშნავს“

EXCLUSIVE

## მამუკა გამყრელიძე: „ივანიშვილი სერიოზული მოთამაშეა, მასთან თამაში რთული იქნება“



EXCLUSIVE

ევექსი
სამედიცინო კორპორაცია

გლდანში, თბილისის მასშტაბით, „ევექსის“ რიგით მეორე სამედიცინო ამბულატორია გაიხსნა

Prime Time EXCLUSIVE

## დახურული სოციოლოგიური კვლევები



„ნაციონალების მხარდამჭერის მაჩვენებელი 15 პროცენტს არ ასცდება, ბურჯანაძე-ინაშვილის ელექტორატი კი 10 პროცენტის ფარგლებში იმერყევებს“

## პარტიების შანსები და რეიტინგები



EXPERIMENT

## რამდენ ხანს ანდომებს ქვეითი ზებრაზე გზის გადაჭრას

Prime Time



## „კომპრომატებით ბრძოლას აქვს დადებითი მხარეც“

## გენმოდიფიცირებული პროდუქტი ბაზარში არ მოწმდება

EXCLUSIVE



„ამას ჩვენ ვერ ვაკონტროლებთ“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# მშობლის უფლებების ჩამორთ

**დედამ ახალდაბადებული შვილი სამშობიაროს ტუალეტის ფანჯრიდან გადააგდო**

**გიორგი კუპრეიშვილი: „ჩამორთმევა ეს არის უკანასკნელი ზომა, რომელიც შეიძლება მშობლის მიმართ მიიღო“**




გიორგი ურუშაძე

**219 - არ არის ჩვეულებრივი რიცხვი, ამის უკან ამდენივე მშობლის ჩამორთმეული უფლება და ამდენივე მიტოვებული ბავშვი დგას. სტატისტიკა 2009 წლიდან იღებს სათავეს და საქართველოს მთელ ტერიტორიას მოიცავს. მძიმე ისტორიები და კიდევ უფრო მძიმე სოციალური გარემო, პატარა ადამიანების უბედურების მიზეზი ხდება ხოლმე. რთულად მოსასმენი შემთხვევები, რომლებიც მშობლის უფლების ჩამორთმევის წინაპირობა გახდა, დღეს ჩვენი სტატიის მთავარი თემაა. მათი დანაშაული არაფერია, გარდა იმისა, რომ დაიბადნენ იქ, სადაც უარყვეს.**

**ისტორია ნომერი I**

მშობლისგან უარყოფილი 7-8 წლის დედმამიშვილი თავის დროზე დედამ უარყო. თუმცა, მანამდე, ჯერ იყო ძალადობა. ისინი მშობელთან ერთად ცხოვრობდნენ და სხეულზე სილურჯეები მათი ყოველდღიურობის ნაწილი იყო. ნაცვლად იმისა, რომ ლურჯი ცა, ფანქრებით ფურცელზე აღებეჭდათ, ის მათი სხეულის ნაწილი ხდებოდა. დედის მხრიდან ძალადობა ჯერ ბებიამ შეამჩნია, შემდეგ კი უკვე სკოლის დირექციამაც. პოლიციისა და სოციალური მუშაკების ჩართულობამ ბავშვები გადაარჩინა და სხეულიდან ლურჯი ფერებიც გაუქრო. რეაბილიტაციის პროგრამით ისინი ბებიასთან გადავიდნენ და დიდი ალბათობით, ლურჯი ცის მოხატვაც დაიწყეს. დედას, ფსიქიკური პრობლემები დაუდგინდა, ეს მას შემდეგ დამტკიცდა, რაც სხვა შვილებიც გააჩინა და თავშესაფარში საოცარი ქმედებები გამოავლინა. ის ამჟამად რეაბილიტაციის კურსს გადის. თუმცა, საქმიდან გამომდინარე, ბავშვების დედასთან დაბრუნების შანსები მინიმუმია.

**ისტორია ნომერი II**

10 წლის გოგონაზე დედა და ბებია ძალადობდნენ. ფიზიკური და სექსუალური ხასიათის, არა აქტით გამოხატული ძალადობა ამბის მთავარი უკიდურესობაა. დედა, მსუბუქი ყოფაქცევის ქალბატონი, შვილს სექსუალური ხასიათის სურათებით „ანებივრებდა“ და ამით, მის სექსუალურ განათლებაზე „ზრუნავდა“. ბებია კი მის ფიზიკურ მდგომარეობას ცემით „აუმჯობესებდა“. ინფორმაცია ამ ოჯახური „სიკეთეების“ შესახებ გოგონას ნათლიამ გააჟღერა, ის სახალხო დამცველსა და სოციალურ მუშაკებს დაუკავშირდა. ბავშვი ოჯახიდან საპატრულო პოლიციის დახმარებით გამოიყვანეს და დაიწყო მისი გაშვილების პროცესიც. დედა ერთხელ ეცადა დაბრუნებას, თუმცა მას დადებითი რეკომენდაცია საკუთარი ქმედებების არგამოსწორების გამო, არც ერთმა სოციალურმა მუშაკმა არ მისცა. გოგონა ახლა მცირე საოჯახო ტიპის სახლში იზრდება და თავს ბედნიერად გრძნობს.

ისტორიები აგებულია დიდუბე-ჩუღურეთის სოციალური მომსახურების სააგენტოს, უფროსი სოციალური მუშაკის ნატო ჩაფიძის მონაყოლზე.

**ისტორია ნომერი III**

ის თავად იყო ბავშვთა სახლის აღსაზრდელი. თუმცა, გამოცდილება აქ მწარე გაკვეთილის მაგალითად არ ქცეულა. ორი შვილი გააჩინა, ორივე სხვადასხვა მამაკაცისგან. სუსტი ყოფაქცევის ქალის სტატუსიც მიიღო და ვერის ბაღი ღამის გასათევ ადგილად, ხოლო, ალკოჰოლი და ნარკოტიკი ყოველდღიურობის ნაწილად აქცია. დედათა და ჩვილ ბავშვთა თავშესაფრიდან გაპარვები არ იკმარა, როდესაც 10 თვის უმცროსი შვილი საავადმყოფოში უყურადღებოდ დატოვა. ეს სოციალური მუშაკებისთვის სრულიად საკმარისი აღმოჩნდა, რომ ბავშვი მიმღებ ოჯახში გადაეყვანათ. დედა თავიდან გაცხარდა, თუმცა, რამდენიმე დღეში მეორე შვილიც სოციალურ სამსახურს მიაბარა. და-ძმამ მიმღებ ოჯახში ცხოვრება ერთად დაიწყო. სოციალური სამსახური ყველა ღონეს ხმარობდა, მშობლის გასაძლიერებლად, თუმცა დედამ ბავშვების სიყვარულის მიუხედავად, ცხოვრების წესის შეცვლა ვერ შეძლო. 3 წლის შემდეგ თურქეთში სამუშაოდ 2 წლით გადაიხვეწა. შვილები კი უყურადღებოდ დატოვა. სწორედ ამ დროს დაიწყო მუშაობა მშობლის უფლებების ჩამორთმევაზე და ეს, საბოლოოდ, ასეც მოხდა. დედამ სასამართლოს უწყებაზე რეაგირება არ მოახდინა და ფაქტობრივად, საკუთარი შვილები საკუთარი ნებითვე დათმო. ბავშვები წესის მიხედვით გაშვილდნენ და ახლა, ბედნიერად ცხოვრობენ.

**ისტორია ნომერი IV**

დედამ ახალდაბადებული შვილი, სამშობიაროს ტუალეტის ფანჯრიდან გადააგდო. ბავშვი გადარჩა. სასამართლოს მშობლის უფლება არ ჩამოურთმევია, რადგან დედამ განაცხადა, რომ ის აფექტურ მდგომარეობაში იყო. თუმცა, სისხლის სამართლის საქმე აღიძრა და ქალბატონი ციხეში რამდენიმე წლით მოხვდა. თავის დროზე აფექტურ მდგომარეობაში მყოფმა დედამ, ციხეში ყოფნისას, შვილი აღარ მოიკითხა. არადა, სოციალურ მუშაკს მისი მიყვანის შესაძლებლობა ჰქონდა. ციხიდან გამოსვლის შემდეგაც, ბავშვის ბედით არ დაინტერესებულა. ეს კი ობიექტური გარემოებების მიხედვით, მშობლის უფლების ჩამორთმევის წინაპირობა გახდა. მშობლის ციხიდან გამოსვლის 2 წლის თავზე, ბავშვს მიტოვებულის სტატუსი მიენიჭა და დაიწყო მისი გაშვილების პროცედურა. იგი ჯერაც არ გაშვილებულა.



ისტორიები აგებულია ისანი-სამგორის სოციალური მომსახურების სააგენტოს უფროსი სოციალური მუშაკის მანანა კობახიძის მონაყოლზე.

ეს მშობლის უფლებების ჩამორთმევის და ბავშვებზე ძალადობის მხოლოდ ნაწილია, ხომ გახსოვთ, ასეთი შემთხვევები ბოლო 6 წლის განმავლობაში ზუსტად 219-ია. სწორედ ამიტომ, გაზეთი „პრაიმტაიმი“ ჯანდაცვის სამინისტროს დაუკავშირდა. სოციალური მომსახურების სააგენტოს მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი გიორგი კუპრეიშვილი მშობლის უფლებების ჩამორთმევის წინაპირობებსა და ზოგადად, საკანონმდებლო ბაზაზე გვესაუბრა.

როგორც გაირკვა, სამართლებრივად არსებობს სამი კატეგორია. ეს არის მშობლის უფლებების შეჩერება, შეზღუდვა და ყველაზე უკიდურესი, ჩამორთმევა.



**გიორგი კუპრეიშვილი:** - მშობლის უფლებების შეჩერების, ჩამორთმევის და შეზღუდვის სამი კატეგორია არსებობს. დავიწყოთ შეჩერებიდან, ანუ მშობლის უფლების შეჩერება წარმოიშობა კანონისმიერი პირობიდან გამომდინარე. რა არის ეს კანონისმიერი წინაპირობა - მშობლის მიერ ბავშვის მიტოვება, ეს იქნება მოქმედებით, თუ უმოქმედოდ, ორივე შემთხვევაში კანონი ამბობს, რომ მშობელს უფლება-მოვალეობები უნდა შეუჩერდეს. კანონი ადგენს, რომ თუ ასეთი ფაქტი დაფიქსირდა, ამას სოც. მუშაკის კვლევა მოსდევს და შემდეგ უკვე, შეფასება კანონმდებლობასთან მიმართებაში, შეფასება კი არის მიტოვება, ეს იწვევს მშობლის უფლების შეჩერებას. შეჩერების ეს ერთი ფაქტორი და აქვე არის მეორე წინაპირობაც, რაც გულისხმობს 24 საათიან ზრუნვაში ბავშვის განთავსებას. სოციალური მომსახურების სააგენტოში არსებობს, მეურვეობისა და მზრუნველობის რეგიონალური საბჭო, რომელიც იღებს მსგავსი ტიპის გადაწყვეტილებებს, ყველა რეგიონში არის ეს საბჭო. ასეთ შემთხვევაში შეიძლება მშობელმა, უბრალოდ, მოგვმართოს და ბავშვის მოვლის შესაძლებლობის არქონის გამო, ბავშვი მზრუნველობაში გადმოგვცეს. ასეთ დროს ხდება მშობლის უფლება-მოვალეობების შეჩერება. ეს არის კანონისმიერი ინსტიტუტი და არის გამოწვეული მშობლის მოქმედებით და ასევე მისგან დამოუკიდებელი მიზეზებისგან გამომდინარე.

აღსანიშნავია, რომ 2012 წლამდე მშობლის უფლების შეჩერების ინსტიტუტი არ არსებობდა. არსებობდა მხოლოდ შეზღუდვის და მშობლის უფლების ჩამორთმევის ინსტიტუტი.

რაც შეეხება შეზღუდვას, გიორგი კუპრეიშვილის თქმით, ასეთი ტიპის გადაწყვეტილება მხოლოდ სასამართლოს გამოაქვს.

**გიორგი კუპრეიშვილი:**

- შეზღუდვა ხდება მხოლოდ და მხოლოდ სასამართლოს მეშვეობით. შესაძლებელია, რომ ასეთ დროს მშობლის მხოლოდ ცალკეული უფლებები შეიზღუდოს და ეს განპირობებული იყოს არა მშობლის უფლებების არაჯეროვნად


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# მევის შემზარავი ისტორიები

10 წლის გოგონაზე დედა და ბებია ძალადობდნენ

# 219 ჩამორთმეული მშობლის უფლება და ამდენივე მიტოვებული ბავშვი



EXCLUSIVE



„მშობლის მიერ ბავშვის მიტოვება, ეს იქნება მოქმედებით, თუ უმოქმედოდ, ორივე შემთხვევაში კანონი ამბობს, რომ მშობელს უფლება-მოვალეობები უნდა შეუჩერდეს“

შესრულების გამო, არამედ, სხვა გარემოებებითაც. ერთ-ერთი წინაპირობაა, როდესაც მშობელს არ შეუძლია რაღაცის კეთება.

ქართული კანონმდებლობით შესაძლებელია მშობელმა მეორე მშობელს ან ახლო ნათესავს მინდობილობის საფუძველზე, მიანიჭოს გარკვეული უფლება. მაგალითად, ბავშვის საზღვარგარეთ გაყვანა. თუმცა, ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, გერმანიაში მინდობილობის ინსტიტუტი არ არსებობს და იქ საუბარია, მეურვეობის უფლების აღებაზე, სასამართლოს გზით.

რაც შეეხება ჩვენი სტატიის მთავარ თემას - მშობლის უფლებების ჩამორთმევას, გიორგი კუპრეიშვილის თქმით, ეს ინსტიტუტი არსებობს იმ დღიდან, რა დღიდანაც ბავშვისა და მშობლის უფლებებზეა საუბარი.

**გიორგი კუპრეიშვილი:** ჩამორთმევა ეს არის უკანასკნელი ზომა, რომელიც შეიძლება მშობლის მიმართ მიიღო. ძირითადად ხდება მშობლის უფლების ჩამორთმევა, როცა ის არაჯეროვნად ასრულებს მოვალეობებს, ამორალურად ექცევა, ცუდ გავლენას ახდენს და ბავშვი ასევე ჩართული ჰყავს ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში. შესაძლებელია ასევე ჩამოერთვას მშობლის უფლება ისეთ მშობელს, ვისი შვილიც არის მიტოვებულად აღიარებული. მიტოვებულად აღიარებას კი ახდენს სასამართლო. ასეთ დროს, ვიცით ვინ არის მშობელი, მაგრამ იგი არ მოდის და არ რეაგირებს. ძირითადად იმ მშობლის შვილი, რომელსაც მეურვეობა ჩამოერთვა, ექვემდებარება გაშვილებას. მე არ მეგულება პრაქტიკაში ისეთი შემთხვევა, როდესაც მშობელს უფლებები ჩამოერთვა და ის არ გაშვილებულა.

რაც შეეხება მშობლის უფლებების ჩამორთმევის პროცედურებს, ის შემდეგნაირად გამოიყურება.

**გიორგი კუპრეიშვილი:**
- თუ გამოვლინდა წინაპირობა, რომ მშობელს უნდა ჩამოერთვას უფლებები, მიდვივართ სასამართლოში, სასამართლო განიხილავს და თუ ის ჩათვლის, რომ ჩვენი მოთხოვნა არის მართებული, მტკიცებულებებით გამყარებული, შესაბამისად, მიიღებს მართებულ გადაწყვეტილებას. ასევე არის შეზღუდვაზე. კანონში, ამ მხრივ, არანაირი ხარვეზი არ არსებობს. რაც შეეხება ბავშვის გაშვილებას, როცა ის შვილდება აუცილებელია მისი თანხმობა. კანონში პირდაპირ წერია, რომ აკრძალულია 10 წელზე მეტი ასაკის ბავშვის გაშვილება, მისი თანხმობის გარეშე.

ჩვენ 219 შემთხვევიდან მხოლოდ 4 მათგანზე გიამბეთ. გაგაცანით კანონმდებლობა და ბავშვების მგომარეობა. გახსოვდეთ, ჩვენ გარშემო, ბოლო 6 წლის მანძილზე, ასეთი კიდევ 215 შემთხვევაა. ასეთ მომენტებში სამოქალაქო აქტივობა უმნიშვნელოვანესია. ეს უნდა გახსოვდეთ!

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# მივირთმევთ თუ არა გენმო






გიორგი ურუშაძე

**რამდენად ჯანსაღია პროდუქტი, რომელსაც მივირთმევთ – ჩვენი დაინტერესების საგანი. გენომოდიფიცირებული – ეს სიტყვა თითქოს ნაცნობია, მაგრამ რამდენად ვერკვევით ტერმინის მიღმა შინაარსში, უცნობია.**

ამის გასარკვევად გავაკეთეთ ის, რასაც ნებისმიერი თქვენგანი ყოველდღე აკეთებს. გავედით საყიდლებზე და ადგილზე შევისწავლეთ ვითარება. პირველ ლოკაციად დეზერტირების ბაზარი შევარჩიეთ და დავიწყეთ ვაჭრობა. ამასთანავე, გამყიდველებს შემდეგი სახის კითხვებიც დავუსვით: ყიდდნენ თუ არა გენმოდიფიცირებულ პროდუქტს, იცოდნენ თუ არა, რა არის გენმოდიფიცირებული პროდუქტი და თუ იცოდნენ, რამდენად არჩევდნენ, იყო თუ არა პროდუქტი გენმოდიფიცირებული...

შედეგი მეტად საინტერესო მივიღეთ. როგორც გამოიკვეთა, არსებობს სამი ტიპის გამყიდველი:

პირველი: წარმოდგენა არ აქვს, რა არის გენმოდიფიცირებული პროდუქტი, თუმცა რაღაც სმენია.

მეორე: იცის, რა არის გენმოდიფიცირებული პროდუქტი, მაგრამ ამაზე არ საუბრობს.

მესამე: იცის გმო-ს შესახებ და შეუძლია, ვიზუალურად გაარჩიოს, არის თუ არა პროდუქტი ნატურალური.

გარდა ამ სამი ტიპის გამყიდველისა, ყველასთან ინდივიდუალური მიდგომა დაგვჭირდა. თუმცა, საერთო ფონი ასეთია: წლის ამ სეზონზე ძირითადად ქართული პროდუქტი იყიდება, ამიტომ გენმოდიფიცირებული პროდუქტის გავრცელების შანსი ნაკლებია. გმო-ს შემცველობის პროდუქტი ხომ უცხოეთიდან შემოდის. თავად ფაქტი კი, მაინც საგანგაშოა, მიუხედავად მიღებული კანონისა, რომელიც ყველა კომპანიასა და დაწესებულებას ავალდებულებს, ეტიკეტზე დაიტანოს ნიშანი – გმო, იმ შემთხვევაში თუ პროდუქტი არის გენმოდიფიცირებული, ჯერჯერობით არ არის რეალიზაციაში მოყვანილი. კონტროლის მექანიზმები კი ცოტა ბუნდოვანია. ერთ-ერთი მოვაჭრის განცხადებით, ბაზრობის ადმინისტრაციის ვეტექიმი ყოველდღე ფულის ასაკრებად დადის, მაგრამ პროდუქტს არავინ ამოწმებს. ჩვენ ინფორმაციის გადამოწმება გადავწყვიტეთ და ადმინისტრაციის შენობისკენ გავემართეთ. დეზერტირების ბაზრობის ვეტექიმის პოვნა არ გაგვჭირვებია. ავთანდილ ჩხარტიშვილის თქმით, ბაზრობაზე შემოსული პროდუქცია, ბუნებრივია, მოწმდება, თუმცა თავად არ აქვთ საშუალება, დაადგინონ, არის თუ არა პროდუქტი გენმოდიფიცირებული. ეს საბაჟო საზღვარზე მოწმდება. მისი თქმით, გენმოდიფიცირებული პროდუქტის არსებობის შემთხვევაში, გამყიდველმა სპეციალური ეტიკეტი ან ნიშანი უნდა დაატანოს პროდუქციას, რაც დღევანდელი მდგომარეობით არ არის დაცული.

„სირცხვილია, მსჯელობდნენ ბუსუსებიან პრეზერვატივზე და გვერდით ჩვენ ვიწამლებოდეთ“




**ავთანდილ ჩხარტიშვილი:** „ნებისმიერი პროდუქტის შემოწმება ხდება. მაგალითად, ხორცის შემოტანის პირობებში, მას უნდა ახლდეს დოკუმენტი. ხორცი შემოდის სასაკლაოებიდან, ფორმა 2-ის თანხლებით. ხორცი უნდა იყოს დაბეჭდილი. აქ ხდება კონტროლი, რომ არ შემოვიდეს ფორმა 2-ის გარეშე და შემდეგ ნაწილდება მაცივრებში. ასევე, ხდება ბოსტნეულზე. ხდება მათი გადამოწმება ნიტრატებზე. რაც შეეხება გენმოდიფიცირებულ პროდუქტს, ამას ჩვენ ვერ ვაკონტროლებთ, თუ დიდი რაოდენობით შემოდის ჩვენთან, მას ეტიკეტი უნდა ახლდეს, მაგრამ თუ გამყიდველი რამდენიმე კილოს ყიდულობს და მერე თავადვე ყიდის, ამას ვერ გავაკონტროლებთ. ასე სათითაოდ ყველას ვერ ჩამოვუვლით. თუმცა, ბოსტნეული, რაც დიდი რაოდენობით, კონტეინერებით შემოდის, ნიტრატებზე მოწმდება“.

ძიება ბაზრობით არ დაგვიმთავრებია, მარკეტებისკენ გავემურეთ, სადაც ყოველდღიური მოხმარების პროდუქტების ეტიკეტები შევამოწმეთ. რძის პროდუქტების დათვალიერების შედეგად, შემდეგი სახის დასკვნის გამოტანა შეიძლება. თითქმის არც ერთ პროდუქტზე არ არის დატანილი, შეიცავს თუ არა პროდუქტი გმო-ს. შესაბამისად მომხმარებელი, ეტიკეტის წაკითხვის შემთხვევაშიც, ვერ განსაზღვრავს, არის თუ არა პროდუქტი გენმოდიფიცირებული. თუმცა, ერთი კომპანიის შემთხვევაში, არაჟანსა და მაიონეზზე აღმოვაჩინეთ წარწერა – გმო-ს გარეშე. ეს დადებითი ტენდენციაა, თუმცა რამდენად ლაბორატორიულად დამოწმებული, ეს სხვა საკითხია. მსგავსი სიტუაციაა, სხვა პროდუქტებზეც. მაგალითად, ვერც ერთი კომპანიის წარმოებულ ხორცზე ვერ ვიპოვეთ ნიშანი – გმო ან გმო-ს გარეშე. სუპერმარკეტების ადმინისტრაციის განცხადებით, მათ მაღაზიაში გმო პროდუქტი არ შედის. აქვე შეგახსენებთ, რომ 1-ელ ივლისს მიღებული კანონიდან გამომდინარე, თუ პროდუქტი შეიცავს გენმოდიფიცირებულ ელემენტებს, კომპანია ვალდებულია, ეს ეტიკეტზე დაიტანოს. ამის კონტროლი კი, სახელმწიფოს მხრიდან უნდა ხორციელდებოდეს. თუმცა სანამ ამ უკანასკნელზე გადავალთ, ვნახოთ, რას ფიქრობს მომხმარებელთა ასოციაციის თავმჯდომარე, გია ბურჯანაძე გენმოდიფიცირებული პროდუქტის რეგულაციებზე.

გია ბურჯანაძის თქმით, სახელმწიფო საკმარისად არ უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობაზე და არსებობს მრავალი კითხვა. თავად მეწარმეები კი ხარისხის ნაცვლად კომერციაზე არიან ორიენტირებული და არ ზრუნავენ მომხმარებლების უფლებებზე. ის სხვა მნიშვნელოვან დეტალებზეც ამახვილებს ყურადღებას.

**გია ბურჯანაძე:** „მინდა ერთი რაღაც მკაფიოდ განვაცხადო, როდესაც სამართლებრივი კუთხით შესაბამისი ნორმატიული აქტის დამტკიცება ავალდებულებს მეწარმეს, განახორციელოს კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობა, ანუ მომხმარებელს მიაწოდოს ინფორმაცია ამა თუ იმ პროდუქციის ვარგისიანობისა და შემადგენლობის თაობაზე, ყველაზე გამაღიზიანებელი რაც არის მომხმარებლებისთვის, არის ის პატარა შრიფტი, რომლითაც აწერია. ფასებს კარგად აწერენ და დასახელებას. ცოტა ვრცლად მაინც დაწერონ შემადგენლობის აღწერილობა. იქნებ პროდუქტი საფრთხის შემცველია. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, როცა მეწარმე კეთილსინდისიერი არაა და მისი ბიზნესგათვლები სულ სხვა მიმართულებით არის წასული, კონკრეტულად, რეალიზაციასა და მომხმარებლის მოტყუებაზე, სწორედ ეს არის მათთვის სტიმული, აკეთონ დიდი ფული და ამით კანონმდებლობა იყოს დაკნინებული. მასიურად საზოგადოების შეცდომაში შეყვანა არც ერთ მეწარმეს არ ეპატიება. ამის უფრო მეტი გამკაცრებული კონტროლი უნდა იყოს. სურსათის უვნებლობის სააგენტოს პირდაპირი მოვალეობაა, გააკონტროლოს მეწარმეები. როდესაც მსჯელობენ ბუსუსიან პრეზერვატივზე, გაცილებით უფრო დიდი პრობლემების წინაშე ვდგავართ და სირცხვილია, როდესაც კანონმდებელი ამაზე ფიქრობს და გვერდით ჩვენ ვიწამლებით“.

აქ უკვე საინტერესოა, რას ფიქრობს სახელმწიფოს წარმომადგენელი და კონკრეტულად, სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის დეპარტამენტის უფროსი კახა სოხაძე.

**კახა სოხაძე:** „კანონი არის 2015 წლის დეკემბერში მიღებული, ძალაში შევიდა 1-ელ ივლისს. თუმცა აქამდეც არსებობდა ვალდებულება, ასეთი სურსათის ეტიკეტირებასთან დაკავშირებით. თუმცა ამ შემთხვევაში უფრო მაღალ დონეზე იქნა აყვანილი ეს ყველაფერი. ეს შეეხება




© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# დიფიცირებულ პროდუქტს?!

## გენმოდიფიცირებული პროდუქტის შეფარვით შემოტანის შემთხვევაში პირი 5-დან 10 ათას ლარამდე ჯარიმდება










სურსათსა და ცხოველის საკვებს. თუ საკვები შეიცავს 0.9-ზე მეტ გენეტიკურად მოდიფიცირებულ ორგანიზმებს ან დამზადებულია ასეთი ორგანიზმებისგან, ამის შესახებ ინფორმაცია აუცილებლად უნდა იყოს დატანილი ეტიკეტზე. თუ პროდუქტი არ შეიცავს გმო-ს, კომპანია არ არის ვალდებული, მიუთითოს, რომ ის არ შეიცავს ასეთ პროდუქტს. ვალდებულება მხოლოდ მისი შემცველობის შემთხვევაში წარმოიშობა. ჩვენ გვაქვს ლაბორატორიული კვლევები, ახლა უკვე ამის საშუალება გვაქვს. სამწუხაროდ, ჩვენ გამოვავლინეთ ასეთი ტიპის დარღვევები, ყოველ შემთხვევაში სოიო შეიცავდა გენეტიკურად მოდიფიცირებულ ორგანიზმებს და ამის შესახებ ეტიკეტზე არ იყო დატანილი. კანონის შესაბამისად, მოგვიწია ბიზნესოპერატორის 5 ათასი ლარით დაჯარიმება. ჩვენ ვაგრძელებთ ასეთი ტიპის კონტროლს. გავდივართ კონსულტაციას ევროპელ ექსპერტებთან და მათი დახმარებით, სურსათის სახეობებში დგინდება, გმო-ს შემცველობის დასაშვები ნორმა“.

გია ბურჯანაძე „პრაიმტაიმს“ სულ ცოტა ხნის წინ მომხდარი ფაქტის შესახებაც უყვება დეტალებს. მისი თქმით, საქართველოში შემოსული 120 ტონა ქათმის ფარში, სალმონელოზით დაავადებული აღმოჩნდა. არადა, მან კონტროლი საბაჟო საზღვარზე გაიარა და ასე გადმოლახა ქვეყნის ტერიტორია. მისივე თქმით, საბაჟოზე შემოსული პროდუქტის კონტროლი ეფექტური არ არის და ამან შეიძლება ფატალური შედეგებიც მოგვცეს, ვინაიდან ხორცის აღნიშნულ დაავადებას ადამიანის მოკვლა შეუძლია. მით უმეტეს მაშინ, როდესაც, გია ბურჯანაძის თქმით, 114 ტონა ქათმის ფარში რეალიზაციაში გავიდა.

**გია ბურჯანაძე:** „129 ტონა ქათმის ფარში შემოვიდა საქართველოში, სალმონელოზით დაავადებული. რომელიც საბაჟომ შემოუშვა, შემოწმებული თუ იყო, ხალხო, რატომ შემოუშვა?! სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, ჩვენს სამსახურთან და ჟურნალისტებთან ერთად, შეამოწმა ეს ყველაფერი. ფაქტი ლაბორატორიულმა კვლევამაც დაადასტურა, რომ ნამდვილად სალმონელოზით იყო დაავადებული. მეწარმე ლამის გაგიჟდა, თუ დაავადებული იყო, სარფის საბაჟოზე რომ შემიმოწმეს, ადლიაში, იქ რატომ არაფერი მითხრესო? თუ ასეა, გიჩივლებთო. 129 ტონიდან 15 ტონა ამოვიღეთ და დანარჩენი 114 ტონა გაყიდული იყო. სარეალიზაციო ბაზარზე იყო გასული. მე თქვენ და ჩვენი ოჯახების წევრებმა ნახევარფაბრიკატის სახით ის უკვე მივირთვით და ავითვისეთ. სად არის ამ დროს შემოსავლების სამსახური და სოფლის მეურნეობის სამინისტრო? ქათმის ხორცის ამ დაავადებას, სალმონელას, ფატალური შედეგის მოტანა, ადამიანის მოკვლა შეუძლია“.

**გია ბურჯანაძე: „ქათმის ხორცის ამ დაავადებას, სალმონელას, ფატალური შედეგის მოტანა, ადამიანის მოკვლა შეუძლია“**



აღნიშნულ ფაქტზე სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის დეპარტამენტის უფროსი კახა სოხაძეც გვიყვება. თუმცა, ის მხოლოდ დაავადების აღმოჩენას ადასტურებს და არა მის რეალიზაციას.

**კახა სოხაძე:** „გაყიდული ნამდვილად არ იყო. ამის გამოვლენა სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ მოხდა. ჩვენ აქტიურად დავიწყეთ ამის კონტროლი და იყო ასეთი შემთხვევები. გამოვლენის ფაქტი დასტურდება, გაყიდვის ფაქტს ვერ დავადასტურებ“.

**„პრაიმტაიმი“ დაინტერესდა, რამდენად ეფექტურია საბაჟო საზღვარზე შემოსული სასურსათო პროდუქტის შემოწმება და მონიტორინგი. პასუხების მისაღებად, შემოსავლების სამსახურის აპარატის უფროსს ხატია მოისწრაფიშვილს დავუკავშირდით.**

**ხატია მოისწრაფიშვილი:** „გენმოდიფიცირებული პროდუქტის კონტროლი ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით, რომელიც არეგულირებს გენმოდიფიცირებული პროდუქტის ქვეყნის ტერიტორიაზე როგორც შემოსვლას, ასევე რეალიზებას. ამ შემთხვევაში გვეხება საბაჟო საზღვარზე კონტროლი, რომელიც ასევე რეგულირდება ამ კანონის შესაბამისად, რომელიც გამოიცა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით. ის განსაზღვრავს საქართველოს საბაჟო საზღვარზე გენმოდიფიცირებული პროდუქტის კონტროლის წესს. რაც შეეხება კონტროლს. კანონის შესაბამისად, გენმოდიფიცირებულ პროდუქტს, რომელიც შემოდის ქვეყანაში, უნდა ჰქონდეს ეტიკეტი, რომ ის არის გენმოდიფიცირებული პროდუქტი. იქაც არის დაშვებები, რა შეიძლება ჩაითვალოს და რა – არა გენმოდიფიცირებულად. შემიძლია გითხრათ, რომ 0.9 პროცენტის შემადგენლობა საერთო წონაზე არის დასაშვები. რაც შეეხება საბაჟო საზღვარზე შემოსულ პროდუქტს, მას აუცილებლად უნდა ჰქონდეს ეტიკეტი, მითითება, რომ არის გენმოდიფიცირებული. შემდეგ უკვე თანმხლებ დოკუმენტებში უნდა იყოს ასახული და გაშიფრული შემადგენლობა პროდუქტისა. თუ არაა ეტიკეტი, ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია, პროდუქტი მოყვეს რისკის პროგრამაში და მოხდეს დოკუმენტების შემოწმება. თუ დოკუმენტებშიც არ ჩანს ინფორმაცია, მაშინ ხდება ნიმუშის აღება და ლაბორატორიული კვლევა. თუ შემოტანილ პროდუქტში დარღვეულია რაიმე, ვთქვათ, ეტიკეტი აქვს, მაგრამ შესაბამისობა არ არის მართებული, ან პირიქით, არ იყო ეტიკეტირებული, ან ლაბორატორიულმა კვლევამ აჩვენა, რომ მასში არის გენმოდიფიცირებული ელემენტები, ხდება იმპორტიორის დაჯარიმება 5 ათასი ლარით. თუ განმეორებით დაფიქსირდა ეს შემთხვევა, იმპორტიორი 10 000 ლარით დაჯარიმდება“.

ასე რომ, ჩვენ დაგიდეთ შედეგები. ფაქტები ერთ რამეზე მეტყველებს, ეტიკეტი უნდა წავიკითხოთ და კომპანიების მიმართ მეტად მომთხოვნები გავხდეთ. თუმცა, ჯერჯერობით, მხოლოდ ეტიკეტის წაკითხვა საკმარისი არ არის. ქართული სამომხმარებლო ბაზარი ჯერ კიდევ განვითარების პროცესშია, ხარვეზები სახეზეა. ვნახოთ, 1-ელ ივლისს მიღებული ახალი რეგულაცია პრაქტიკაში თუ დაიწყებს აქტიურ რეალიზებას.




## ბაზრის ვეტექიმი: „თუ გამყიდველი რამდენიმე კილოს ყიდულობს და მერე თავადვე ყიდის, ამას ვერ გავაკონტროლებთ“




© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ენერგოტარიფები კიდევ გაიზრდება?!



## ვინ დგას ენერგო-მაფიის უკან?

მირიან ბოქოლიშვილი

**„ქართული ოცნების“ დაპირება, რომ ელექტროენერგიაზე ტარიფები განახევრდებოდა, როგორც ჩანს, მხოლოდ ოცნებად დარჩა, რადგან დენი არათუ გაიაფდა, არამედ, პირიქით, გაძვირდა. ენერგეტიკოსების ნაწილი ამ სატარიფო პოლიტიკის უკან ენერგომაფიის ინტერესებს ხედავს. „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე, ექსპერტი ზვიად ჭიჭინაძე ამბობს, რომ დღეს ამ სფეროს მთლიანად ენერგომაფია მართავს, რომელიც ზურაბ ნოღაიდელისა და ალექსანდრე ხეთაგურის სახელთან არის დაკავშირებული.**

**თემურ ჭიჭინაძე, ექსპერტი:**

– ელექტროენერგიის არსებული ტარიფები ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. ამის დარეგულირება შესაძლებელი იყო 2012 წელსაც. ორ მონოპოლისტ კომპანიას („ენერგო-პრო“ და „თელასი“) თავიდანვე გაუთვლელად ჰქონდათ ტარიფები მინიჭებული. „თელასს“ 2008 წელს დამთავრებული ჰქონდა საინვესტიციო პროგრამა, ამიტომ ის ვალდებული იყო, ტარიფი შეემცირებინა. ამ პერიოდიდან ეს ტარიფები არის გაბერილი და შედეგად მიიღეს მილიარდობით შემოსავალი. ეს მოხდა ჩვენი მარეგულირებელი კომისიის მეშვეობით.

**– ანუ თუ წინა ხელისუფლების დროს შეგნებულად არ ხდებოდა ტარიფის შემცირება, გამოდის, რომ ახლაც იგივე პოლიტიკასთან გვაქვს საქმე?**

– დიახ, ეს პოლიტიკა გრძელდება და მარეგულირებელი კომისია ამას დღესაც ხელს უწყობს. ენერგეტიკის სისტემას მართავენ კვლავ ძველი კადრები. პრაქტიკულად 2012 წლის შემდეგ ამ უწყებაში, ან მისდამი დაქვემდებარებულ სტრუქტურებში შეიცვალა მხოლოდ მინისტრი, დანარჩენი ყველა ადგილზეა. დენის გაძვირება არის ამ მონოპოლისტების ინტერესებში, რომლებთანაც კავშირში არიან ყოფილი ჩინოვნიკები, დაწყებული ზურაბ ნოღაიდელით და დამთავრებული ალექსანდრე ხეთაგურით. ის დღესაც აგრძელებს ენერგეტიკის სამინისტროს არაოფიციალურ მართვას.

**– რა გათვლებზე დაყრდნობით ამბობთ, რომ ტარიფების შემცირება შესაძლებელია? რა უნდა იყოს ტარიფი?**

– სამწუხაროდ, ბევრი დოკუმენტი ამ სფეროში გასაიდუმლოებულია მარეგულირებელი კომისიის მიერ. ტარიფი, რომელიც აქამდე ჰქონდა „ენერგო-პროს“ არანაირ გათვლას არ ეყრდნობოდა და თავის დროზე მას ეს ტარიფი მინიჭებული ჰქონდა ნოღაიდელის ბრძანებით. ის, რასაც „ოცნება“ ამბობდა, ეს იყო განხორციელებადი. სამწუხაროდ, რაღაც ძალებმა შექმნეს შთაბეჭდილება, თითქოს ტარიფის შემცირება შეუძლებელი იყო. ჩვენ ვითხოვდით ტარიფის გადაანგარიშებას, რომელიც საბოლოოდ მიგვიყვანდა იმ რეალობამდე, რომ ეს ტარიფი 10-11 თეთრით განისაზღვრებოდა. როდესაც სემეკმა ახლახან ჯერ „ენერგო-პროს“ მოუმატა ტარიფი და შემდეგ „თელასს“, მაშინვე ვამბობდი, რომ მოდით, გადავხედოთ ძველ მემორანდუმებს და გადავიანგარიშოთ ტარიფი-მეთქი, მაგრამ ცხადია, ეს მათ ინტერესებში არ შედის.

**„ელექტრო-ენერგიის არსებული ტარიფები ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს“**

სამწუხაროდ, მარეგულირებელი კომისია დღეს იქცა ისეთ რგოლად, სადაც ჩახედვის უფლება არავის აქვს, ყველაფერი გასაიდუმლოებულია.

**– ხელისუფლების ინტერესებში არ შედის ტარიფის გაიაფება?**

– ტარიფის გაიაფება არ შედის ენერგომაფიის ინტერესებში. აშკარად იკვეთება მათი კავშირები ორივე მონოპოლისტთან. სემეკმა დაჩქარებული წესით, ერთ თვეში გაუზარდა ორივე კომპანიას ტარიფი, არადა პრაქტიკა იყო, რომ 5 თვეზე ადრე არანაირი გადაწყვეტილება არ გამოდიოდა. რეალურად, ეს იყო წინასწარ გადაწყვეტილი მომხმარებლის საწინააღმდეგოდ. არადა მარეგულირებლის ფუნქციაა სწორედ მომხმარებლის ინტერესების დაცვა.

**– რატომ არ რეაგირებს ხელისუფლება?**

– გაუგებარია. საუბარი, რომ, თუ ტარიფი არ გაიზრდება, დენი გრაფიკით გვექნება, არის შანტაჟი. ამით ეს კომპანიები აშანტაჟებენ სახელმწიფოს და ჩემთვის გაუგებარია, რატომ ჰყვება მათ ამ თამაშში ხელისუფლება. ესეც თავისთავად ბევრ კითხვას ბადებს. ამ ლოგიკით შესაძლებელია ტარიფების გაზრდა ნებისმიერ დროს, არანაირ გათვლებს ეს პროცესი არ ექვემდებარება. სამწუხაროდ, სამართალდამცავი ორგანოებიც არ რეაგირებენ, არადა იკვეთება სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები. აქ საუბარია მილიარდობით უკანონო შემოსავლებზე.



# „ოცნების“ შ



მირიან ბოქოლიშვილი

**მართალია, დავით უსუფაშვილი ირწმუნება, რომ კოალიციის საარჩევნო სიაზე მუშაობა ჯერ არ დაწყებულა, მაგრამ, როგორც „ქართული ოცნების“ კულუარებში გვითხრეს, პირველადი სამუშაო ვარიანტი უკვე განიხილეს პირადად ბიძინა ივანიშვილთან. ჩვენი წყარო მმართველი გუნდიდან იმ კონკრეტულ გვარებსაც გვისახელებს, რომლებიც მომავალ პარლამენტში ვერ მოხვდებიან. „შავი სია“ საკმაოდ ვრცელია და თუ კოალიცია არსებულ ვარიანტზე საბოლოოდ შეჯერდა, გამოდის, რომ ბევრი ცნობილი სახე დეპუტატის მანდატს დაემშვიდობება.**

როგორც ჩვენი წყარო გვიყვება, პარტია „ქართული ოცნების“ შემდეგ პროცენტულად ყველაზე მეტი კვოტა რესპუბლიკელებს შეხვდებათ. ივანიშვილის მიერ დაფუძნებულ პარტიას საარჩევნო სიაში 50-პროცენტიანი კვოტა ერგება, 30 პროცენტს ითხოვენ რესპუბლიკელები, დანარჩენი კი კოალიციაში შემავალ სხვა სუბიექტებზე გადანაწილდება. ამავე ინფორმაციით, „რესპუბლიკური პარტია“ კოალიციის შიგნით სპეკულირებს ახლახან ჩატარებული კვლევებით, სადაც ამ პარტიის რეიტინგი ზრდის ტენდენციით ხასიათდება, თუმცა ამ მაჩვენებლებს კოალიციის სხვა წევრები ეჭვქვეშ აყენებენ და უსუფაშვილის პარტიისთვის კვოტების შემცირებას ითხოვენ. ამის არგუმენტად კი მოჰყავთ ის გარემოება, რომ ზემოხსენებული კვლევა, სადაც რესპუბლიკელების რეიტინგის ზრდა ფიქსირდება, თავად ამ პარტიის დაკვეთით ჩაატარა სოციოლოგ იაგო კაჭკაჭიშვილის ორგანიზაციამ, შესაბამისად, „შესაძლოა, ის დამკვეთის ინტერესებს ასახავდეს“.

ვნახოთ, რა შედეგებს დადებს სხვა კვლევები, რომელიც უახლოეს ხანში ჩატარდება და თანაც არაერთი. როგორც წესი, საარჩევნო წელს, როგორც პარტიები, ისე საერთაშორისო ორგანიზაციები აქტიურად სწავლობენ საზოგადოების განწყობებს. საბოლოო სიტყვა მაინც ბიძინა ივანიშვილმა უნდა თქვას და იმ შემთხვევაში, თუ მან რესპუბლიკელების არგუმენტები გაიზიარა, ის პარტია „ოცნების“ საარჩევნო სიაში არა მხოლოდ 30-პროცენტიანი კვოტით მოხვდება, არამედ შესაძლოა, კოალიციის პირველი ნომერიც კი „რესპუბლიკური პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის მოქმედი თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი გახდეს.

თუმცა ეს მხოლოდ სამუშაო ვარიანტია და სიტუაცია იმის მიხედვით შეიცვლება, როგორ განვითარებდება პოლიტიკური პროცესები. სიის პირველ ნომრად ივანიშვილის პარტია გენერალური მდივნის, ირაკლი კობახიძის დასახელებას ითხოვს, თუმცა „ოცნებაში“ არც იმას გამორიცხავენ, რომ პოლიტიკური კრიზისის შემთხვევაში სიას სათავეში პირადად ბიძინა ივანიშვილი ჩაუდგეს. როგორც ჩანს, ეს ვარიანტი ყველაზე უკიდურეს შემთხვევაში განიხილება. ჩვენი წყაროს ცნობით, ივანიშვილის გარეშე კოალიციის საარჩევნო სიის პირველი ხუთეული ასე გამოიყურება: პირველ-მეორე ადგილს დავით უსუფაშვილი და ირაკლი კობახიძე გაინაწილებენ, სიის მესამე ნომერი ბიძინა ივანიშვილის მიერ დაფუძნებული „20/30“-ის წევრი, მიხეილ დუნდუა იქნება, ხუთეულში მოიაზრება უმრავლესობის ერთ-ერთი მოქმედი ლიდერი მანანა კობახიძე, ასევე, განიხილებიან ჟურნალისტი გიორგი უძილაური და ვასილ მაღლაფერიძე.

რაც შეეხება „შავ სიას“... როგორც შევიტყვეთ, დღეს „ქართული ოცნების“ სიით პარლამენტში წარმოდგენილი დეპუტატების საკმაოდ დიდი ნაწილი მანდატს დაემშვიდობება. ზოგს სახლში გაუშვებენ, ზოგს საკუთარი ძალებით მაჟორიტარ დეპუტატად კენჭისყრას შესთავაზებენ, ზოგს კი აღმასრულებელ ხელისუფლებაში გადაიყვანენო, – გვიყვება ჩვენი წყარო.

„უკვე გადაწყვეტილია და ამაზე თავად ბიძინა ივანიშვილის თანხმობაც არსებობს, რომ საარჩევნო სიაში ვერ მოხვდებიან მსახიობები და სპორტსმენები. ეს სია იქნება თვისობრივად განახლებული. სოსო ჯაჭვლიანი, გიორგი პაპუაშვილი, ნუკრი ქანთარია, გოგი ქავთარაძე, ზვიადაური, კურტანიძე... ეს ხალხი პარლამენტში ველარ მოხვდება, თუმცა არის წინასწარი შეთანხმება, რომ მათ ნაწილს გარკვეულ პროექტებში ჩართავენ სფეროების მიხედვით. არსებობს ვარიანტი, რომ წინა პლანზე წამოვიდნენ ახალი სახეები, მათ შორის „20/30“-დან უკვე შერჩეულია რამდენიმე კანდიდატი. ამ ხალხით ჩანაცვლდება არაერთი დღეს



მოქმედი დეპუტატი, მაგალითად, შემიძლია დაგისახელოთ გუგული მაღრაძე, ვანო კილურაძე, გია ჟორჟოლიანი, ელისო ჩაფიძე, დათო ლორთქიფანიძე. არის რამდენიმე ადამიანი, რომლებსაც სიაში არ ჩასვამენ, თუმცა მაჟორიტარობას შესთავაზებენ, მაგალითად, ზაქარია ქუცნაშვილსა და გოგლა ჟვანიას. შიდა საუბრების დროს თავად არ ისურვა სიაში შეყვანა გედევან ფოფხაძემ, რომელიც შესაძლოა, ერთ-ერთ რეგიონში საპასუხისმგებლო თანამდებობაზე გაუშვან. რაც შეეხება პარტიებს, რესპუბლიკელების გარდა, კოალიციაში შემავალი ყველა სხვა პარტია საკმაოდ მწირად იქნება წარმოდგენილი. სხვა პარტიებიდან პირველ ათეულში თითო კაცი ნამდვილად მოხვდება, მაგრამ ფართო წარმომადგენლობით ისინი მთლიან სიაში ველარ იქნებიან. მაგალითად, მნიშვნელოვნად შემცირდება „ეროვნული ფორუმის“ კვოტა და სავარაუდოდ, გუბაზ სანიკიძე ველარ მოხვდება ამ სიაში. არის საუბარი იმაზეც, რომ მხოლოდ ანი მიროტაძემ წარმოადგინოს ეს პარტია კოალიციაშიც და პარლამენტშიც, თუმცა მოდის ხმები, რომ შესაძლოა, „ფორუმმა“ საერთოდ დატოვოს კოალიცია და არჩევნების წინ ნინო ბურჯანაძესთან გაერთიანდეს. მათ აქვთ საკუთარი პირობები და ამას უკავშირდება კახა შარტავას გაუჩ-



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ავი სია და საარჩევნო ხუთეული



## რა შედეგები აჩვენა რესპუბლიკელების დაკვეთით ჩატარებულმა კვლევამ და როგორ გადანაწილდება კვოტები კოალიციაში?

ინარებაც. საქმე ისაა, რომ შესაძლოა, „ფორუმი“ დასთანხმდეს კიდეც ასეთ მცირე წარმომადგენლობას საარჩევნო სიაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიიღებენ გარანტიას, რომ 2017 წელს კახა შარტავა იქნება „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი. რას გადაწყვეტენ თავად პარტიის შიგნით, არ ვიცი. სამუშაო ვარიანტში სიის ბოლოსკენ მოიაზრება სოციალისტი გია ჟორჟოლიანი და კიდევ ერთი-ორი პერსონა, რომელთა ბედი ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე გადაწყვეტილი. შედარებით ნაკლები იქნება „კონსერვატორების“ კვოტაც, თუმცა ზვიად ძიძიგური ნამდვილად შევა პირველ ათეულში. ამ „შავი სიის“ ხარჯზე გაიზრდება რესპუბლიკელების კვოტა, ასევე, გამყარდება პარტია „ქართული ოცნების“ პოზიციები, რომელიც ძირითადად ახალგაზრდა და ენერგიულ სახეებზე იქნება ორიენტირებული. სიის მიღმა დარჩენილთა ნაწილს აღმასრულებელ ხელისუფლებაში გადანაცვლებას სთავაზობენ. მაგალითად, ნანა ყეინიშვილი შესაძლოა, ჯანდაცვის მინისტრის მოადგილედ გადაიყვანონ. არის კიდევ რამდენიმე ვარიანტი. ეს ადამიანები ძირითადად სამინისტროებში, მინისტრის მოადგილეებისა და დეპარტამენტების ხელმძღვანელების პოზიციებზე გადანაწილდებიან. არიან პარტია „ქართული ოცნების“ უცვლელი სახეები, რომელთაც ეს ცვლილებები არ შეეხებათ. მაგალითად, ეკა ბესელია საარჩევნო სიაში მოწინავე პოზიციებზეც იქნება და პარალელურად კვლავ იყრის კენჭს ფოთის მაჟორიტარად, იგივე შეიძლება ითქვას მანანა კობახიძეზე, ზვიად კვაჭანტირაძეზე, გია ვოლსკიზე“, – აცხადებს ჩვენი წყარო.

ნიშანდობლივია, რომ არჩევნებამდე ერთი წლით ადრე მანდატს გამოემშვიდობა უმრავლესობის ლიდერი დავით საგანელიძე, რომელიც ვარაუდობს, რომ მომავალ პარლამენტში ბევრი მისი კოლეგაც ვერ მოხვდება.

„ვფიქრობ, პარლამენტში 16 წელი ჩემი ყოფნა საკმარისი იყო, არ შეიძლება ერთ ადგილს ჩააჯინდე და სხვა მხარეს არ გაიხედო. ყველას ვურჩევ, სწორი გზით იაროს და თავისი ადგილი მოძებნოს. უადგილო ადგილას ყოფნა არ შეიძლება, ამისთვის თანამდებობაც ცოდოა“, – განაცხადა საგანელიძემ, რომელიც საპარტნიორო ფონდის ხელმძღვანელად დაინიშნა.

საგანელიძის მოსაზრებას, რომ ბევრი მისი კოლეგა საარჩევნო სიაში ვერ მოხვდება, „პრაიმტაიმთან“ საუბრისას ფრაქცია „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელი გია ვოლსკი გამოეხმაურა, რომელიც უმრავლესობის ყოფილი ლიდერის განცხადებას არაკორექტულს უწოდებს.

„დათო საგანელიძე ძალიან საპასუხისმგებლო პოსტზე დაინიშნა და ვფიქრობ, ის იქ გაცილებით ეფექტური იქნება, ვიდრე პარლამენტში იყო. რა მოხდება პარლამენტში, ვინ დარჩება და ვინ – არა, გადავწყვეტთ ჩვენ, პარლამენტში დარჩენილი უმრავლესობა. მას შეუძლია, როგორც რიგითმა მოქალაქემ, თავისი აზრი გამოთქვას, მაგრამ გადაწყვეტილების მიმღების ტონი ცოტა არაკორექტულია. გუნდი განახლდება, იქნებიან ახალი სახეები. ვიღაცამ შესაძლოა, აღმასრულებელ ხელისუფლებაში გადაინაცვლოს, შესაძლოა, სხვა სფეროში. მაგრამ ამაზე საუბარი გუშინდელი ლიდერისგან, ვფიქრობ, არაკორექტულია“, – ამბობს გია ვოლსკი.

ფსიქოლოგი და არაერთი სოციოლოგიური კვლევის ავტორი ზურაბ ბიგვავა კი დარწმუნებულია, რომ „ქართული ოცნება“ მომავალ პარლამენტში თვისობრივად განახლებული გუნდით წარდგება.

„ადამიანი მოქმედებს და სწავლობს საკუთარი შეცდომების მიხედვით. 2012 წლის შემდეგ მმართველმა გუნდმა გარკვეული გამოცდილება მიიღო, ნახეს, ვინ არის აქტიური, ვინ არის კვალიფიციური და დარწმუნებული ვარ, მომავალი გუნდი გაცილებით ეფექტური იქნება. ბევრი ადამიანი შეიცვლება. სამწუხაროდ, „ოცნების“ სიაში ბევრი აღმოჩნდა ისეთი, ვინც ძალიან ინერტულია, ამიტომ ისინი ნამდვილად შეიცვლებიან. აუცილებლად იქნებიან ახალი სახეები. ეს იქნება მთავარი გამოწვევა „ქართული ოცნებისთვის“, – ამბობს ზურაბ ბიგვავა.

საბოლოოდ როგორ ჩამოყალიბდება მმართველი გუნდის საარჩევნო სია, მალე გამოჩნდება. წინასაარჩევნო კამპანია თითქმის კარს არის მომდგარი და „ქართულ ოცნებას“ მოუწევს, საზოგადოებას კონკრეტული გვარები შესთავაზოს, მათ შორის უთხრას, დაბრუნდება თუ არა პოლიტიკაში ბიძინა ივანიშვილი.

### დავით საგანელიძე: „ყველას ვურჩევ, სწორი გზით იაროს და თავისი ადგილი მოძებნოს. უადგილო ადგილას ყოფნა არ შეიძლება“

### გია ვოლსკი: „საგანელიძის ტონი ცოტა არაკორექტულია. გუნდი განახლდება, იქნებიან ახალი სახეები. ვიღაცამ შესაძლოა, აღმასრულებელ ხელისუფლებაში გადაინაცვლოს, შესაძლოა, სხვა სფეროში“





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ვის დაუქნია თითი

> „დემოკრატიის მშენებლობა, პირველ რიგში, სწორედ ამ მავნე სენისგან განთავისუფლებას გულისხმობს და წინ უნდა აღვუდგეთ ამ მანკიერების ნებისმიერ გამოვლინებას“










**მირიან ბოქოლიშვილი**

**ე.წ. „ნარუშილოვკების“ სკანდალთან დაკავშირებით გამოძიება ერთდროულად დაიწყო როგორც პროკურატურაში, ისე შინაგან საქმეთა სამინისტროში. ამბობენ, რომ ამ საქმეს მალე კონკრეტული თანამდებობის პირებიც გადაჰყვებიან... ექსპერტების ამ მოსაზრებას ამყარებს კვირის ბოლოს ბიძინა ივანიშვილის მიერ გავრცელებული განცხადება, სადაც ექსპრემიერი ნებისმიერი ადამიანისთვის უკანონოდ პრივილეგიის მინიჭებას ემიჯნება და იმედს გამოთქვამს, რომ ყველა კანონდამრღვევი პასუხს აგებს.**

„გუშინ ტელევიზიით გავრცელდა ვიდეოკადრები, სადაც ჩანს მოქალაქე, რომელიც, ე.წ. „ნარუშილოვკის“ პატრულისთვის ჩვენებით, ცდილობს, პასუხისმგებლობისთვის თავის არიდებას. რამდენადაც ვიცი, აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება და იმედი მაქვს, რომ ყველა კანონდამრღვევი სათანადოდ დაისჯება, მაგრამ, მინდა ვისარგებლო შემთხვევით, და, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს მოქალაქე ჩემი ნათესავი, საზოგადოებას კიდევ ერთხელ განვუმარტო ჩემი პოზიცია მსგავს მოვლენებთან დაკავშირებით.

ჩემთვის კატეგორიულად მიუღებელია, ნებისმიერი უკანონო პრივილეგიის გამოყენება, ვისი მხრიდანაც არ უნდა ხდებოდეს ეს. ამგვარი რამ დაუშვებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში და უკიდურესად სამარცხვინო საქციელია, როგორც პრივილეგიის გამომყენებლის, ისე პრივილეგიის მიმნიჭებლის მხრიდან.

მე ყოველთვის მკვეთრი ზღვარს ვავლებ ნათესაურ ურთიერთობებსა და იმ ვალდებულებებს შორის, რასაც სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობა გვაკისრებს და ამასვე მოვითხოვ სხვებისგანაც.

ვინმეს ნათესაობა არ შეიძლება რაიმე პრივილეგიას წარმოადგენდეს, ისევე როგორც პრივილეგია არ შეიძლება იყოს ვინმეს ნათესავებთან მეგობრობა და თუ რომელიმე სახელმწიფო მოხელე მლიქვნელობისა თუ რაიმე სხვა მიზეზით კანონის გვერდის ავლას შეეცდება, საზოგადოებამ მას მკაცრად უნდა მოვთხოვოთ პასუხი.

ჩვენ დიდხანს ვიცხოვრეთ ავტორიტარულ სახელმწიფოში, სადაც მიღებული იყო უპირატესობის მოპოვება უკანონო პრივილეგიებით. დემოკრატიის მშენებლობა, პირველ რიგში, სწორედ ამ მავნე სენისგან განთავისუფლებას გულისხმობს და წინ უნდა აღვუდგეთ ამ მანკიერების ნებისმიერ გამოვლინებას.

მინდა ბოდიში მოვუხადო საზოგადოებას, თუ ამ მხრივ, თუნდაც ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, რაიმე უხერხულობა შეიქმნა; კანონის წინაშე თანასწორობა ჩემთვის უმნიშვნელოვანესი ღირებულებაა და საზოგადოების თითოეულ წევრთან ერთად ყველაფერს გავაკეთებ ამ ღირებულების შეუქცევადად დამკვიდრებისთვის“, – აღნიშნულია ივანიშვილის განცხადებაში, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქის“ ვებგვერდზე გავრცელდა.

> „ნარუშილოვკა“ გაიცემა ოპერაციის განმავლობაში და ის უნდა დაბრუნდეს ოპერაციის დასრულების შემდეგ“

ამ განცხადებიდან ნათლად ჩანს, რომ ივანიშვილი არ აპირებს ძველი თამაშის წესებით მოქმედებას, რომ მისთვის კანონის უზენაესობა არის უპირველესი და ამოსავალი წერტილი და რომ კანონზე მაღლა არ შეიძლება ვინმე იდგას.

ასე რომ, ივანიშვილი უკანონო პრივილეგიის გამომყენებლისა და მიმნიჭებლების დასჯას მოითხოვს. კონკრეტულ გვარები, ცხადია, მას არ დაუსახელებია, თუმცა ამას, ალბათ, მალე საგამოძიებო ორგანო გააკეთებს, ჯერ ისიც არ არის დადგენილი, პირი რომელიც ივანიშვილის ნათესავად „გააპიარეს“ ვინა რის სინამდვილეში... ყველაფერი ჯერ ძიების საგანია.

მანამდე კი მოქმედმა შს მინისტრმა მთლიანად გააუქმა ჯერ კიდევ ვანო მერაბიშვილის დროს გამოცემული და დღემდე მოქმედი ბრძანება. მინისტრის თქმით, 2009 წლიდან გაცემული ყველა „ნარუშილოვკა“ განადგურდება და მათ ნაცვლად ახალი საშვები ამოქმედდება.

„ხელი მოვაწერე ბრძანებას, რომლის თანახმადაც, 2009 წლის სრულიად საიდუმლო ბრძანება და მის საფუძველზე გაცემული სპეციალური საშვები ძალადაკარგულად ცხადდება. შესაბამისად, ჩემი დავალებით, აღნიშნული საშვები მფლობელებს ჩამოერთმევათ და განადგურდება. ახალი სრულიად საიდუმლო ბრძანება რამდენიმე დღეში ამოქმედდება და მოაწესრიგებს როგორც საშვების გაცემის, ისე მათი გამოყენების, კონტროლისა და საჭიროების შემთხვევაში, ჩამორთმევის წესს. გამკაცრდება რეგულაციები და ჩამოყალიბდება ეფექტური მონიტორინგის ქმედითი სისტემა“, – განაცხადა გიორგი მღებრიშვილმა.

ჯერჯერობით უცნობია, ზუსტი ციფრი, სულ რამდენი „ნარუშილოვკა“ იყო გაცემული შსს-ს როგორც მოქმედი, ისე ყოფილი ხელმძღვანელობის მიერ. ცნობილია მხოლოდ ის, რომ საგამოძიებო უწყებები არაერთი ფაქტის კანონიერებას სწავლობენ მედიაში გავრცელებულ ფარულ ჩანაწერებზე დაყრდნობით.

შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი და სუს-ის ამჟამინდელი ხელმძღვანელი ვახტანგ გომელაური პირობას დებს, რომ ვინც კანონი დაარღვია, ყველა დაისჯება.

„თუ ვინმე დამნაშავეა და იქნება გადაცდომა, დაისჯება აუცილებლად. მე ზუსტად ვერ გეტყვით. დაიწყო გამოძიება. რომ გვცოდნოდა, ვინ და როგორ იყო, აღარ დავიწყებდით გამოძიებას. კანონი თუ დაარღვიეს, დაისჯება ყველა, ჩემი მოადგილე იქნება ის თუ დეპარტამენტის უფროსი“, – აცხადებს ვახტანგ გომელაური.

შეგახსენებთ, საპატრულო პოლიციის ყოფილმა თანამშრომელმა, უფროსმა ლეიტენანტმა გიორგი ბაბუნაშვილმა გაასაჯაროვა ფარული ჩანაწერები..

მკითხველს განვუმარტავთ, რომ ე.წ. „ნარუშილოვკის“ აქტი, ეს არის საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის უფლების მომნიჭებელი აქტი, რომელიც გამოიცემა მინისტრის მიერ საიდუმლო რეჟიმში და ეძლევა პირს კონკრეტული ოპერატიული მუშაობის ჩატარების პროცესში. ეს არის საიდუმლო ბრძანებას დაქვემდებარებული აქტის მოქმედება, რომლითაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს, ერთი მხრივ, პოლიციის შესახებ კანონის რეგულაციები, მეორე მხრივ, ოპერატიული სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონის რეგულაციები. ამით გასაგები ხდება, რამდენად მნიშვნელოვანია ასეთი „ტალონის“ გამოყენება სამძებრო სამუშაოების წარმოების დროს, მაგრამ, როდესაც ასეთი „ტალონი“ ხვდება რიგითი მოქალაქის ხელში, ეს უკვე დანაშაულის ნიშნების შემცველია.

ისმის კითხვა: როგორ და რატომ ხვდება ეს „ტალონი“ ჩვეულებრივი მოქალაქის ხელში? რატომ ხვდება, ადვილი განსასაზღვრია. ალბათ, იმიტომ, რომ ამ ადამიანს პრობლემები არ შეექმნას საპატრულო პოლიციასთან, დაუბრკოლებლად გადაადგილდეს ნასვამი, არ ჰქონდეს პროფილაქტიკური საქმიანობის დროს შეფერხებები და სხვა... ამით კი ხელი ეშლება პოლიციის შესახებ კანონის აღსრულებას. ეს არის აშკარად გამოკვეთილი დანაშაულის მატარებელი ნიშნების გამოხატულება, რადგან საქმე ეხება უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას სხვისთვის უპირატესობის მინიჭების გზით.

> „კანონი თუ დაარღვიეს, დაისჯება ყველა, ჩემი მოადგილე იქნება ის თუ დეპარტამენტის უფროსი“



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ბიძინა ივანიშვილმა



## ბიძინა ივანიშვილი: „ვინმეს ნათესაობა არ შეიძლება რაიმე პრივილეგიას წარმოადგენდეს... იმედი მაქვს, რომ ყველა კანონდამრღვევი სათანადოდ დაისჯება“

## „შეიძინე ქართული“ - კომპანია „სმარტის“ ინოვაციური პროექტი და რთველი „სმარტულად“

გიორგი ურუშაძე

**„შეიძინე ქართული“ - ეს სუპერმარკეტების ქსელის „სმარტის“ ახალი ინოვაციური პროექტია. დაეხმარე ქართველ გლეხს და გახდი სოფლის მეურნეობის ხელშემწყობი, ეს კომპანიის მიზანია. სამიზნე არჩეულია, მარშრუტი - კახეთისაკენ დაჯავშნილია და აგერ, რთველიც დაწყებულია. დავით რაჯებაშვილის ოჯახი იმ იღბლიანთაგანი აღმოჩნდა, რომელიც „სმარტის“ ახალი აქციის მონაწილე გახდა. კომპანიამ საკუთარი ხარჯებით კახელი გლეხის მოსავალი შეისყიდა და რაც მთავარია, ამით, საკუთარ მომხმარებელს, ქართული ყურძენი ჩაბარების ფასად შესთავაზა.**



„სმარტის“ მარკეტინგის დეპარტამენტის დირექტორის, ნატალია დარჩიაშვილის აზრით, მნიშვნელოვანია, რომ სეზონიდან გამომდინარე, კომპანია ქართველ გლეხს მხარში დაუდგეს და ამით, ხელი შეუწყოს ქართული სოფლისა და პროდუქტის გაძლიერებას.

**ნატალია დარჩიაშვილი, „სმარტის“ მარკეტინგის დეპარტამენტის დირექტორი:** „სმარტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ქართული პროდუქტის პოპულარიზაციას, ახლა ვიწყებთ ახალ კამპანიას - „შეიძინე ქართული“, რომელიც გულისხმობს, ჩვენ მაქსიმალურ ჩართულობას ადგილობრივი წარმოების წახალისებაში. ჩვენ მეურნეობებში, სხვადასხვა ფერმებში ჩავალთ. მივიღებთ მონაწილეობას მოსავლის აღებაში და ამ პროდუქტს გავყიდით „სმარტის“ სუპერმარკეტებში ჩაბარების ფასად, ანუ ჩვენ აქედან კომერციულ მოგებას არ მივიღებთ. ამ აქციით ჩვენ ორმაგ სარგებელს ვთავაზობთ, როგორც მომხმარებელს, ასევე, მცირე მეწარმეებს, გლეხებს, პატარა მეურნეობებს, რადგან მათ ვეხმარებით მათი პროდუქტის რეალიზაციაში. ხოლო თბილისელ და არამხოლოდ თბილისელ მომხმარებელს, ვაძლევთ საშუალებას, რომ საუკეთესო ფასად შეიძინონ ნატურალური ქართული პროდუქცია. ჩვენ, რა თქმა უნდა, ყურადღებას ვაქცევთ სეზონურ ფაქტორებს, სეზონიდან გამომდინარე, ჩავალთ ხოლმე იმ გლეხებთან, რომლის პროდუქტის აღების სეზონიც არის. პირველად დავიწყეთ ყურძნის აღებით, იმიტომ რომ შემოდგომაა. თანაც კახეთი მეტად საჭიროებს ჩვენ დახმარებას და ვფიქრობთ, რომ მომავალში ჩავიდეთ გორში, ვაშლის დაკრეფის პერიოდში, ჩავიდეთ აჭარაში, როცა იქნება მანდარინის, ფორთოხლის აღების პერიოდი, ახალციხეში, როცა იქნება კარტოფილის აღების პერიოდი და ასე შემდეგ“.

დავით რაჯებაშვილის თქმით, ის დახმარება, რომელიც კომპანია „სმარტმა“ მისი ოჯახისა და მეურნეობის დასახმარებლად გასწია, ფასდაუდებელია.

**დავით რაჯებაშვილი:**
„საერთოდ, რთველი ყოველთვის მნიშვნელოვანია ჩემთვის პირადად. როგორი მოსავალიც არ უნდა იყოს და რა ფასიც არ უნდა იყოს. ის რომ „სმარტის“ კოლექტივი გვერდში მიდგას, ორმაგად მნიშვნელოვანია. ერთი მხრივ, ისინი გვერდში მიდგანან და რთველში მეხმარებიან, მეორე მხრივ კი, ყურძენს იბარებენ. ჩემი ოჯახისთვის, განსაკუთრებით წლევანდელ პირობებში, ეს მხარდაჭერა გადამწყვეტად მნიშვნელოვანია“.

კომპანიის აქციაში მონაწილეობა თანამშრომლებმაც მიიღეს. რატი ავლაბრიშვილი „სმარტის“ სუპერვაიზერია. მისთვის პატივია იყოს ასეთი დიდი და აღიარებული კომპანიის ნაწილი. ეს აქცია კი, ამაში კიდევ ერთხელ არწმუნებს.

**რატი ავლაბრიშვილი, სუპერვაიზერი:**
„პირველად ვართ რთველში. ძალიან გვიხარია. ყველანი კმაყოფილები ვართ. სახალისო დატვირთვაც აქვს პროცესს და ამავდროულად, გლეხებსაც ვეხმარებით. ჩემთვის მნიშვნელოვანია, ჩვენი კომპანიის „სმარტის“ ჩართულობა ასეთ ღირებულ საქმიანობაში. მიხარია, რომ მე და ჩემი თანამშრომლები ამ ზეიმის ნაწილი გავხდით“.

„ვისოლ ჯგუფის“ პრეზიდენტის, სოსო ფხაკაძის თქმით, ეროვნული წარმოების წახალისება და საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა „სმარტის“ სტრატეგიული მიზანია.

„ეროვნული წარმოების წახალისება და საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა „სმარტის“ სტრატეგიული მიზანია. სწორედ ამიტომაც ხდება ყოველდღიურად ახალი ქართული ხორცის, ქართული ყველის და რძის პროდუქტების, ქართული ნატურალური ხილისა და ბოსტნეულის მრავალსახეობის შეთავაზება ჩვენი ერთგული მომხმარებლისთვის. პროექტის „შეიძინე ქართული“ ფარგლებში ჩვენ ვეწვევით საქართველოს ყველა რეგიონს და მოვახდენთ სეზონური ნატურალური ხილისა თუ ბოსტნეულის ადგილობრივი გლეხებისა და მცირე მეწარმეებისგან შესყიდვასა და „სმარტში“ არაკომერციულ ფასად რეალიზაციას. შესაბამისად, გვსურს „სმარტის“ ერთგულ მომხმარებელს მოვუწოდოთ „შეიძინოს ქართული“, - აცხადებს „ვისოლ ჯგუფის“ პრეზიდენტი სოსო ფხაკაძე.

Ⓐ

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# სტრასბურგი ბესელიასა და მაღრაძეს „არ იღებს“

ქეთი ხატიაშვილი

**ასეთი სუსტი დელეგაცია ევროსაბჭოში არ გვყოლია. ასეთი ცუდი შედეგებიც საქართველოს ჯერ არ ჰქონია. რა თქმა უნდა, ეს ოპოზიციას ხელს აძლევს, ამტკიცოს, რომ საქართველომ დასავლურ კურსს გადაუხვია და რომ ახალ ხელისუფლებას არავითარი ინტერესი არ აქვს, პროდასავლურ ფრონტზე გააქტიურდეს.**

სინამდვილეში მმართველ ძალას სტრასბურგში ძალიან სუსტი დელეგაცია ჰყავს. და აქ თითქოს სხვა არჩევანიც არ იყო. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ბესელია-მაღრაძის ტანდემი სტრასბურგში მხოლოდ „შოპინგებზე“ დადის. ისინი საერთოდ არ იცნობენ ევროსაბჭოს კულუარებს და არც არავითარ მუშაობას არ ატარებენ. თითქოს საქმეში თეა წულუკიანიც ჩაერთო, თუმცა საკმაოდ გვიან და, შესაბამისად, უშედეგოდ.

**საქართველოს ყოფილი ელჩი ევროსაბჭოში, რომელსაც სტრასბურგის კულისებში მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს, ახალ დელეგაციას რამდენიმე რჩევას აძლევს:**

„საუბარია გუშინ მიღებულ მეორე რეზოლუციაზე, სადაც საქართველო ფიგურირებს. რეზოლუცია ასამბლეის მონიტორინგის პროცედურის განხორციელებას ეხება. კიდევ 2 უსასყიდლო რჩევა ქართველ დეპუტატებს: 1. რეზოლუციის პროექტი მის განხილვამდე საკმარისი დროით ადრე გქონდათ. ამიტომ სიჩქარეს ვერ დავაბრალებთ იმას, რაც თქვენ შეგეშალათ. მომავალში გაითვალისწინეთ, რომ ცვლილების შეტანისას იქნებ მინიმუმ ერთი, ისე კი, სასურველია ხელმომწერთა ნახევარი მაინც იყოს სხვა დელეგაციებიდან. ასეთი ნაციონალური ცვლილებების წარდგენა, რუსულ დელეგაციას ახასიათებდა მხოლოდ. ნუ მიჰბაძავთ. სჯობს, ერთი მხარდამჭერი მაინც იპოვოთ სადმე; 2. რას ითხოვთ აქ, ვინმემ თუ გაიგო?! იგივე ეწერა რეზოლუციის პროექტში და თქვენ რას ითხოვდით?! ამის ამოღებას/წაშლას ხომ?! ბოდიში, მაგრამ ეს სურვილი ამ ინგლისურ ტექსტში არ ჩანს. ის რომ დატოვეს და ბოლოში პოლიტდევნაზე სიტყვები



## „რას ითხოვთ აქ, ვინმემ თუ გაიგო?!“

დაამატეს, ნაწილობრივ იმის ბრალია, რომ ვერ გაიგეს, რა გნებავდათ. ამ ორი რეკომენდაციით ისარგებლეთ, გამოგადგებათ! და რაც მთავარია, გახსოვდეთ, რომ საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებებს შორის განსხვავებას ევროპაში პატივს სცემენ. ნუღარ ჩაიყვანთ მინისტრებს პარლამენტარებთან. ნურც საელჩოს მოსთხოვთ იმას, რაც დიპლომატების საქმე არ არის. თქვენც ხომ უნდა გაინძრეთ სულ ცოტა მაინც!“

სტრასბურგი საქართველოს დელეგაციისთვის ჩინურივითაა, არაფერი ესმით, თუმცა, მაინც დიდ სიამოვნებას იღებენ იქ ყოფნით. შედეგებზე კი ისე ჩანს, თითქოს პასუხისმგებლობასაც კი იცილებენ თავიდან. მარტივია, სხვას დააბრალო ყველაფერი, შენ ხელები დაიბანო და ყველაფერი ოპოზიციას გადააბრალო. თანაც თუ ეს ოპოზიცია „ნაციონალური მოძრაობაა“, რომელიც ლამის სწორედ სტრასბურგის კულუარებში დაიბადა, ყველა მის ლაბირინთს ხუთი თითივით იცნობს.

საყვედურები ნაციონალების მიმართ ღიად ისმის. და ის ფაქტები, რომელიც რამდენიმე დღის წინ იუსტიციის მინისტრმა დააფიქსირა, კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რამდენად ენერგიულ და აგრესიულ კამპანიას ეწევიან ისინი დასავლეთში საკუთარი პოზიციების შესანარჩუნებლად.

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე თეა წულუკიანმა გიორგი კანდელაკს (რომელიც სტრასბურგში ნაციონალების კვოტით არის დელეგატი) დასერიოზულებისკენ მოუწოდა:

„საზოგადოებას ერთ რამეს ვეტყვი, რომ ცოტა საფუძვლიანი კითხვები დასვით. საზღვარგარეთ, როდესაც ქვეყანას სახელს უტეხთ, საფუძვლიანი ინფორმაციები გაგზავნეთ. ამას მართლა გულისტკივილით გეუბნებით იმიტომ, რომ სადაც კი არ წავედი მივლინებით და მაღალი დონის შეხვედრები მქონია, ყველამ იცის თქვენი გვარი. ეს კარგია, მაგრამ როგორ იცის, იცით? ერთი მაღალჩინოსანი, ერთი ქვეყნის, რამდენიმე დღის წინ მეუბნება, იმიტომ, რომ აღარ მივიღო კანდელაკის იმეილები, იმეილის მისამართი შევცვალეო, და მეორე მაღალჩინოსანმა მითხრა, ორი თვის წინ ევროპის ქვეყნის, ევროკავშირის წევრის მაღალჩინოსანმა, ამდენი რეფორმა თუ ჩაგიტარებია, ამდენი საქმე თუ გიკეთებია, რატომ არ მითხარი აქამდე, დავიღალე კანდელაკის ტყუილი იმეილების მიღებითო. ამიტომ, მოდით, დავსერიოზულდეთ, არ გამოვა სხვანაირად“, – ასე მიმართა თეა წულუკიანმა გიორგი კანდელაკს.

ნაციონალები აწუხებენ, ბევრს წერენ, ბევრს იტყუებიან, როგორც ამბობენ, სამაგიეროდ შედეგიც აქვთ. და ეკა ბესელიამ და გუგული მაღრაძემაც რომ იმუშაონ, რა იქნება? ნაციონალები მათ სტრასბურგის კორიდორებში ფეხს უდებენ თუ კარს უკეტავენ? ყველაფრიდან ჩანს, რომ მათ მუშაობა არ იციან, არც კომუნიკაბელურები არიან და არც კონტაქტები აქვთ.

ამის სანაცვლოდ ბესელია ამბობს, რომ რეზოლუცია, რომელიც სტრასბურგში მიიღეს, „სახალხო პარტიის“ (EPP) ფრაქციის ხელმძღვანელის პედრო აგრამუნტის მიერ არის მომზადებული.

„რეზოლუციის პროექტი, რომელიც ზოგადად ეხება წინასწარი პატიმრობის სტანდარტებს, უნდა გამოხატავდეს ევროსაბჭოსა და ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს სტანდარტს. სამწუხაროდ, ეს დოკუმენტი ერთმა კონკრეტულმა მომხსენებელმა მოამზადა და ეს არის სახალხო პარტიის ფრაქციის ლიდერი. აღნიშნულ პროექტში ფორმულირება არის ისეთი, რომელიც ცილდება ევროპის საბჭოს მერ დადგენილ სტანდარტებსა და კომპეტენციას“, – **განაცხადა ეკა ბესელიამ.**

თუმცა, კენჭისყრებში აღმოჩნდა, რომ ბესელია-მაღრაძის დუეტმა იქაც წააგო, სადაც პოზიციები თითქოს მყარი უნდა ჰქონოდათ.

**ზურაბ ჭიაბერაშვილის** განმარტებით, რომელიც, ასევე, ევროსაბჭოში საქართველოს ელჩი იყო, „რეზოლუციამ ყველაზე მეტი მხარდაჭერა – 35 ხმა მიიღო ევროპის სოციალისტური პარტიისგან, იმ პარტიისგან, რომელშიც თავად „ქართული ოცნებაა“ გაწევრიანებული“.

ასე რომ, მმართველმა კოალიციამ სტრასბურგში უფრო სერიოზული და ენერგიული დელეგაცია უნდა მიავლინოს.





**მამუკა ქლენტი: „სჯობს, ერთი მხარდამჭერი მაინც იპოვოთ სადმე“**





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ბიძინა ივანიშვილი შეიძლება დაბრუნდეს

ქეთი ხატიაშვილი

**ბიძინა ივანიშვილის გარემოცვაში ჯერ ზუსტად არ იციან, რა ფორმით მიიღებს ბიძინა ივანიშვილი არჩევნებში მონაწილეობას. ყველას ესმის, რომ 2016 წილს მარათონი საკმაოდ მძიმე და დაძაბული იქნება. ნაციონალებმა უკვე დააანონსეს, ხელისუფლება გაყალბებისთვის ემზადება და ჩვენ ამას არ დავუშვებთო.**

გაყალბებისთვის არა, მაგრამ მმართველ კოალიციას რომ პრობლემები აქვს რეიტინგებში, ეს უკვე ცხადი ხდება. გასაკვირი არც არის, შიდა და გარე ფაქტორებმა სერიოზული კრიზისული ფონი შექმნა, ასევე, დაძაბულობამ თავად კოალიციის შიგნით და კოორდინაციის არქონამ გააჩინა პრობლემები.

ახლა ბევრი თავად კოალიციაში ფიქრობს, რომ ვითარების შველა არჩევნებზე მხოლოდ ბიძინა ივანიშვილს შეუძლია, რომ ის პოლიტიკაში უნდა დაბრუნდეს და საარჩევნო მარათონს სათავეში ჩაუდგეს.

**ფსიქოლოგი ზურაბ ბიგვავა აღიარებს, რომ ეს „ერთ-ერთი სერიოზული ვარიანტია“:**

– ეს არის ერთ-ერთი და ძალიან სერიოზული ვარიანტი. თუ ივანიშვილი გადაწყვეტს პოლიტიკაში დაბრუნებას იმ სტატუსით, რა სტატუსითაც წავიდა, ეს იქნება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც სერიოზულ ძვრას გამოიწვევს ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაშიც. ეკონომიკურშიც იმიტომ, რომ ქვეყნის მიმართ ინვესტორების ნდობა მყისიერად გაიზრდება. არ არის გამორიცხული, 2016 წელს ბიძინა ივანიშვილი ნამდვილად ვიხილოთ „ქართული ოცნების“ სიის პირველ ნომრად.

ოპოზიციაში მიაჩნიათ, რომ ივანიშვილი არა მხოლოდ დაბრუნდება, „ბევრ თავის შეცდომას აღიარებს“ და ახალი გუნდით გამოვა არჩევნებზე.

ვალერი გელბახიანი ამბობს, რომ ამ პროექტის შეფუთვა ტექნიკის ამბავია, ძალიან მარტივად შეიძლება ამომრჩეველს ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნება აუხსნა, ასევე დაარწმუნო, რომ ხმა კოალიცია „ქართული ოცნების“ განახლებულ შემადგენლობას მისცეს. მოკლედ, გამოცდილი პოლიტიკოსები მიიჩნევენ, რომ ყველაფერი პიარზე იქნება დამოკიდებული.

მეორე მხრივ, მსჯელობენ, რამდენად ჩაერთვება მიხეილ სააკაშვილი არჩევნებში და რამდენად შესაძლებელია, ის ნაციონალების საარჩევნო სიის სათავეში ვიხილოთ. ამჯერად ოდესის გუბერნატორი ურთიერთგამომრიცხავ განცხადებებს აკეთებს. მისი გარემოცვა უკრაინაში ხან ამბობს, რომ სააკაშვილი ოდესაში შემოდგომამდე გაჩერდება, პოროშენკო კი ღიად აცხადებს, რომ სააკაშვილი კარგი პრემიერი იქნებოდა (საქართველოსი). მეორე მხრივ, კი თავად გუბერნატორი ამბობს, რომ სანამ პუტინი ცოცხალია, ის საქართველოში არ ჩამოვა.



## „ეს არის ერთ-ერთი და ძალიან სერიოზული ვარიანტი“

ასეა თუ ისე, სააკაშვილის გათვლა პოლიტიკაში რთულია, უკან დასახევ გზასაც ყოველთვის იყენებს და მანევრის საშუალებასაც. მაგალითად, უკრაინის მოქალაქეობაც მიიღო და ოდესის გუბერნატორიც გახდა, თუმცა უკრაინა ჯერ არ ჩქარობს ქართულ მხარეს ოფიციალურად აცნობოს ამის შესახებ, რის შემდეგაც აქ უკვე მისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევის პროცედურა იუსტიციის სამინისტრომ უნდა აწარმოოს.

**„კანონმდებლობის მიხედვით, პირს, რომელიც 2 წელი არ ყოფილა საქართველოში, არ აქვს უფლება, საარჩევნო კამპანიაში ჩაებას“**

გარდა ამისა, კანონმდებლობის მიხედვით, პირს, რომელიც 2 წელი არ ყოფილა საქართველოში, არ აქვს უფლება, საარჩევნო კამპანიაში ჩაებას და ეს მუხლი მიხეილ სააკაშვილს ეხება. თუმცა, იქვე მითითებულია გამონაკლისიც. ანუ მხოლოდ იმ შემთხვევაშია ლეგიტიმური საარჩევნო რინგზე ასვლა, თუკი რომელიმე საელჩოში აღრიცხვაზე იმყოფები.

როგორც „პრაიმტაიმისთვის“ გახდა ცნობილი, მიხეილ სააკაშვილი ამერიკაში ჩვენს საელჩოშია აღრიცხვაზე.

ოპოზიციაში მიაჩნიათ, რომ, თუკი მიხეილ სააკაშვილი ნაციონალების საარჩევნო სიაში გამოჩნდება, მაშინ ნათელი გახდება, რომ ის რევოლუციის გზით წავა. რა გამოუვა, ეს სხვა საკითხია, მაგრამ რევოლუცია თითქმის გარდაუვალი იქნება...

თუ არადა, ნაციონალების სიას სათავეში დავით ბაქრაძე ჩაუდგება. ყველა კვლევის მიხედვით, ნაციონალებს შორის მას ყველაზე მაღალი რეიტინგი აქვს. ანუ ნეიტრალების ყველაზე მეტი ხმები სწორედ მის ანგარიშზეა. ასე რომ, ამ ფიგურის წინ წამოწევით, ნაციონალები ნეიტრალურ ხმებზე ინადირებენ.

თუმცა, ეს იმ შემთხვევაში თუკი დავით ბაქრაძე პოლიტიკაში დარჩება. ხმები მას ბევრჯერ აუგორეს, თუმცა, პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე პოლიტიკაში მაინც რჩება. მართალია, საკმაოდ პასიურია, მაგრამ კრიზისების დროს ის სწორედ ნაციონალებთან ერთად ჩნდება და განცხადებას მათ ფონზე აკეთებს.

ბაქრაძესთან ერთად თუ მის გარეშე, სააკაშვილის მეთაურობით თუ მარტო, ნაციონალები საარჩევნო რინგზე აგრესიულები იქნებიან და შეეცდებიან, 2003 წლის ვითარება შექმნან. ზოგიერთი ექსპერტის დაკვირვება სწორედ ასეთია. ისინი არჩევნების შედეგებს არ აღიარებენ და შეეცდებიან, საერთაშორისო საზოგადოებაც დაარწმუნონ ამაში. სხვები კი საერთოდაც მიიჩნევენ, რომ არანაირი რევოლუცია და ექსცესები არ იქნება.

შესაძლოა, სააკაშვილი და ივანიშვილი საარჩევნო რინგზე კიდევ ერთხელ ავიდნენ ერთად და ერთმანეთის პირისპირ. ექსპერტებს ჯერ რაიმე კონკრეტული გათვლების გაკეთება უჭირთ.

ასეა თუ ისე ამ დაპირისპირებაში ვიღაც შეეცდება, წყალი აამღვრიოს და ვიღაც შეძლებს, ოქროს თევზი დაიჭიროს. ვისი გახდება სამი სურვილი, ანუ ვინ აიღებს პარლამენტში უმრავლესობას, დააკომპლექტებს აღმასრულებელ ხელისუფლებას და მოიპოვებს ძალაუფლებას, ამას მომავალი გვიჩვენებს.



**„არ არის გამორიცხული, 2016 წელს ბიძინა ივანიშვილი ნამდვილად ვიხილოთ „ქართული ოცნების“ სიის პირველ ნომრად“**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# პრეზიდენტი უფრო ფილოსოფოსია, ვიდრე პოლიტიკოსი

## ვინ როგორ გაიგო მარგველაშვილის პოლიტიკაში დარჩენის სურვილი



„მე პოლიტიკაში ვიყავი, ვარ და იმედი მაქვს, აქტიურ პოლიტიკაში დავრჩები“




ქეთი ხატიაშვილი

**ოპოზიციაში მიაჩნიათ, რომ გიორგი მარგველაშვილი პოლიტიკოსად ვერ ჩამოყალიბდა – ის ფილოსოფოსად დარჩა. საკუთარ გუნდს უღალატა, მაგრამ ნავსაყუდელი ვერც სხვაგან იპოვა. საპარლამენტო ოპოზიციისთვის ის ერთი გაუბედავი ფიგურაა, რომელიც ბრძოლას კი იწყებს, მაგრამ ბოლომდე მიყვანის ძალა და ნება არ გააჩნია. არასაპარლამენტო ოპოზიციისთვის ის არის საშუალება – მთავარია, პოლიტიკაში გამოჩნდეს, რომ ლოკომოტივის ფუნქცია შეიძინოს.**

**ადრე გიორგი მარგველაშვილს მიაჩნდა, რომ ის პოლიტიკური კარიერის პიკზეა და რომ მას პოლიტიკური საყრდენი არ სჭირდება:**

„მინდა გითხრათ, რომ პოლიტიკური კარიერის პიკზე ვარ. ვარ საქართველოს პრეზიდენტი და მაქვს დიდი ვალდებულებები. მე მაქვს სრული საშუალება და რესურსი, საზოგადოებას ველაპარაკო, რანაირად უნდა განვითარდეს საქართველო მომავალში და აქ არის ძალიან მარტივი ჭეშმარიტებები... მე ამ პრინციპებსა და ამ პროცესებს ვემსახურები და გავაგრძელებ მომავალშიც. შესაბამისად, პოლიტიკური ძალა იმისთვის, რომ ჩემი საქმიანობა განვახორციელო, არ მჭირდება“.

ეს მარგველაშვილმა შარშან თბილისში თქვა, თუმცა წელს, უკვე ვაშინგტონში, მან განაცხადა, რომ ის პოლიტიკაში რჩება.

„მე პოლიტიკაში ვიყავი, ვარ და იმედი მაქვს, აქტიურ პოლიტიკაში დავრჩები. მუდმივად საუბარია შეზღუდულ უფლებებზე, რომ აღმასრულებელ გადაწყვეტილებებს ვერ ვიღებ. პარლამენტს მუდმივად უხარია, რომ ვეტოს დაძლევის კვოტა პარლამენტში არის ძალიან დაბალი, მაგრამ მე ამისგან სირთულეს ვერ ვხედავ, რადგან მეძლევა შესაძლებლობა, ძალიან მნიშვნელოვან და სტრატეგიულ საკითხებში მივიღო მონაწილეობა.

მეძლევა იმის შესაძლებლობა, რომ არ ვიყო ჩართული ყოველდღიურ დაპირისპირებებში და პარტიულ პოლიტიკაში. ამ საკითხებს წამოწევენ ხოლმე პოლიტიკოსები, რომელთაც იმედი აქვთ, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით რაღაცა ტიპის გადაწყვეტილებას მივიღებ.

ეს არის უმნიშვნელოვანესი პოსტი და როლი, რომელსაც მე ვემსახურები ჩემი შესაძლებლობების ფარგლებში“

მარგველაშვილის პოლიტიკაში დარჩენას ოპოზიციიდან, ტაშითა და ოვაციით, შეიძლება ითქვას, მხოლოდ ირაკლი ალასანიას პარტია მიესალმა. დანარჩენებისთვის მისი განცხადება მაინც გაუგებარი დარჩა.

**„თავისუფალი დემოკრატების“ წევრმა, დეპუტატმა ნინო გოგუაძემ** რადიო „პალიტრას“ განუცხადა, პრეზიდენტი ხელისუფლებაში ერთადერთია, რომელიც სრულფასოვნად ახერხებს მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებასო:

„თავისუფალი დემოკრატები“ მივესალმებით პრეზიდენტის ამ განცხადებას. საქართველოს ჰყავს ძალიან ღირსეული, ძალიან პრინციპული პრეზიდენტი. ის ერთადერთია სახელმწიფო შტოებიდან, რომელიც ახერხებს, რომ სრულფასოვნად განახორციელოს მასზე კონსტიტუციურად დაკისრებული მოვალეობა. ამისთვის პრეზიდენტს დამატებითი ლეგიტიმაცია და ნებართვა არავისგან არ სჭირდება“.

> „ამისთვის პრეზიდენტს დამატებითი ლეგიტიმაცია და ნებართვა არავისგან არ სჭირდება“

ქალბატონის აზრით, პრეზიდენტი ჩამოყალიბდა, როგორც ძლიერი პიროვნება, გაუძლო იმ საშინელ ზეწოლასა და უდიდეს დაპირისპირებას, რომელიც მის წინააღმდეგ მიმდინარეობდა საკუთარი გუნდის, „ოცნების“ ხელისუფლებისა და უმრავლესობისგან.

„გიორგი მარგველაშვილს არაერთხელ უთქვამს, რომ არის ყველას და არა რომელიმე კონკრეტული პარტიის პრეზიდენტი და პრეზიდენტს „ქართული ოცნება“, სამწუხაროდ, სწორედ ამას ვერ პატიობს. ვერ პატიობს იმას, რომ ის კონსტიტუციით მასზე დაკისრებულ მოვალეობებს პირნათლად ასრულებს. ასე რომ, ასეთი განათლების, კულტურისა და სიძლიერის პრეზიდენტის პოლიტიკაში დარჩენას და მის აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობას ნამდვილად მივესალმებით. ეს სჭირდება საქართველოს და ეს სჭირდება ქართულ პოლიტიკას“, – აღნიშნავს „თავისუფალი დემოკრატების“ ერთ-ერთი ლიდერი.

საინტერესოა, რომ გოგუაძისთვის მარგველაშვილის გუნდიდან გასვლა პროგრესული ნაბიჯია, თამარ ბერუჩაშვილისთვის კი – ღალატი. თავის დროზე, როცა ირაკლი ალასანია თავდაცვის მინისტრობიდან გადააყენეს და მისი ოჯახის წევრებმა აღმასრულებელი ხელისუფლება დატოვეს, მათ თამარ ბერუჩაშვილი ბოიკოტში არ გაჰყვათ. ამიტომაც ის ბევრი უარყოფითი ეპითეტით შეამკეს.

თუმცა, ქართულ პოლიტიკაში თამაშის წესებს არასოდეს იცავდნენ. მაგრამ ეს სულ სხვა ისტორიაა.

ქართული პოლიტიკის განუყოფელი ნაწილი პოლიტიკური ვაჭრობაც არის. მთავარია, პოლიტიკურ დახლზე აღმოჩნდე. სწორედ ამ დახლზე ხედავს ბევრი გიორგი მარგველაშვილს. მისი განცხადება პოლიტიკაში დარჩენის თაობაზე, მაგალითად, მამუკა გამყრელიძემ ვაჭრობის სურვილად შეაფასა: მან დააფიქსირა პოზიცია და ახლა ის ივაჭრებს, – განმარტა მან „პრაიმტაიმთან“ საუბარში.

> „ვარ საქართველოს პრეზიდენტი და მაქვს დიდი ვალდებულებები“


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება




© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ინტერვიუ ფსიქოლოგ

## როგორია საზოგადოებრივი განწყობა არჩევნებამდე ერთი წლით ადრე?




მირიან ბოქოლიშვილი

**როგორი იქნება მომავალ პარლამენტში პოლიტიკურ ძალთა გადანაწილება? რა შანსები აქვთ პრორუსულ ძალებს? გადაინაცვლებს თუ არა პოლიტიკური პროცესები ქუჩაში? როგორ შეიცვალა საზოგადოების განწყობები და დაბრუნდება თუ არა პოლიტიკაში ბიძინა ივანიშვილი? ამ თემებზე „პრაიმტაიმი“ ფსიქოლოგ ზურაბ ბიგვავას ესაუბრა.**

**– ბატონო ზურაბ, პირველ რიგში, მინდა გკითხოთ, რამდენად შეიცვალა საზოგადოების განწყობა... ალბათ, თქვენც ხშირად გსმენიათ ფრაზა – „ოცნება“ დარჩა ოცნებად და მან ვერ გაამართლა ხალხის მოლოდინი...**

– დღეს მოქმედი სახელისუფლებო ძალა წარმოიშვა სპონტანურად, ბიძინა ივანიშვილის გამოჩენასთან ერთად. ვინც უკმაყოფილო იყო, ყველა გაერთიანდა მიშას წინააღმდეგ. ზოგადად, წინასაარჩევნო პერიოდში ხდება ხოლმე გადაჭარბებული დაპირებების გაცემაც და, სხვათა შორის, თავად ბიძინა ივანიშვილი ამის წინააღმდეგი იყო. იყვნენ ქვედა დონეზე ვილაცეები, რომლებიც სოფლებში დარბოდნენ და ხალხს ეუბნებოდნენ, 5-5 მილიონს დაარიგებს ივანიშვილი, ხელისუფლებაში რომ მოვაო. ცხადია, ასეთი დაპირება იყო სისულელე და აბსოლუტური უპასუხისმგებლობა.

**– თუმცა ეს ქალები თავისი ინიციატივით ხომ არ ამბობდნენ „ამ სისულელეებს“...**

– სწორედაც რომ თავისი ინიციატივით ამბობდნენ. არასოდეს მსგავსი სისულელე ბიძინა ივანიშვილს არ უთქვამს. ამას სრული პასუხისმგებლობით გეუბნებით. ძალიან ბევრმა ადამიანმა საკუთარ თავზე აიღო მაშინ ინიციატივა. ეს ყველაფერი ძალიან სწრაფად მოხდა და იმის გაკონტროლება, ვინ რას ამბობდა, პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. მაგალითად, ნაციონალების დროს იყო საერთო მესიჯი და არავის არ შეეძლო, ამ მესიჯში ერთი სიტყვა ამოეკლო ან მიემატებინა. „ქართული ოცნების“ საარჩევნო კამპანიის დროს ეს ასე არ გახლდათ და ბევრი მხარდამჭერი თავის პირად აზრს ლაპარაკობდა, რაც საბოლოოდ აღქმული იქნა, როგორც „ოცნების“ საარჩევნო დაპირება. დაპირებები მიტინგის დროსაც კი ცოტა სხვანაირად ჟღერს. რეალური დაპირებები, რაც იყო, ყველაფერი ჩამოყალიბდა საარჩევნო პროგრამის სახით. ამ პროგრამის რეალიზაცია ბევრ რამეზეა დამოკიდებული, იქნება ეს საგარეო ფაქტორი, თუ რაღაც სხვა რისკები, რომლის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია. რიგ შემთხვევაში ამ დაპირებების რეალიზება მოხდა და საკმაოდ კარგი ეფექტიც მივიღეთ. მაგალითად, ჯანდაცვის რეფორმის სახით, მაგრამ არის საკითხები, რომლებიც ჯერ კიდევ






## „ქართული ოცნება“ ვერ მიიღებს იმდენ ხმას, რაც მიიღო 2012 წლის არჩევნებზე, მაგრამ ის მაინც პირველ ადგილზე გავა, ნაციონალების მხარდამჭერის მაჩვენებელი 15 პროცენტს არ ასცდება, ბურჯანაძე-ინაშვილის ელექტორატი კი 10 პროცენტის ფარგლებში იმერყევებს

რეალიზაციის პროცესშია. თითქოს არაფერია, მაგრამ ერთი მაგალითი მინდა მოგიყვანოთ – საქართველოში სადღაც 3 მილიონი, თუ ცოტა მეტი ადამიანი ცხოვრობს და დადის 1,5 მილიონი ავტომობილი. ქუჩაში ვერ გაივლი, ყველგან ავტომობილი აყენია. ეს ერთი და ორი წლის წინათ ასე არ იყო.

**– ავტომობილებზე ფასები საგრძნობლად დაეცა, ბატონო ზურაბ...**

– კი, ბატონი, გაიაფდა, მაგრამ, საშუალოდ, 3 ათასი დოლარი მაინც ხომ ღირს ავტომობილი. ამ ოდენობის შენაძენი ხომ გააკეთა ოჯახმა?! ჩვენ რომ ობიექტურად გამოვიკვლიოთ ეს ამბავი, აღმოჩნდება, რომ ამ ხნის განმავლობაში რაღაც სერიოზული შენაძენები გავაკეთეთ.

**– თუმცა ლარის დევალვაციის ფონზე, ძალიან ბევრ ოჯახს გაუძვირდა კრედიტი და, შესაბამისად, ცხოვრება... ესეც ხომ ობიექტური რეალობაა?**

– კი, გაუძვირდა, მაგრამ კრედიტს რომ იღებს ადამიანი, მას, წესით, მოსალოდნელი რისკებიც გათვლილი აქვს. ღატაკ ადამიანს კრედიტსაც არავინ მისცემს ხომ? გამოდის, რომ ამ კრედიტსაც ძირითადად შეძლებული ფენა იღებს. ბინებს ყიდულობს ხალხი და მერე წუწუნებენ, კრედიტი გვაქვსო. რომ გითხრა, ამ ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ამ ხალხს კრედიტები გაძვირებოდა, ხომ არასერიოზული იქნება...

**– თუმცა რა გააკეთა, რომ არ გაძვირებოდა?**

– რომ არ გაძვირებოდა, ამათზე არ იყო დამოკიდებული. მე ასე ვფიქრობ. მთელ რეგიონში გაძვირდა დოლარი. წარმოაჩენენ ისე, რომ თითქოს მხოლოდ საქართველოში ხდება ეს პროცესები. არა, ბატონო, შევხედოთ, რა ხდება ჩვენს მეზობელ ქვეყნებში. ხელისუფლებას ბევრი მინუსი აქვს, მაგრამ ყველაფერზე მისკენ თითის გაშვერა, ვფიქრობ, არასწორია.

**– რას მიიჩნევთ ხელისუფლების მთავარ მინუსად?**

– არიან არაორგანიზებულები. ერ-



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ზურაბ ბიგვავასთან

# EXCLUSIVE

**„იყვნენ ვიღაცეები, რომლებიც სოფლებში დარბოდნენ და ხალხს ეუბნებოდნენ, 5-5 მილიონს დაარიგებს ივანიშვილი, ხელისუფლებაში რომ მოვაო. ცხადია, ასეთი დაპირება იყო სისულელე და აბსოლუტური უპასუხისმგებლობა“**



Mzia Saganelidze (RFE/RL)

**„თუ ივანიშვილი გადაწყვეტს პოლიტიკაში დაბრუნებას იმ სტატუსით, რა სტატუსითაც წავიდა, ეს იქნება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც სერიოზულ ძვრას გამოიწვევს ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაშიც“**



**„დარწმუნებული ვარ, მომავალი გუნდი გაცილებით ეფექტური იქნება. ბევრი ადამიანი შეიცვლება. სამწუხაროდ, „ოცნების“ სიაში ბევრი აღმოჩნდა ისეთი, ვინც ძალიან ინერტულია“**

**„ნაციონალების დროს რადარებზე ვიყავით ყოველდღე რუსეთის დედ-მამის გინებით, ეს იყო რადარებზე მოხვედრის ერთ-ერთი ფაქტორი“**

თმანეთთან არ აქვთ კოორდინაცია. ბევრი უუნარო ჰყავთ დასაქმებული. ზოგს გამოცდილება არ აქვს. ნაციონალების დროს ძალიან ბევრი უნარიანი კადრი იყო, ეს ხალხი ყველა არ გაუშვიათ. მათი დიდი ნაწილი დღესაც აგრძელებს მუშაობას, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. ნელ-ნელა ეს პრობლემა სწორდება. ამას უნდა დრო. ძალიან ბევრი რადიკალური ცვლილება აქვს გასატარებელი „ქართულ ოცნებას“, რომ წინასაარჩევნოდ სიტუაცია გამოასწოროს. ბევრია გულგატეხილი ადამიანი, ისინი, ვისაც იმედი გაუცრუვდა, რადგან ეგონათ, რომ „ოცნება“ მოვიდოდა და ავტომატურად თანამდებობაზე დაინიშნებოდნენ, ყველა უფროსი გახდებოდა. ამიტომ ეს ხალხი ცოტა ცხვირჩამოშვებულია. არ არის სწორი ასეთი მიდგომა. ისევე, როგორც იმ ადამიანების დამოკიდებულება, რომლებიც სწრაფად ელოდნენ ცვლილებებს და ეგონათ, რომ, როგორც კი ხელისუფლება შეიცვლებოდა, ეს მათ სოციალურ თუ ეკონომიკურ მდგომარეობაზე აისახებოდა. კიდევ ვიმეორებ, ამ ყველაფერს სჭირდება დრო.

**– თუმცა თავად ბიძინა ივანიშვილმა განუსაზღვრა კონკრეტული დრო ამ ადამიანებს... სწორედ ის ჰპირდებოდათ, რომ მეოთხე წელი იქნებოდა „ძალიან კარგი“, აქედან გამომდინარე, რატომ გიკვირთ საზოგადოების იმედგაცრუება?**

– გეთანხმებით, მაგრამ კიდევ ვიმეორებ, ბიძინა ივანიშვილის მიმართ მხარდაჭერა ძალიან სწრაფად მოხდა. ამიტომაც ეს არ იყო მყარი. როგორც კი პატარა გადაცდომა დაიჭირეს და მთლად ისე ვერ გაკეთდა, როგორც ითქვა, მაშინვე დაიწყეს ლანძღვა. არავინ საუბრობს იმაზე, რა გააკეთა ამ ადამიანმა კახეთის სტიქიის დროს, როდესაც მთელი მოსავალი დაისეტყვა. 80 მილიონი დოლარი დაარიგა და შემდეგ გაირკვა, რომ თანხა ისეთებსაც კი შეხვდათ, ვისაც საერთოდ არანაირი მოსავალი არ ჰქონიათ.

**– ეს გასაგებია, მაგრამ ხომ არ ფიქრობთ, რომ თავის დროზე „ქართული ოცნება“ საკუთარ დაპირებებში ძალიან თამამი იყო... 1 ლარი კილოგრამ ყურძენზე, 220-ლარიანი პენსია, ტარიფების განახევრება და სხვა დაპირებები, რა გათვლებზე დაყრდნობით კეთდებოდა?**

– გეთანხმებით და ვფიქრობ, რომ ზედმეტი დაპირებები იყო გაცემული და კიდევ უფრო აღმატებულად იყო აღქმული მოსახლეობაში. ამას მოჰყვება თავისი შედეგი და „ქართული ოცნება“ ვერ მიიღებს იმდენ ხმას, რაც მიიღო 2012 წლის არჩევნებზე, მაგრამ ამის მიუხედავად, ის მაინც პირველ ადგილზე გავა. ამასთანავე, ის არ და ვერ გააყალბებს არჩევნებს, რადგან ეს პრაქტიკულად თვითმკვლელობის ტოლფასი იქნება. ვვარაუდობ, რომ მოხდება ჩვენი პოლიტიკური სპექტრის ცოტა გამემარჯვენება. გამოჩნდება ხალხი, ვინც ამ უკმაყოფილო და რიგ შემთხვევაში, ბოღმით სავსე ელექტორატის მოთხოვნებს უპასუხებს. „ნაციონალურ მოძრაობას“ ექნება ხმების გარკვეული ოდენობა, მინდა გითხრათ, რომ ისინი თავის მომხრეებს არ კარგავენ.

**– და „ოცნებით“ იმედგაცრუებული ელექტორატი შესაძლოა, ნაციონალების მხარდამჭერი გახდეს?**

– არა, ეს ელექტორატი არ წავა ნაციონალებთან. ისინი გადანაწილდებიან სწორედ მემარჯვენე ორიენტაციის პოლიტიკურ ძალებზე, რომლებიც ითხოვენ სამართლიანობას აღდგენას და გამოდიან რადიკალური ლოზუნგებით. მაგრამ მათი დაპირებები კიდევ უფრო ილუზორულად გამოიყურება, რადგან სამართლიანობის აღდგენა ასეთი მარტივი საქმეც არ არის. მე მაინც მიმაჩნია, რომ ეს ბოლო წელი იქნება სერიოზული ცვლილებების წელი. შესაძლოა, იყოს სამთავრობო ცვლილებები. იქნება სიახლეები, მოქმედების მხრივ. ყოველ შემთხვევაში, დარწმუნებული ვარ, რომ „ქართული ოცნება“, როგორც პოლიტიკური ორგანიზაცია რადიკალურად უნდა შეიცვალოს. მას ამ დრომდე არ უწარმოებია აგრესიული პროპაგანდა. ალბათ, გახსოვთ, ნაციონალები ერთხელ დაგებულ გზას 10-ჯერ რომ ხსნიდნენ. ახლახან გავეცანი ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ გამოცემულ ბუკლეტს და აღმოვაჩინე, რამდენი კილომეტრი და რა ხარისხის გზებია დაგებული ბოლო წლების განმავლობაში. არასად მინახავს, რომ ამის გაშუქება მომხდარიყო. ეს არის პრინციპი, რომელიც ბიძინა ივანიშვილის პრემიერმინისტრობის დროს დაინერგა – პიარის მიმართულებით არ უნდა დახარჯულიყო სახელმწიფო სახსრები.

**– მმართველი გუნდი გასაგებია... საინტერესოა, როგორი იქნება „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდაჭერის მაჩვენებელი 2016 წლის არჩევნებზე?**

– გააჩნია, რა მოხდება. შესაძლოა, ისინი წავიდნენ სიტუაციის გამწვავებაზე. ამ ფონზე არ გამოვრიცხავ, რომ საჭირო გახდეს რაღაც ინფორმაციის გასაჯაროება, რომელსაც ამ დრომდე არ ასაჯაროებდნენ.

**– კომპრომატებს გულისხმობთ?**

– არა მგონია, ხელისუფლება ამ გზით წავიდეს, მაგრამ შესაძლოა, რომელიმე ისეთმა ორგანიზაციამ გააკეთოს ეს, რომელიც სულ არ არის ხელისუფლებასთან აფილირებული, თუმცა დაპირისპირებულია „ნაციონალურ მოძრაობასთან“. მე არ ვარ ამ მეთოდის მომხრე, რადგან ეს არის გზა კონფრონტაციისკენ. რაც შეეხება ნაციონალების მხარდაჭერის მაჩვენებელს, არა მგონია, ეს 15 პროცენტს ასცილდეს. ყველა კვლევა აჩვენებს, რომ „ოცნების“ მხარდამჭერების შემცირების ხარჯზე, არ იზრდება ნაციონალების მხარდამჭერთა რიცხვი.

**– რა შანსები აქვთ რადიკალურ, ე.წ. პრორუსულ ძალებს? ვგულისხმობ ინაშვილისა და ბურჯანაძის პარტიებს...**

– მათ არა აქვთ დიდი მხარდაჭერა. კეთდება გარკვეული კვლევები და როგორც ვიცი, მათი მხარდაჭერის მაჩვენებელი სადღაც 10 პროცენტის ფარგლებში მერყეობს.

**– წლან სიტუაციის გამწვავება ახსენეთ... შესაძლოა, პროცესებმა ქუჩაში გადაინაცვლოს?**

– ჯერჯერობით ამის ობიექტური საფუძველი არ არსებობს. ვნახოთ, რა მოხდება.

**– კომპრომატებით ომის გააქტიურებასაც პროგნოზირებენ... თქვენ რა აზრის ხართ?**

– გამორიცხული არაფერია, მაგრამ ეს იქნება ძალიან ცუდი. ბინძური კადრების გამოქვეყნება ხელს არავის აძლევს. მე მგონი, ორივე მხარეს ეყოფა ჭკუა, რომ საქმე აქამდე არ მივიდეს. როგორც წესი, კომპრომატების ომი ასე მარტივად არ ჩაივლის.

**– როგორ ფიქრობთ, რამდენად სახარბიელოა მოქმედი ხელისუფლების იმიჯი საერთაშორისო ასპარეზზე?**

– საუბარი იმაზე, რომ თითქოს ჩვენ გავქრით საერთაშორისო რადარებიდან და ა.შ. ცოტა გადაჭარბებულია. გააჩნია, როგორ მოხვდება ქვეყანა რადარებზე, ღმერთმა ნუ ქნას და შესაძლოა, დიდი მიწისძვრა მოხდეს, ამას მოჰყვეს დიდი მსხვერპლიც და დარწმუნებული იყავით, რომ კარგა ხანს საერთაშორისო რადარებზე ვიქნებით და მერე რა? ნაციონალების დროს რადარებზე ვიყავით ყოველდღე რუსეთის დედ-მამის გინებით, ეს იყო რადარებზე მოხვედრის ერთ-ერთი ფაქტორი. ვფიქრობ, სწორია, რომ ამ, პოლიტიკით არ ვართ რადარებზე. გვირჩევნია, რადარებზე მოვხვდეთ საინვესტიციო გარემოთი, ახალი ინოვაციური პროექტებით, დემოკრატიის ხარისხით და ა.შ. რადარებზე ყოფნა ხშირად კარგი არ არის, ზოგჯერ ეს ნიშნავს, რომ ქვეყნის შიგნით მთლად ყველაფერი რიგზე არ არის. ზოგადად, მიმაჩნია, რომ ქვეყანა სწორი გზით ვითარდება, დასავლური ორიენტაცია არის პრიორიტეტი, რასაც ადასტურებს საერთაშორისო მისიებში ჩვენი დიდი კონტრიბუცია.

**– გუნდი, რომლითაც დღეს „ქართული ოცნებაა“ წარმოდგენილი, რამდენად კვალიფიციურია და ხომ არ ფიქრობთ, რომ საჭიროა ამ გუნდის თვისობრივად შეცვლა მომავალი არჩევნებისთვის?**

– ადამიანი მოქმედებს და სწავლობს საკუთარი შეცდომების მიხედვით. 2012 წლის შემდეგ მმართველმა გუნდმა გარკვეული გამოცდილება მიიღო, ნახეს, ვინ არის აქტიური, ვინ არის კვალიფიციური და დარწმუნებული ვარ, მომავალი გუნდი გაცილებით ეფექტური იქნება. ბევრი ადამიანი შეიცვლება. სამწუხაროდ, „ოცნების“ სიაში ბევრი აღმოჩნდა ისეთი, ვინც ძალიან ინერტულია, ამიტომ ისინი ნამდვილად შეიცვლებიან. აუცილებლად იქნებიან ახალი სახეები. ეს იქნება მთავარი გამოწვევა „ქართული ოცნებისთვის“.

**– ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნების ალბათობა რამდენად მაღალია?**

– ეს არის ერთ-ერთი და ძალიან სერიოზული ვარიანტი. თუ ივანიშვილი გადაწყვეტს პოლიტიკაში დაბრუნებას იმ სტატუსით, რა სტატუსითაც წავიდა, ეს იქნება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც სერიოზულ ძვრას გამოიწვევს ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაშიც. ეკონომიკურშიც იმიტომ, რომ ქვეყნის მიმართ ინვესტირების ნდობა მყისიერად გაიზრდება. არ არის გამორიცხული, 2016 წელს ბიძინა ივანიშვილი ნამდვილად ვიხილოთ „ქართული ოცნების“ სიის პირველ ნომრად.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# დათო ევგენიძის ცხოვრე



# „ასეთი ჯინიანობის გამო დაინგრა ოჯახი, ეს დიდი ტრავმა იყო შვილებისთვის“

**„ასაკობრივი სხვაობა ცოლიდან ცოლამდე იზრდება. პირველზე ხუთი წლით უფროსი ვიყავი, მეორეზე - ცხრა წლით, მესამეზე - ჩვიდმეტი წლით უფროსი ვარ. მე არ ვბერდები, ახალგაზრდა ვრჩები“**

## „18 წლის ვიყავი ჩემი 16 წლის და ზღვამ რომ წაართვა. ზღვისფერი თვალები ჰქონდა“


my View
ნინო მჭედლიშვილი


**„სულ ვქმნი, მუსიკის შექმნის გარეშე არ შემიძლია. ახლა, თქვენც რომ გელაპარაკებით, ეს პროცესი გრძელდება. ამით ვცხოვრობ, ამით განისაზღვრება ჩემი გეოლოგიური წამმზომი, რომელიც არ ჰგავს საათის წამმზომს“, - მითხრა ინტერვიუს დროს დათო ევგენიძემ.**

მისი მუსიკა ხშირად ზღვისფერია. ზღვამ 16 წლის და წაართვა და ხშირად სწორედ ეს ტრავმა აწერინებს ზღვისფერ მელოდიებს...

დღეს, მუსიკოსი დათო ევგენიძე „პრაიმტაიმთან“ თავისი ცხოვრების განვლილ გზას მოყვება.

### იტალიური ეზო და ოჯახის წევრი მეზობლები

- დავიბადე თუ არა, მახსოვს, რომ ძალიან ბევრი ადამიანი ვიყავით ოჯახში. ესენი იყვნენ: ჩემი დიდი ბებია, ლუბა ლექვინაძე, რომელიც ძალიან მიყვარს, ბებია, ქეთევან მაღლაფერიძე, რომელმაც ხელოვნება, მუსიკა და განათლება შემაყვარა და ძალიან ახალგაზრდა მშობლები. ფაქტობრივად, ჩემი მშობლები ბავშვები იყვნენ, დედა 16-ის და მამა 17 წლის იყო, რომ შეუღლდნენ, სკოლიდან გაიპარნენ. მერე მოსკოვში ჩააბარეს და მეც წამიყვანეს. დავიბადე რუსთაველის 44 ნომერში. იყო საერთო აივანი, რაც ხაზს უსვამდა მეზობლებთან ურთიერთობას. მაშინ მეზობელი ოჯახის წევრი იყო. ჩვენ გარშემო ცხოვრობდნენ სხვადასხვა ნაციონალობის ადამიანები: ქართველი, რუსი, სომეხი, ქურთი. ღია კარებებიდან სხვადასხვა მუსიკა მესმოდა. ის, რომ ბევრ ხალხში გავიზარდე, უკვე ბედნიერებას ბადებდა ჩემში. ალბათ, ამიტომაც განვიცდი დღეს მარტოობას ასე მძაფრად. მე არ მყოლია პაპა და ინტერესი დამრჩა რას ნიშნავდა ეს ფერომენი. ალბათ, ამიტომ ვარ თვითონ 6 შვილიშვილის პაპა. ოთხი პარიზში მყავს, ორი - ნიუ-იურკში, მაგრამ ჯერ ვერ ვხვდები რომ პაპა ვარ. ჩვენი მენტალობიდან გამომდინარე, პაპა ასოცირდება წვერიან კაცთან, ბავშვობის დედანიდან გამომდინარე, არსებულ ხატებასთან, როგორიც არც მამაჩემს მაგონებს, როცა პაპა გახდა და არც საკუთარ თავს.

**- განსაკუთრებული დარიგება გახსენდებათ მშობლებისგან?**

- არ გადაუხადო სამაგიერო. საბავშვო ბაღში უფროსი შემიყვანეს და ყველას ვერეოდი. სკოლაში ყველაზე პატარა ვიყავი და იქ მერეოდნენ. ერთი-ორჯერ რომ დამარტყეს, მეზობლები მირჩევდნენ, შენც მაგრად დაადე ცხვირშიო. საპირისპიროს მარიგებდნენ მშობლები. სხვათა შორის, დამამახსოვრდა და დღემდე არ ვიცი სამაგიეროს გადახდა. მერე, როცა სახარებასაც გავეცანი, როცა ყველაზე დიდი წიგნი, ბიბლია წავიკითხე, მივხვდი, რომ შურისძიება ყველაზე მდაბიო შეგრძნებაა.

### ბევრი ფული - ცუდი ტონი

**- სოციალური ფონი, ფინანსური მდგომარეობა როგორი იყო იმ პერიოდისთვის თქვენს ოჯახში?**

- მაშინ არ ვიცოდით ფული რა იყო. მოსკოვის კონსერვატორიაში რომ ჩავაბარე, დროს ვატარებდით, მაგრამ ფული გვქონდა თუ არა, არ მახსოვს. ბევრი ფული ცუდ ტონადაც კი აღიქმებოდა. ჩვენს წრეში ბევრფულიანები ძნელი მოსახვედრებიც კი იყვნენ. მაშინ საბჭოთა კავშირი იყო, იდეოლოგიაც ისეთი ჰქონდათ... შეიძლება ამაზე არ ფიქრობდი, მაგრამ პროპაგანდა ასეთი იყო, ვინც ბევრი ფული იშოვა, იმას „ძელეცი“ ერქვა და იჭერდნენ.

**- როგორ გამოიყურებოდა თქვენი წრე?**

- მე, გეგა კობახიძე, ირაკლი ჩარკვიანი, ლევან აბაშიძე, ტატო კოტეტიშვილი, რომელი ერთი გითხრათ.

**- როგორ ერთობოდით მაშინ?**

- ჩვენ გართობას შემეცნებითი ხასიათი ჰქონდა. ბევრს ვკითხულობდით, დავდიოდით სპექტაკლებზე, „დომ კინოში“ ვნახულობდით ფილმებს, დახურულ ჩვენებებზე. იქ მოხვედრა ძალიან რთული იყო.

**„სულ ვქმნი, მუსიკის შექმნის გარეშე არ შემიძლია. ახლა, თქვენც რომ გელაპარაკებით, ეს პროცესი გრძელდება“**

### „გარკვეულ ასაკში ახლდა რომანტიკა ქუჩის აკადემიას“

**- რა მოგცათ ქუჩის აკადემიამ გამოცდილების თვალსაზრისით?**

- მეცოდებიან ის ქუჩის ბიჭები, რომლებმაც დომინანტად დადეს ქუჩაში დგომა. ისეთივე ნიჭიერები იყვნენ, როგორებიც ვიყავით ჩვენ და დრო ფუჭად დაკარგეს.

**- თქვენ არ მდგარხართ?**

- როგორ არ ვმდგარვარ, მაგრამ, საბედნიეროდ, ამასთან ერთად მოცარტს ვუკრავდი, ბეთჰოვენს ვუკრავდი და ფოლკნერს ვკითხულობდი. იყვნენ ქუჩის ბიჭები, რომლებიც ასევე განათლებულები იყვნენ, მაგრამ ძალიან ბევრი ისეთი რამ მოიტანა ქუჩის აკადემიამ, რამაც მერე კლასიფიკაცია განიცადა და გახდა ცხოვრების წესი მათთვის. მაგალითად, ის, რომ ჩაცუცქული უნდა მდგარიყავი ქუჩაში. იმ ასაკში ეს ყველაფერი მოგვწონდა. გარკვეულ ასაკში ახლდა რომანტიკა ქუჩის აკადემიას. გარკვეული ასაკის მერე ეს პროფესიად გადაიქცა, სხვის შემაწუხებელ






© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ზისეული გამოცდილება



პროფესიად. მოიტანა შურისძიება, სხვის ცხოვრებაში შეჭრა. რაც სხვას აწუხებს, ის ჩემთვის ყოველთვის მიუღებელია.

**- თქვენ არაფერი გაგიფუჭებიათ იმ პერიოდში?**

- როგორ არა, მიჩხუბია, დამირტყამს, დამიჩაგრავს. სწორედ ამ გამოცდილებიდან გამომდინარე ვამბობ, რომ მეხსიერებაში დატოვა ამ პერიოდმა რომანტიკული მომენტები, მაგრამ არა საუკეთესო. ქალებსაც მოსწონდათ ბიჭები, რომლებიც ჩხუბობდნენ.

**- გიჩხუბიათ ქალის გამო?**

- ბევრჯერ, დღესაც ვაგრძელებ.

**- იმიტომ რომ, თავი მოგეწონებინათ, თუ ამის გარეშე არ გამოდიოდა?**

- რეალურადაც საჭირო ყოფილა და თავის მოწონების მიზნითაც. ერთ ქალს ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავდა და ირემივით რქებით ბრძოლა გიწევდა მისი გულის მოსაგებად. ქალი თუ შენ გირჩევდა, ეს არ იყო მხოლოდ გადამწყვეტი.

**- ხშირად გირჩევდნენ ქალები?**

- მირჩევდნენ კი, ზოგჯერ. სხვათა შორის, უცნაური რამ ხდებოდა. როცა ვმეგობრობდით მე, დათო გომართელი, გეგა კობახიძე, ირაკლი ჩარკვიანი, ლევან აბაშიძე, იმდენად პოპულარულები ვიყავით მაშინ, მნიშვნელობა არ ჰქონდა ქალისთვის, რომელს მოგვეწონებოდა. მთავარი იყო, რომ ამ ჯგუფიდან ერთ-ერთს მოსწონებოდა.

**სასიყვარულო გამოცდილება...**

- სულ შეყვარებული ვიყავი და სულ რისკებთან იყო დაკავშირებული ჩემი რომანები. ჩემს ყველა რჩეულს ოცამდე თაყვანისმცემელი ჰყავდა... დღესაც ძალიან კარგი თაობაა, დაკავებული არიან სპორტით, აქვთ გუდაური, ბაკურიანი, სვანეთი, სამწუხაროდ არ აქვთ აფხაზეთი, რომელიც იყო სამოთხე და მთელი ლავსთორები იქ ხდებოდა.

**- საზაფხულო რომანები გქონიათ?**

- საზაფხულო რომანები საზამთრო რომანებში გადამდიოდა ხოლმე. არასდროს ვყოფილვარ მოკლევადიანი სიყვარულის მონაწილე. მგონია, რომ მოკლე ვადაში ვერ ასწრებ მიხვდე, რა გიყვარს ამ ქალში. რაც უნდა შეიყვარო, ის დროს საჭიროებს. კაცი თუ ხარ, გრძელვადიანი ურთიერთობა უნდა შესთავაზო ქალს, მალე თუ გარბიხარ, შესათავაზებელიც ცოტა გაქვს.

**- რა ასაკში შექმენით პირველი ოჯახი?**

- პირველი შვილი 22 წლის ასაკში გამიჩნდა. ოთხი შვილიშვილი სწორედ პირველი შვილისგან მყავს. ბეჭედი არ ერტყა ჩვენს ურთიერთობას, თორემ ჩვეულებრივი ოჯახი იყო. მეორე ოჯახი 27 წლისამ შევქმენი... 11 წელი გავიდა, რაც მესამე ოჯახი მყავს.

**- შეიძლება გკითხოთ, რა აფუჭებდა ურთიერთობას, რა ანგრევდა ოჯახს?**

- გამოუცდელობა. ანჟელიკას რის გამო დავშორდი არც მახსოვს (იღიმება). მოსკოვში გავიცანით ერთმანეთი. შვილი გააჩინა და გააგრძელა თავისი ფრანგული ცხოვრება. საბჭოთა კავშირის პერიოდი იყო და მაინც ვახერხებდი საგზურებით შვილის ნახვას. მღერის ჩემი პირველი შვილი. მერე იყო ნინა კალანდაძე, რომელიც ოფიციალურად მოვიყვანე ცოლად. შეგვეძინა ლიკა და ლუკა. საკმაოდ საინტერესო ცხოვრება მოგვიწია, ვიყავით კანარის კუნძულებზე, საფრანგეთში, საბერძნეთში. ეს პერიოდი სავსე იყო მოგზაურობებით, სიყვარულით, ჩემი გასტროლებით. ამ შემთხვევაში, ალბათ, ვერ ვიტყვი კონკრეტულ მიზეზს, რის გამოც დავშორდით ერთმანეთს. ყველა ურთიერთობას თავისი კრიზისები აქვს. ალბათ, გავეჯიბრეთ ერთმანეთს, ერთმანეთის ჯინაზე მოვიქეცით და ასე კონკრეტული მიზეზის გარეშე დავშორდით ერთმანეთს.

**- ამართლებს ჯინიანობა სიყვარულში?**

- არა. სწორედ ასეთი ჯინიანობის გამო დაინგრა ოჯახი, ეს დიდი ტრავმა იყო შვილებისთვის.

**- თქვენთვის არა?**

- ჩემთვისაც, მაგრამ ისინი უფრო განიცდიან.

**- არსებობს რეცეპტი იმისთვის, რომ სიყვარული არ გახუნდეს?**

- იფიქრო მის მაგივრად, დადგე მის გვერდით და როცა გაბრაზებულს ჰხედავ, ოდნავ მაინც დაფიქრდე, რატომ გაბრაზდა, რა ეწყინა.

**- ახლა ფიქრობ?**

- კი, ახლა უკვე ვფიქრობ. უკვე ათი წლის შვილი გვყავს მე და ნინოს.

**- ნინოც პატარაა თქვენზე?**

- კი, ასაკობრივი სხვაობა ცოლიდან ცოლამდე იზრდება (იცინის). პირველზე 5 წლით უფროსი ვიყავი, მეორეზე - ცხრა წლით და ახლა 17 წლით უფროსი ვარ. მე არ ვბერდები, ახალგაზრდა ვრჩები.

**- თავად რა გამოცდილება გაუზიარეთ შვილებს?**

- საკმაოდ დემოკრატიული ვარ შვილებთან, არასდროს ჩავრეულვარ მათ პირად ცხოვრებაში. ვაძლევ თავისუფლებას სიყვარულში და შეყვარებულის არჩევანში. ეს მხოლოდ მათი პრეროგატივაა. ერთადერთი რაზეც შეიძლება გავჭედო, არის ის, რომ წაიკითხონ წიგნი, იყვნენ ზრდილობიანები და დაეუფლონ პროფესიას, რომელიც მათ ჩამოყალიბებაში ძალიან მნიშვნელოვანია.

**ზღვაში დაკარგული და და ზღვისფერი მუსიკა**

**- პროფესია როგორ აირჩიეთ?**

- პროფესიამ ამირჩია.

**- კარგი პასუხია, მაგრამ რაღაც ან ვიღაც ყოველთვის ახდენს გავლენას...**

- ეს იყო ჩემი ბებიის, ქეთი მაღლაფერიძის უდიდესი სიყვარული მუსიკის მიმართ. არანორმალურად განათლებული ადამიანი გახლდათ. მუსიკაში იცოდა ისეთი რამეები, რაც კონსერვატორიაშიც კი ვერ მასწავლეს. და მეორე მიზეზი ბედისწერა, რომელმაც სწორად მატარა.

**- ფერი აქვს მუსიკას?**

- მუსიკა მრავალფერია.

**- თქვენი მუსიკა რა ფერია?**

- ცისარტყელის ფერია. ითვალისწინებს ცისარტყელის ყველა ფერს, მაგრამ ზოგჯერ გამოირჩევა ერთი ფერით. ხშირად ზღვის ფერია, იმიტომ რომ, და დამეკარგა ზღვაში. ამიტომ ზღვას ჩემს ცხოვრებაში დიდი გავლენა აქვს. 18 წლის ვიყავი, ჩემი 16 წლის და ზღვამ რომ წამართვა. ზღვისფერი თვალები ჰქონდა.

**- როდის ქმნით, როცა გიჭირთ თუ როცა ბედნიერი ხართ?**

- სულ ვქმნი, მუსიკის შექმნის გარეშე არ შემიძლია. ახლა, თქვენც რომ გელაპარაკებით, ეს პროცესი გრძელდება. ამით ვცხოვრობ, ამით განისაზღვრება ჩემი გეოლოგიური წამმზომი, რომელიც არ ჰგავს საათის წამმზომს.

**- დეპრესია გქონიათ?**

- კი, ხშირად. დეპრესია მაქვს ჩემი ქვეყნის გამო. როდემდე უნდ ვიყოთ ზიზღით, შურისძიებით სავსე. ეს არის ერი, რომელიც ბედნიერებას იმსახურებს და აუცილებლად უნდა გაიზარდოს ბედნიერების აურაში შემდეგი თაობა მაინც. ჩვენც უნდა მოვესწროთ მათ ბედნიერებას.



**„კაცი თუ ხარ, გრძელვადიანი ურთიერთობა უნდა შესთავაზო ქალს, მალე თუ გარბიხარ, შესათავაზებელიც ცოტა გაქვს“**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# საარჩევნო რინგში პოლ

## EXCLUSIVE

## „დღეს ნაციონალებში ასეთ პოპულისტს ვერ ვხედავ. ისინი, ვისაც პოპულისტურად შეეძლოთ ხალხთან მუშაობა, ციხეში არიან“



ქეთი ხატიაშვილი

**რა ხდება პოლიტიკაში, როცა მთავარი პოლიტიკური მოთამაშეები სახიფათო და აგრესიულ განცხადებებს აკეთებენ. როცა ნაციონალი დეპუტატი კაკო ბობოხიძე ამბობს: „დროა, უკვე პასუხი მოსთხოვოთ არა მარტო ბიძინა ივანიშვილს, არამედ იმ თქვენს მეზობლებსაც, რომლებიც დილიდან საღამომდე, ალბათ, ტვინს გიბურღავდნენ იმ აგიტაციით, რომ „ქართული ოცნებისთვის“ მიგეცათ ხმა“. მართალია, ხელისუფლების მხრიდან აგრესიული მოწოდებები არ ისმის, მაგრამ არიან ძალები, რომლებიც ხელისუფლებას სამართლიანობის აღდგენის ტემპების გამო საყვედურობენ და მოსახლეობას შურისძიებისკენ მოუწოდებენ. ერთი ასეთი ემზარ კვიციანია, რომელმაც, ასევე, სახიფათო განცხადება გააკეთა: „ვინც მეთანხმებით, გამომეხმაურეთ, როგორც კი საქართველოს გამყიდველი ნიკა გვარამია შეეცდება ქუჩაში გამოსვლას და აქციის მოწყობას, ვასწავლოთ ჭკუა, რადგან ხელისუფლებას სამართლიანობის აღდგენა არ ეჩქარება და ვიღაც X-ი არ აძლევს უფლებას. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ თვითონ მივუჩინოთ თავისი ადგილი!“**

**საარჩევნო რინგზე ვითარება იძაბება. გახდება თუ არა ასეთი შინაარსის განცხადებები სამოქალაქო დაპირისპირების მიზეზი, როგორი საარჩევნო მარათონი გველის წინ და გამოჩნდება თუ არა პოლიტიკაში ბიძინა ივანიშვილი? ამ და სხვა საკითხებზე „პრაიმტაიმს“ ესაუბრება საზოგადოებრივი მოძრაობის „ივერიის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი მამუკა გამყრელიძე:**

– ექსტრემისტული განცხადებები ადრეც გაისმოდა, სხვათა შორის, ჟურნალისტებისგანაც. მაგალითად, არის ასეთი – მირიან ყარაულაშვილი, რომელსაც ჰქონდა იდეა სიმონ ვიზენტალის საზოგადოების შექმნისა. ვიზენტალი ებრაელი გახლდათ, რომელიც ნაცისტების მოძებნისა და მკვლელობისთვის ფულად ჯილდოს აწესებდა. მახსოვს, ყარაულაშვილმა ამ ცოდვის შენდობა პატრიარქს წინასწარ სთხოვა. ასეთი ექსტრემისტული გამოხტომები აბსურდულია. შეიძლება გარკვეული ინციდენტები მოხდეს ყოფით დონეზე, როცა, მაგალითად, ჭიაბერაშვილს დაარტყეს... სისხლისღვრამდე საქმე არ მივა, დაიღალა ხალხი ამდენი გაწევა-გამოწევით...

სხვათა შორის, ქართველ ხალხზე სოციალური პირობების მკვეთრი გაუარესებაც კი არ მოქმედებს განსაკუთრებულად. შევარდნაძის დროსაც კი, როცა უკიდურესი გაჭირვება იყო, ხალხი ქუჩაში არ გამოსულა. მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკურმა მოწოდებებმა გამოიყვანა ხალხი ქუჩაში...

ასე რომ, არ მგონია, სოციალურმა სიდუხჭირემ, რაც შეიძლება მივიღოთ ზამთარში, ქუჩის აქციები გამოიწვიოს...

**– რა იგულისხმება პოლიტიკურ მოწოდებებში, მაგალითად, მოწოდება: „ძირს მთავრობა“ ხალხს ქუჩაში გამოიყვანს?**

– არა, იმიტომ რომ, როცა „ძირს მთავრობას“ იძახი, საპირწონედ რაღაც უნდა მომცე... ანუ უნდა მესმოდეს და ვხედავდე, ერთის დამხობით რა მოდის და ვინც მოდის, რას აკეთებს, როგორც ეს „ვარდების რევოლუციის“ დროს მოხდა...

მაშინ სააკაშვილმა ეს კარგად მოახერხა. ის სერიოზული პოპულისტია და შეუძლია ხალხთან მუშაობა... დღეს ნაციონალებში ასეთ პოპულისტს ვერ ვხედავ. ისინი, ვისაც პოპულისტურად შეეძლოთ ხალხთან მუშაობა, ციხეში არიან. მთავარი პოპულისტი უკრაინაშია და რამდენად აინტერესებს საქართველოში ჩამოსვლა, იქ სრულიად სხვა განზომილებაშია, არ ვიცი, ამას დრო გვიჩვენებს.

ახლა პოპულიზმის კუთხით მომგებიანად მუშაობს ირმა ინაშვილი. მისი ელექტორატი იზრდება...

**– ვის ელექტორატზე ზის ინაშვილი?**

– ინაშვილი სხვადასხვა ელექტორატზე ზის.

**– და არა მგონია, ის პრორუსული იყოს...**

– არა, ის არ არის პრორუსული. მას მხარს უჭერს ხალხი, ვინც არ უკვირდება, რა შედეგები შეიძლება მივიღოთ... არ ვიტყვი, რომ ეს ხალხი უგუნურია ან ბეცი, ხშირად ისმის ასეთი შეფასებები. ეს ხალხი, უბრალოდ, არ უფიქრდება, რა შეიძლება მომავალში მოხდეს. კრიტიკულად არ აფასებს საკუთარ ნაბიჯებს და ემოციის დონეზე იღებს გადაწყვეტილებებს...

საგარეჯოს არჩევნებთან დაკავშირებით პატარა კლიპს ვუყურე, სადაც იყო კითხვა: რატომ მისცემ ხმას ირმა ინაშვილს? პასუხი: იმიტომ, რომ მან საქართველო გადაარჩინა, ანუ მიშას წინააღმდეგ ბევრი რამ გააკეთა... სხვა კითხვა: რატომ არ მისცემ ხმას ხელისუფლებას? პასუხი: იმიტომ რომ დაღუპეს საქართველო... რეალურად ირმა ინაშვილმა მოიყვანა ეს ხელისუფლება სათავეში და თუ ამით საქართველო გადაარჩინა, როგორღა დაღუპა? ამას რომ ეკითხები, მერე უკვე პასუხი აღარ აქვს...

სამწუხაროდ, ეს ნაციონალების ბრალია... მათ უდავოდ ძალიან ბევრი საქმე გააკეთეს. როგორ შეიძლება, ეს არ დაინახო, მაგრამ ბევრი ცუდიც ჰქონდათ. მაგალითად, მათ საზოგადოების განათლების დონე არ ასწიეს. ცვლილებები, რაც განათლების სისტემაში მოხდა, არ იყო სისტემის ცვლილება, ეს იყო კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა. ეს მათ ბრწყინ-



## „ივანიშვილი სერიოზული მოთამაშეა. ის დაფიქრებული კაცია, მკვეთრ ნაბიჯებს არ აკეთებს, არ ჩქარობს და დიდხანს შეუძლია მოცდა“



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# იტიკური დეტალებით

ვალედ შეასრულეს. ეროვნული გამოცდები არის ის, რომ კორუფცია აღმოიფხვრა სისტემაში, თორემ მათ ხალხში სამოქალაქო განათლება ვერ შეიტანეს. ჩვენ ვერ შევიგრძენით, რა არის სახელმწიფო, ვერ გავითავისეთ დროშისა და გერბის მნიშვნელობა... ჩვენში სახელმწიფოებრიობის შეგრძნება უნდა გაღვივებულიყო...

ნახეთ, რა მოხდა ჩინეთში. გემებზე სვამდნენ ახალგაზრდებს და ამერიკაში უშვებდნენ სასწავლებლად. არ იყო საჭირო მაინცდამაინც ჰარვარდის დამთავრება, საშუალო სასწავლებლებიც საკმარისი იქნებოდა... ერთი ტანკის ფასად სჯობდა, 10 სტუდენტი გაგვეშვა ამერიკაში სასწავლებლად...

**– მაგრამ არის მეორე მხარე. როცა ოპოზიცია მუდმივად ცდილობს, შეგაჯანჯღაროს და გადმოგაგდოს, ალბათ, ფოკუსირებას ხელისუფლების შენარჩუნებაზე ახდენ და სხვა თემები უკანა პლანზე გადადის...**

– ამასაც შევეხოთ. ხომ გახსოვთ, გალიები რომ დადგეს, მდაბიო გამოსვლები რომ ჰქონდათ, ტელევიზიის წინაც იდგნენ. მაგრამ ერთადერთხელ მახსოვს მასშტაბური გამოსვლა, როცა „იმედში“ შეიჭრნენ და დახურეს. მაშინ არ დავიზარე და თბილისში ოჯახთან ერთად ჩამოვედი, სიცივეში ვიდექი. მერე, ოპოზიციას რომ შევხედე, მივხვდი, მათ გვერდით ვერ დავდგებოდი და მოსკოვში დავბრუნდი... მათში მუხტი ვერ დავინახე. ამხელა მასა გამოიყვანო ქუჩაში, ხელისუფლების შეცვლა კი არ შეგეძლოს, ანუ პირველი ნაბიჯი გადადგა, ხალხი გამოიყვანო და მეორე ნაბიჯზე უკვე, როგორც ხდება ხოლმე, ჯიბეში რაღაც ჩაიდო და წახვიდე, ხალხი მიატოვო... ამას მე „ბუფეტჩიკის“ აზროვნებას ვეძახი, არანაირი ხედვა, არანაირი სტრატეგია... ქართველებს სტრატეგიულ აზროვნებაში საერთოდ ძალიან სერიოზული ჩავარდნა გვაქვს...

**– რაც შეეხება ოპოზიციას... იმ ოპოზიციისგან განსხვავებით, ნაციონალები მეორე უკიდურესობაა, ის პრინციპულად იქნება შეურიგებელი ყველაფრის მიმართ. მაგალითად, როგორი იდეალური კონსტიტუციის პროექტიც არ უნდა მიიღოს ხელისუფლებამ, ის მაინც არ დაუჭერს მხარს...**

– ჯიბრში ჩადგომაც არ შეიძლება, ეს დამღუპველია. საერთოდ, პასუხისმგებელი ყოველთვის ძლიერია. ხელისუფლებას, ძლიერს უნდა ეყოს ღირსება...

**– ჩემთვის პოლიტიკა ორმხრივი მოძრაობაა...**

– ცხადია, მაგრამ ხელისუფლებას მეტი შეუძლია, ყველა ბერკეტი მის ხელშია... თუ იწყებ მოწინააღმდეგის ლანძღვასა და ქილიკს... ეს მიუღებელია...

**– მაინც მინდა მოვისმინო თქვენი შეფასება ოპოზიციაზე.**

– ოპოზიცია სუსტია. კი ვამბობთ პროდასავლური, პრორუსული ძალები, მაგრამ ასეთი დაყოფა არასწორია. ნებისმიერი ძალა სახელმწიფოს ინტერესებზე უნდა იყოს ორიენტირებული. ამ შემთხვევაში ჩვენ გარკვეული ვექტორი გვაქვს არჩეული – ეს არის ევროატლანტიკური ინტეგრაცია. ქვეყანა არის ოკუპირებული და ოკუპანტი არის რუსეთი. მასთან ჩვენ მეგობრობა არ გამოგვივა. ჩვენ შეგვიძლია, მასთან მხოლოდ ვილაპარაკოთ, ეკონომიკური ურთიერთობები გვქონდეს, როგორც, მაგალითად, იაპონიას აქვს რუსეთთან, კურილიის კუნძულებზე დავის მიუხედავად. მომხრე ვარ ეკონომიკური ურთიერთობების. რუსეთი მეგობარი ვერ იქნება, ეს აბსურდულად მიმაჩნია, მეგობარი შეიძლება იყოს მხოლოდ ევროატლანტიკური ქვეყნები. იქ შეიძლება მხარდაჭერას ვეძებდეთ.

აქვე გეტყვით, რომ არ ვემხრობი აბაშიძე-კარასინის მოლაპარაკებების ფორმატს და კატეგორიულად მიუღებელია ჩემთვის „გაზპრომთან“ საუბარი, რომელიც ახლა წამოიწყო ენერგეტიკის მინისტრმა. ვფიქრობ, ეს ძალიან რისკიანი და საშიში გზაა და შეიძლება რუსეთს ჩვენზე ზემოქმედების დამატებითი ბერკეტი ჩავუგდოთ ხელში...

**– ფიქრობთ, რომ მთავარ პოლიტიკურ მოთამაშეებად ნაცები და ქოცები დარჩებიან, თუ ინაშვილი კონფიგურაციას შეცვლის?**

– მართალი გითხრათ, ნაცებად და ქოცებად დაყოფა ძალიან არ მიყვარს. აქ ცხოვრებისეულ ღირებულებებსა და ფასეულობებზეა საუბარი. ორი სხვადასხვა ფასეულობის მქონე ჯგუფია დაპირისპირებული. ამ შემთხვევაში აქ საუბარი არ არის პროდასავლურობაზე ან პრორუსულობაზე... აქ მენტალობაზეა აქცენტი, აქ არის განსხვავება. მე სახელმწიფოში მინდა ცხოვრება, თუ მინდა დღეს ფული „მოვტეხო“ და მერე ნიცაში დავისვენო. ამ ორ მსოფლმხედველობასთან გვაქვს საქმე. ნიცაში ყველას სურს დასვენება, მაგრამ განსხვავებაა, როგორ ახერხებ ამას, საკუთარი შრომით გამოიმუშავებ თუ მოიპარავ და ისე წახვალ.

## „ორი სხვადასხვა ფასეულობის მქონე ჯგუფია დაპირისპირებული. ამ შემთხვევაში აქ საუბარი არ არის პროდასავლურობაზე ან პრორუსულობაზე“

**– რა იქნება ის ახალი ფუნქცია და ნიშა, რასაც „ქართული ოცნება“ ახლა ამომრჩეველს შესთავაზებს?**

– ეს ძალა მთლიანად პოპულიზმსა და ნეგატივზეა ორიენტირებული... ვერ ვხედავ კრიატივს და ახალ იდეას, რომ ხალხი გაჰყვეს...

**– ხომ არ ფიქრობთ, რომ ახლა ვდგავართ განვითარების იმ ეტაპზე, როცა საქართველოში უნდა ჩამოყალიბდეს, ისევე როგორც ამერიკაში, ორი ძირითადი ძალა, ან როგორც ევროპაშია – სამი ან ოთხი პოლიტიკური მოთამაშე. ამ შემთხვევაში ჩვენ ვხედავდით, რომ სააკაშვილის ხელისუფლება უფრო საგარეო პოლიტიკაზე იყო ორიენტირებული, ეს ხელისუფლება უფრო სოციალურ საკითხებზეა ფოკუსირებული... ხომ არ ფიქრობთ, რომ ამ ნიშის დაკავება იქნება ახლა მათთვის მთავარი?**

– ამ შემთხვევაში დაგეთანხმებოდით და ვიტყოდი, რომ ძალიან კარგი იქნებოდა, თუკი ამგვარ პოლიტიკურ განლაგებაზე ვისაუბრებდით. ვისურვებდი, ასე იყოს, მაგრამ აქ რამდენიმე ფაქტორია: ჯერ სახელმწიფო ინსტიტუციები უნდა ჩამოყალიბდეს. ნაციონალების დროს ეს პროცესი დაიწყო, მაგრამ ვერ დასრულდა. ამ პროცესს კიდევ რაღაც დრო სჭირდებოდა. რაღაც პერიოდი რბილი დიქტატურაა საჭირო, რომ ინსტიტუტები ჩამოყალიბდეს და მივიღოთ სახელმწიფო ინსტიტუციები. ახალი სახელმწიფო ვართ, სახელმწიფოებრიობის მეხსიერება არ გაგვაჩნია და ახლა პირდაპირ დემოკრატიაზე საუბარი რთული და შეუძლებელია. ასე რომ, ჯერ უნდა მოხდეს სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბება. სასამართლოს მიმართულებით, პირველ რიგში. აქ ჰქონდათ ნაციონალებს სერიოზული გარღვევა. ამის შემდეგ, ერთი სტრატეგიული ღერძი უნდა გაჩნდეს და ამ ღერძის გარშემო მერე გინდა მწვანეების პარტია იყოს და გინდა – სხვა.



## „რეალურად ირმა ინაშვილმა მოიყვანა ეს ხელისუფლება სათავეში და თუ ამით საქართველო გადაარჩინა, როგორღა დაღუპა?“

**– ეს რთული პროცესია და დასავლეთმაც გაიარა პოლიტიკური ბატალიები. პირადად ვფიქრობ, რომ ეს კანონზომიერებაა, რაც ახლა ხდება...**

– კი, ტრაგიკულს ვერაფერს ვხედავ... ეს მოსახდელი გვაქვს...

**– ისევე როგორც პოლიტიკოსებისა და პოლიტიკის ზედმეტი ჩართულობა მედიაში...**

– ფული ბევრ რამეს წყვეტს, გეთანხმებით.

**– ფული? აქ საუბარი პოლიტიკურ ფულზეა, ბიზნესის ფული კიდევ სხვა ისტორიაა...**

– დიახ, შეგვიძლია, ვთქვათ – პოლიტიკით ნაშოვნი ფული....

აქვე ვიტყვი, რომ „ქართულ ოცნება“ არ არის სახელმწიფოებრიობაზე ორიენტირებული. ბიძინამ თქვა, ჩვენ არ უნდა ვიყოთ ლიდერები რეგიონში, წყნარად უნდა ვიყოთო... ხდება რუსეთისკენ კურსის ჩაჩოჩება. თუ აქტიურ თამაშს არ ეწევი, ვიღაცა გადაგქაჩავს.

**– პარალელი გავავლოთ. ალიევის განცხადებები ევროსაბჭოს მიმართ მოსმენილი გექნებათ, აზერბაიჯანის პრეზიდენტმა გააკრიტიკა სტრასბურგი. ანუ არის შემთხვევები, როცა პოლიტიკოსები განცხადებებს ტაქტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე აკეთებენ? დაუჯერებელია, რომ ბაქოს დასავლეთის მხარდაჭერა არ სჭირდებოდეს, ისევე როგორც ჩვენ...**

– ჩვენ ბაქოზე ორიენტირებას თუ გავაკეთებთ, სწორი არ იქნება იმიტომ რომ რისი უფლებაც აქვს იუპიტერს, იმის უფლება არ აქვს კეისარს. ბაქო გაცილებით უკეთეს მდგომარეობაშია ნავთობის გამო. მას შეუძლია რაღაც-რაღაცების კარნახი, მას შეუძლია კრიტიკა. ნუ დავიწყებთ საუბარს, რას ლაპარაკობს ბაქო, ჩვენ იმ ტონში უნდა ვილაპარაკოთ, რაც გვაქვს. „ქართულ ოცნებას“ ვეთანხმები იმაში, რომ არ შეიძლება სიძულვილის ენით რუსეთთან საუბარი, არ შეიძლება მისი გალიზიანება, ამით ვერაფერს მივიღებთ. ნეგატივით კი არ უნდა მივუდგეთ, უნდა შევეცადოთ, ჩვენი პოზიციები გავაძლიეროთ საერთაშორისო ასპარეზზე.

**– ელოდებით ივანიშვილის გამოჩენას საარჩევნოდ პოლიტიკაში? თუ, თქვენი აზრით, ეს იქნება პირველი არჩევნები, სადაც ქარიზმატული ფიგურები არ გამოჩნდებიან... ხომ არ განმეორდება 2003 წელი, როცა ოპოზიციამ არ აღიარა არჩევნების შედეგები და ქუჩაში გამოვიდა?**

– ხალხში გაღიზიანების იმ დონეს ვერ ვხედავ, რომელიც მას გარეთ გამოიყვანს. ვითარების ხელიდან გაშვებაც არ შეიძლება, იმიტომ რომ არ გამოვრიცხავ, მომავალში რეპრესიები დაიწყოს...

...ივანიშვილი სერიოზული მოთამაშეა. ის დაფიქრებული კაცია, მკვეთრ ნაბიჯებს არ აკეთებს, არ ჩქარობს და დიდხანს შეუძლია მოცდა. ძლიერი მოთამაშეა. ძალიან კარგად იცის ჩრდილში მუშაობა... წინასწარ შეუძლია გათვლების გაკეთება... მასთან თამაში რთული იქნება...

## „ქართულ ოცნებას“ ვეთანხმები იმაში, რომ არ შეიძლება სიძულვილის ენით რუსეთთან საუბარი, არ შეიძლება მისი გალიზიანება, ამით ვერაფერს მივიღებთ“



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება




თინა დალაქიშვილი






ეკა დემეტრაძე




მაგდა კლდიაშვილი

## დააბრუნებენ თუ არა ძველ



**„ჩემი ცოლის დაქალები" ახალი სეზონისთვის ემზადება. გადაღებები დაწყებულია. სერიალის მთავარი გმირის, კატოს როლის შემსრულებლისთვის ჯერ არ დაურეკავთ. ლელა მებურიშვილმა ახალი სეზონიდან ახალი ამპლუა მოირგო და „იმედის" შუადღის ეთერის წამყვანი გახდა. კულუარებში საუბრობენ იმაზე, რომ ამ ნაბიჯის გამო ლელაზე „რუსთავი 2"-მა უარი თქვა და სერიალში ძველ კატოს, ნინო გაჩეჩილაძეს აბრუნებენ.**

**ლელა მებურიშვილი:**

- ამ ეტაპზე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ გადაღებები დაწყებულია. კონფლიქტი „იმედში" წასვლასთან დაკავშირებით „რუსთავი 2"-ის შემოქმედებით ჯგუფთან არ მქონია. კარგი ურთიერთობა მაქვს დღემდე ამ ადამიანებთან, ისინი ჩემი მეგობრები არიან.

**- ანუ სერიალში კვლავ გამოჩნდებით?**

- ჯერ მათ უნდა გააკეთონ კომენტარი, მე ვერაფერს გეტ...

**- კულუარებშ... უნებაზე საუბრ... ერი გსმენიათ ამ...**

- არაფერი, და... წყებას, ჩემთვის ... უძახიათ. ვნახოთ...

**მიშა მშვილდ...**

- ძალიან მალე... კარტებს ვერ გაგ...

**- ძველი კატო... უბარი?**

- ამ ეტაპზე ვ... მდე გაგებით მოე...

**გიორგი ლიფ...**

**- გიორგი, სა... დაბრუნებაზე ს... ავთ კვლავ ნინო... ლის დაქალებში"...**

- ცოტა ხანში... თავად ნახავთ, რ... რიალში.

## მამუკა ჩარკვიან... შემდეგ თბილ... „მგონია, რო...



**როგორც უკვე იცით, მომღერალი, მამუკა ჩარკვიანი ვენის კლინიკაში გადაიყვანეს. მომღერალს ვენაში ამ დრომდე ოთხი ოპერაცია ჩაუტარადა ფეხზე. მთლიანობაში - რვა. მამუკა უკვე ორი კვირაა თბილისშია. ჩვენ მომღერლისა და კომპოზიტორის დას, თაკო ჩარკვიანს დავუკავშირდით და მამუკას ჯანმრთელობის მდგომარეობა გამოვკითხეთ.**

**თაკო ჩარკვიანი:**

- ცოტა უკეთ არის. 10 ოქტომბრამდე ფეხის დადგმა არ შეიძლება. მერე, ალბათ, ჩამოვადგმევინებთ ფეხს. ახლა რეაბილიტაციის პერიოდი აქვს. 10 ოქტომბერს კიდევ ნახავენ ექიმები დ... თდება.

**- მამის...**

- ვერა, ...

**- თავად... განწობა ...**

- იგრძ... აფრისგან... იაო, ამბო... რომ ბევრ...

**- სინაი...**

- ჰო, მ... რომ მეხმი... მუკას.

## ლანჩხუთის „გურიას" 2... ავტოკატასტროფაში გ...



**ზედიზედ მეორე წელია, რაც საფეხბურთო კლუბი „გურია" ახალგაზრდა ფეხბურთელს კარგავს.**

25 წლის მიხეილ გოგუაძე, რომელიც ლანჩხუთელთა კარს იცავდა, პირველ ოქტომბერს, ავტოკატასტროფაში, სოფელ ნიგოითში გარდაიცვალა. არსებული ინფორმაციით, გოგ... ავტომობ... მელიც წ... ალდა და... ხბურთელ... მოხერხდ...

გასულ... დროს, „გ... ფეხბურთ... ტოციკლ...



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება



ნინო მჭედლიშვილი

# ...კატოს „ჩემი ცოლის დაქალებში“




...ყვით.

**...ში ძველი კატოს დაბრ-...ობენ, თქვენ ხომ არაფ-...ის შესახებ?**

...ველოდოთ სერიალის და-...გადაღებებზე ჯერ არ და-... რა მოხდება.

**...აძე:**

... გაირკვევა ყველაფერი... ...იხსნით.

**...ს დაბრუნებაზე არის სა-...**

...ვერაფერს გეტყვით. მანა-...კიდეთ საკითხს (იცინის).

**...ონავა:**

**...უბრობენ, ძველი კატოს ...ერიალში, ხომ არ ვნახ-... გაჩეჩილაძეს „ჩემი ცო-...“?**

... პრომო გავა ეთერში და ...რომელი კატო იქნება სე-...

**- გამორიცხავთ, რომ სრულიად ახ-ალი მსახიობი დაამტკიცოთ ამ როლზე?**

- არაფერია გამორიცხული.

თუ გავითვალისწი-ნებთ იმას, რომ „ჩემი ცოლის დაქალებში“ სეზონის დაწყებამდე ქასთინგი გამოცხად-და, გამორიცხული არ არის, კატოს როლის შემსრულებელი კიდევ ერთხელ შეიცვალოს და ამ როლზე სრულ-იად ახალი სახე იხილოს მაყურებელმა. ისე კი, სერიალის მესვეურები ახალი სახეებით ხშირად ანებივრებენ მაყურებელს.

ჩვენ ნინო გაჩეჩილაძე-სთან დაკავშირებაც ვც-ადეთ, მაგრამ მან ჩვენს ზარს არ უპასუხა.

# ...ი მერვე ოპერაციის ...დისში დაბრუნდა ...მ გადავრჩებით“



...და გადაწყვეტენ რა ოპერაცია გაკე-...

**... იუბილეს დაესწრო?**

... ფეხმა არ გამოუშვა.

**...დ როგორ არის, რას ამბობს, როგორი ...აქვს?**

...ნობა, რომ ძალიან დაიღალა ამ ყველ-... ყელში აქვს ამოსული. აღარ შემიძლ-...იბს, მაგრამ ვამშვიდებთ, ვეუბნებით, ...ი არ დარჩა, რომ სინათლე გამოჩნდა.

**...ილე 10 ოქტომბერს იქნება?**

...გონია, რომ გადავრჩებით... მადლობა, ...ანებით და ამით სტიმულს აძლევთ მა-...

# 25 წლის მეკარე ...არდაიცვალა



...ჯუაძე „ბმვ“-ს მარკის ...ილს მართავდა, რო-...ნაწვიმარზე მოუსრი-... მესერს შეეჯახა. ფე-...ლის გადარჩენა ვერ ...ა.

... წელს, ზუსტად ამ ...გურიას“ კიდევ ერთი ...ელი, ნიკა კილაძე, მო-...ით სატვითოს შეეჯახა და მეგობარ გოგონასთან ერ-თად ადგილზე გარდაიცვალა.

ნიკა კილაძის ძმამ, სოცი-ალურ ქსელში ორი მეგობრის, მიშას და ნიკას ფოტო გამოაქ-ვეყნა და მინაწერიც გაუკეთა:

**„შემოდგომის ფოთლები,**
**ქარს გაუფანტავს შორს,**
**ვერ გადაურჩა დროს...**
**ერთად იქნებით სასუფეველში“**

# paparazzi

ფოტო: თინა თუთისანი



თამუნა ქორქია და მიშა მესხი



გიგა ბოკერია





ნოდიკო ტატიშვილი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „ინოვაციებ









**my View**

**სალომე ჩადუნელი**

**თბილისი ქვეითად მოსიარულეების ქალაქი დიდი ხანია აღარაა, არც არასოდეს იყო. საყვედურები ბერვია: ჩვენ ვერ გვამჩნევენ ზებრაზე, პარკინგებისთვის გამოყოფილ ადგილს ნაცნობს ან ოჯახის წევრს უნახავენ და მძღოლებიც ადგილის არქონის გამო ჩვენს სავალ გზებს იკავებენ, ყურადღებას არ აქცევენ ნიშანს: ქვეითთა გადასასვლელი და უფრო მეტიც, მწვანეზეც კი არ გვითმობენ გზას.**

ე.წ. ზებრა რომ ხელოვნების ნიმუშადაა ქცეული და საგზაო ნიშნის დანიშნულება არ აქვს, ამაზე გადაადგილების დროს შექმნილი მდგომარეობა მეტყველებს. ხშირად, ლამაზად დახატულ თანმიმდევრულ შავ და თეთრ, ან თეთრ და წითელ ზოლებზე ჩვენს სიცოცხლეს საფრთხე ექმნება.

მშრალ ხიდთან არსებული გადასასვლელი ყველაზე კარგი მაგალითია იმის დასამტკიცებლად, რომ საქართველოში მძღოლებს ქვეითები არ აინტერესებთ, თქვენ შეიძლება მთელი დღეც კი იდგეთ ე.წ. ზებრაზე და ყველას ეგონოს, რომ ტაქსის გაჩერებას აპირებთ, იდგეთ და ელოდოთ როდის დაგითმობენ გზას, თუმცა ბოლოს ხელი ჩაიქნიოთ და ალტერნატიული გზის ძებნა დაიწყოთ.

ჩვენ გადავწყვიტეთ ჩაგვეტარებინა ექსპერიმენტი და დაგვენიშნა რა დრო დაგვჭირდებოდა მშრალ ხიდთან არსებული გადასასვლელის გადასაკვეთად.

სანამ ქვეითთა გადასასვლელს მივუახლოვდებით, ვხედავთ წყვილს, რომელიც ელოდება, როდის შეანელებენ სვლას სატრანსპორტო საშუალებები და გზის გადაკვეთას შეძლებენ. ტურისტები არიან. დროს ვინიშნავ, 14 წუთი გავიდა და ისევ დგანან, გადასვლას ვერ ახერხებდნენ, თუმცა ლოდინით დაღლილები








## „მირეკავენ, რა ვქნა, კარგი გოგონები არიან, ჩემი შვილიშვილის ხელა და არ შევუნახო?“



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება



# დაჯავშნილი პარკირების ზონა და გამოუყენებელი „ზებრები“

## EXCLUSIVE

მალევე გადიან ადაპტაციას და მანქანების ფეხებში შევარდნითა და სირბილით ინტენსიური მოძრაობის მონაკვეთს ქრიან.

ე.წ. ზებრასთან კიდევ ერთი ტურისტი მოძრაობს, დაბნეულია, გვეკითხება ხიდზე როგორ მოვხვდე, გადასვლას ვერ ვახერხებო, ვასწავლით...

11:04 წუთია, ზებრაზე ვდგავარ, ვერავინ მამჩნევს, მხოლოდ ტაქსები ანელებენ სვლას პოტენციური მგზავრის პოვნის იმედით...

ზემოხსენებული ტურისტთა წყვილი უკან ბრუნდება, ჩემს მსგავსად მათაც ვერ ამჩნევენ, გზას მხოლოდ ავტობუსი უთმობს, რომელსაც ფირმის სახელს თუ დავეყრდნობით, საქართველოდან თურქეთში და პირიქით მგზავრები გადაყავს. ავტობუსი გაჩერებულია, მოძრაობა ჩაკეტილი, ქართველი მძღოლები სავარძელზე ბორგავენ, სიგნალს იძლევიან. ლოდინს აზრი არ აქვს, გზას არავინ მითმობს. დავიძარი, მინდა ორმხრივი მოძრაობა გადავჭრა და მეორე მხარეს მოვხვდე. 11:20 წუთია, სამშვიდობოს ვარ. ქვეითთა გადასასვლელით, ანუ ჩემი გზით სარგებლობისთვის სრული 16 წუთი დამჭირდა, რომ არა გზის პირდაპირ გადაჭრა და მძღოლების იძულება მანქანა გააჩერონ, კიდევ დიდხანს მომიწევდა დგომა.





**ინოვაცია პარკინგებზე**

ქვეითთა გადასასვლელი რომ მხოლოდ სილამაზისთვისაა, უკვე დავრწმუნდით, თუმცა ინოვაცია, რომელიც, ე.წ. სტაიანშჩიკებმა შემოგვთავაზეს, ფანტაზიის საზღვარს სცდება.

თუ დილის საათებში ლუის პასტერის ქუჩაზე გაივლით, პარკინგის ადგილას ერთ სკამს და ყუთს შეამჩნევთ, სადაც, წესით, მანქანა უნდა იდგეს. ვვარაუდობ, რომ დგომის მარეგულირებლები ანუ ე.წ. სტაიანჩიკები ვილაც გავლენიანს ადგილს უნახავენ და უფრო მეტ გასამრჯელოსაც იღებენ.

კითხვაზე თუ რა უნდა პარკინგის ნიშანთან სკამს და ყუთს „სტაიანშიკი“ გვპასუხობს, რომ ადგილს შვილს უნახავს. აღნიშნავს, რომ ნაცნობები ხშირად ურეკავენ და უარს ვერ ეუბნება.

„ჩემი ბიჭი უნდა მოვიდეს და ჩემი მანქანა უნდა მოიყვანოს, ბიჭს გავატანე. რატომ არ შეიძლება? ჩემი ადგილია და მე აღარ გავაჩერო? როცა მოდის ვაყენებინებ, როცა არა, არ ვაყენებინებ. მირეკავენ გოგოები და მეუბნებიან, რომ ადგილები შევუნახო. ლევანა ძია, მოვდივარ ამ დროსო - მირეკავენ, რა ვქნა, კარგი გოგონები არიან, ჩემი შვილიშვილის ხელა და არ შევუნახო? იმისთვის ვარ, რომ მანქანა გავაჩერო, მაგრამ ჩემი ადგილია ახლა და ვინახავ. მაღაზიები და რესტორნებია აქ და დილით მოდიან ადგილი სჭირდებათ, ცლიან პროდუქტს, ჩამოცლიან და მიდიან და მერე ცარიელი ადგილი რჩება“.

ქალაქში, სადაც მანქანებს პარკირებისთვის ადგილები არ ჰყოფნით, სხვადასხვა ადგილები ნაცნობობითა და პატივისცემის გამო ვილაც გავლენიანებს ენახებათ. „სტაიანსშიკები“ თავს იმით იმართლებენ, რომ შემოსავალი არ აქვთ და ამ გზით უფრო მეტ ფულს შოულობენ, მიუხედავად იმისა, რომ მარეგულირებლის პროფესია და საჭიროება დიდი ხანია აღარ არსებობს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ვინ დგას „დინამო თბილისის“ დაბრუნების მსურველთა ჯგუფის უკან



მაგდა კლდიაშვილი

**თბილისის „დინამოსა“ და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი, მერაბ ჟორდანია, გაზეთ „პრაიმტაიმთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ იმ ჯგუფის უკან ის არ დგას, რომელიც დღეს „თბილისის დინამოს“ დაბრუნებას ითხოვს.**

ჟორდანიას თქმით, იმ გუნდში, რომელიც დღეს ამაზე დაობს, მისი მეგობრები და მათი შვილები არიან. ის მათი თანამოაზრეა, თუმცა ახლა სხვა საქმეებით არის დაკავებული და ამ გუნდის უკან ის არ იმალება.

**მერაბ ჟორდანია:**

„უკან დგომა არ მიყვარს, თუ ვინმე ამას ასე თვლის. ის ხალხი, ვინც ამაზე დაობს, ჩემი მეგობრები და მათი შვილები არიან. უკან დგომა რად მინდა, ისინი თუ ჩანან. მინდა, ყველამ იცოდეს, რომ მე ამ პროცესში ვერ ვმონაწილეობ, სხვა საქმეებით ვარ დაკავებული. ის, რომ მე ეს მხარე ვარ, ამაში რა არის დასამალი. ვის უნახავს ჩემი უკან დგომა. ჩათვალეთ, რომ ყველაზე წინ ვდგავარ, იქ, სადაც ჩემი მეგობრების შვილები არიან“.

# ფეხბურთის ფედერაციის ვალი 6 მილიონ ლარს შეადგენს




მაგდა კლდიაშვილი

**როგორც „პრაიმტაიმისთვის“ გახდა ცნობილი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვალი 6 მილიონ ლარს შეადგენს. ამის გამო, ქართული ფეხბურთის მმართველი ორგანოს ანგარიშები „ვითიბი“ ბანკმა დააყადაღა.**

გასული წლის ნოემბერში, საქართველოს სპორტის სამინისტრომ, კლუბებისთვის მიცემული პირობა, რომ ფულით დაეხმარებოდა, არ შეასრულა, რის გამოც, სფფ-მ ფული, მათივე განცხადებით, უეფასგან წინასწარ მიიღო.

როგორც ახლა გახდა ცნობილი, ზვიად სიჭინავამ ფული არა უეფადან, არამედ ბანკიდან ისესხა, ხოლო მეორე სესხის დამატება მაშინ გახდა საჭირო, როდესც სამსახურში ხელფასების გაცემის დრო მოვიდა.

როგორც „პრაიმტაიმმა“ გაარკვია, გენერალური მდივნის მოადგილემ, თამარ ჭიჭინაძემ, ზვიად სიჭინავასგან ჩუმად, უეფას წერილი მისწერა, სადაც გადმოსარიცხი თანხის, რომელიც 800 ათას ევროს შეადგენდა, ნოემბერში დარიცხვა ითხოვა. სწორედ ამის გამო, ზვიად სიჭინავა იძულებული გახდა ბანკიდან მეორე სესხი აელო. დღეს, სფფ-ს დავალიანება 6 მილიონ ლარს შეადგენს, ორგანოს ბუღალტერი კი შიშობს, რომ ბანკი მათ ანგარიშებს ისევ დააყადაღებს.

# გლდანში, თბი მეორე დიდი



„სამედიცინო კორპორაცია ევექსის“ მარკეტინგისა და სერვისების დირექტორს ნინო ჩიჩუა

**გლდანის 1 მიკრორაიონში (კარტოგრაფიული ფაბრიკის მიმდებარედ), „სამედიცინო კორპორაცია ევექსმა“ რიგით მეორე ამბულატორიული ცენტრი გახსნა. ეს არის ძალიან მაღალი დონის სამედიცინო ცენტრი, რომელიც აღჭურვილია ბოლო თაობის, ულტრათანამედროვე სამედიცინო აპარატურით. აქ, გლდანის მოსახლეობას საშუალება ექნება ძალიან კომფორტულ გარემოში მიიღოს პირველადი ჯანდაცვის სერვისების სრული სპექტრი და ჩაიტაროს მაღალტექნოლოგიური ინსტრუმენტულ-ლაბორატორიული კვლევები.**

**„სამედიცინო კორპორაცია ევექსი“ გეგმავს კიდევ ოთხი მსგავსი ამბულატორიული ცენტრის გახსნას თბილისის სხვადასხვა უბნებში, ამასთან დაკავშირებით ვესაუბრეთ „სამედიცინო კორპორაცია ევექსის“ მარკეტინგისა და სერვისების დირექტორს ნინო ჩიჩუას.**

**- როდის და სად გაიხსნა ამბულატორიული კლინიკა და რა არის „სამედიცინო კორპორაცია ევექსის“ ძირითადი მიზანი?**

- დაახლოებით ერთი კვირის წინ გავხსენით გლდანში ამბულატორიული ცენტრი. „ევექსის“ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანი ამბულატორიული ქსელის გაფართოებაა. ჯანდაცვის სამინისტროს პრიორიტეტია, რომ გააძლიეროს პირველადი ჯანდაცვის რგოლი და შესაბამისად, სამედიცინო კორპორაცია „ევექსიც“ ამ რეფორმის განხორციელებაში მონაწილეობს: აფართოებს ამბულატორიულ ქსელს და აძლიერებს ზოგადი პრაქტიკის ექიმის ინსტიტუტს. ამ მიმართულებით ჩვენ უკვე გავხსენით ორი დიდი ამბულატორიული ცენტრი. ერთი უკვე 2 წელიწადზე მეტია ფუნქციონირებს საბურთალოზე ვაჟა-ფშაველას #40-ში და მეორე გლდანში გავხსენით, მანამდე თბილისი ამ კომპაქტურად დასახლებულ რაიონში ასეთი დიდი, თანამედროვე ტიპის ამბულატორიული ცენტრი არ არსებობდა, ეს პროექტი გლდანის მოსახლეობას შესაძლებლობას მისცემს ერთ სივრცეში მიიღოს პირველადი ჯანდაცვის სერვისების სრული სპექტრი, დაწყებული ოჯახის ექიმის მომსახურებით, დამთავრებული კომპიუტერული ტომოგრაფიით, ნატიფი ლაბორატორიული სინჯებით და ქიმიო-თერაპიული სერვისით.

**- საბურთალოსა და გლდანის გარდა, თქვენი კორპორაცია აპირებს თუ არა, რომ გახსნას დამატებითი ამბულატორიები?**

- დიახ, ჩვენ ვგეგმავთ, რომ დაახლოებით ერთ თვეში გავხსნათ კიდევ ერთი ამბულატორიული ცენტრი ვარკეთილში. ასევე, მომავალ წელს გავხსნით კიდევ ოთხ ამბულატორიულ ცენტრს, ეს იქნება ვაკეში, მთაწმინდაზე, დიდუბესა და ისანი-სამგორში. მომავალ წელს, პრაქტიკულად, დავფარავთ სრულიად თბილისს და ყველა რაიონში იფუნქციონირებს „ევექსის“ ამბულატორიული ცენტრები.

**- თბილისის მასშტაბით სულ რამდენი ამბულატორია**





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ლისის მასშტაბით, „ევექსის“ რიგით სამედიცინო ამბულატორია გაიხსნა

ევექსი

სამედიცინო კორპორაცია







**იფუნქციონირებს?**

- თბილისის მასშტაბით ექვს რაიონში იქნება ამბულატორიული ცენტრი, ასევე თითოეულ უბანში იფუნქციონირებს მცირე ზომის სატელიტური ცენტრები. ამ ყველაფრის მიზანია, რომ სამედიცინო მომსახურება მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი იყოს ათი წუთის სავალზე. ჩვენ ეს პატარა, სატელიტური ამბულატორიები შემოვიტანეთ ბაზარზე, სახელით „ჩემი კლინიკა“, რომელიც, როგორც ვახსენე, ყველა მოქალაქისთვის მაქსიმალურად ხელმისაწვდომი იქნება. სატელიტურ ამბულატორიაში მოქალაქეს საშუალება ექნება ისარგებლოს ზოგადი პრაქტიკის ექიმის მომსახურებით. ასევე, ყველა ასეთ ცენტრში იქნებიან სხვადასხვა მიმართულების სპეციალისტები. ეს პროექტი ხელს შეუწყობს პაციენტების დროულ და მიზნობრივ რეფერირებას.





**- რას გულისხმობს ზოგადი პრაქტიკის ექიმის მომსახურება?**

- ზოგადი პრაქტიკის ექიმის ძირითადი დანიშნულება, ეს არის სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის მაქსიმალურად გამარტივება. ჯანდაცვის სწორი მენეჯმენტის მოდელი პირველადი ჯანდაცვის რგოლზე გადის, რომლის ეფექტური მენეჯმენტი მნიშვნელოვნად შეამცირებს ქვეყანაში ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებლებს. მაგალითისთვის, რომ წარმოვიდგინოთ, არ უნდა იყოს საჭირო მცირე სამედიცინო ინტერვენციის მისაღებად ჰოსპიტალებში წასვლა. ამ მცირე ზომის ამბულატორიულ ცენტრებში მოქალაქეებს შეეძლებათ მიიღონ ზოგადი, პირველადი სამედიცინო მომსახურებები.

**- თქვენ ახსენეთ სატელიტური ამბულატორიები, არის თუ არა მსოფლიო სამედიცინო პრაქტიკაში მსგავსი სამედიცინო დაწესებულებები?**

- მცირე ზომის ამბულატორიული ცენტრების პრაქტიკა უკვე საკმაოდ აპრობირებულია განვითარებულ ქვეყნებში, ეს არის სამედიცინო მომსახურების მაქსიმალურად გამარტივების საუკეთესო საშუალება, რასაც ნამდვილად იგრძნობს თბილისის ყველა უბნის მცხოვრები. სწორედ ეს არის „ევექსის“ ძირითადი მიზანი.



**- რატომ უნდა მივიდეს პაციენტი „ევექსის“ ამბულატორიებში და არა კონკურენტ სამედიცინო დაწესებულებებში?**

- ჩვენი ამბულატორიები დაკომპლექტებულია ძალიან კვალიფიციური მედპერსონალით, არის სერვისების სრული სპექტრი, გვაქვს თანამედროვე ინფრასტრუქტურული გარემო. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენთან, „ევექსის“ ამბულატორიულ ქსელში, კონკურენტებთან შედარებით, აბსოლუტურად განსხვავებული, ბევრად უკეთესი მდგომარეობა დახვდება ნებისმიერ მომხმარებელს. ჩვენი კიდევ ერთი კონკურენტული უპირატესობა, ეს იქნება პაციენტზე ორიენტაცია. ანუ, ამბულატორიაში დასაქმებული პერსონალი, დაწყებული რეგისტრატორიდან, დამთავრებული ექიმით, ყველა გადის ეფექტური კომუნიკაციის ტრენინგებს, რაც ნამდვილად ხელს შეუწყობს საუკეთესო მომსახურების სერვისის დანერგვას ჩვენს ამბულატორიებში. ჩვენი უმთავრესი მიზანია გავცეთ კვალიფიციური მომსახურება კომფორტულ, ერგონომიულგარემოში, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი, თანამედროვე სამედიცინო ტექნიკით.





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# კვირის ფოტო

PRIME Time



ფოტო: თინა თუთისანი



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# გია ვოლსკი კომპრომატების გამოქვეყნების მომხრეა

მირიან ბოქოლიშვილი

**როგორც წესი, საარჩევნო წლის მოახლოებასთან ერთად პოლიტიკაში კომპრომატებით ბრძოლა უფრო და უფრო აქტუალური ხდება. გამონაკლისი არც 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები და წინასაარჩევნო ბატალიები იქნება. ამბობენ, რომ კომპრომატები ორივე მხარეს – „ნაციონალურ მოძრაობასაც“ და „ქართულ ოცნებასაც“ საკმარისზე მეტი აქვთ. ასე რომ, სკანდალებიც იქნება და სანახაობაც... პურის რა მოგახსენოთ.**

ზოგადად, კომპრომატების გამოქვეყნება არათუ ჩვენთან, არამედ ცივილიზებულ ქვეყნებშიც კარგად აპრობირებული ხერხია ოპონენტისთვის დარტყმის მისაყენებლად. ამის ნათელი მაგალითია კლინტონების ოჯახი. ბილ კლინტონის სასიყვარულო ურთიერთობა მონიკა ლევინსკისთან ლამის პრეზიდენტის იმპიჩმენტის საფუძველი გახდა, თუმცა კომპრომატები არ აკლია არც მის მეუღლეს, აშშ-ს პრეზიდენტობის კანდიდატ ჰილარი კლინტონს, რომელიც საპრეზიდენტო მარათონში ოფიციალურად ჩართვამდე სერიოზულ სკანდალში გაეხვია. ირკვევა, რომ საგარეო უწყების ხელმძღვანელად მუშაობის პერიოდში ოფიციალური მიმოწერისთვის ის პირად ელექტრონულ მისამართს ხშირად იყენებდა, რაც ფედერალური კანონით მკაცრად აკრძალულია.

სხვა უამრავი მაგალითის მოყვანაც შეიძლება, როცა კომპრომატებს მსოფლიო პოლიტიკაზეც კი სერიოზული გავლენა მოუხდენია.

როგორც ჩანს, ოპონენტების მიმართ კომპრომატებით ბრძოლას ქართულ პოლიტიკურ ელიტაშიც აქტიური მხარდამჭერები ჰყავს. მაგალითად, მმართველი გუნდის ერთ-ერთი ლიდერი, გია ვოლსკი, რომელიც „პრაიმტაიმთან“ ინტერვიუში არ მალავს, რომ პოლიტიკაში კომპრომატებს თავისი ხიბლი აქვს.

**ამ და საარჩევნო წელს მოსალოდნელ სხვა სიურპრიზებზე „პრაიმტაიმი“ გია ვოლსკის ესაუბრა.**

**– საარჩევნო წელი ახლოვდება და ნელ-ნელა პოლიტიკური ტემპერატურაც იმატებს... ხშირად საუბრობენ, რომ წინასაარჩევნო პერიოდში იქნება კომპრომატები... ცნობილია, რომ 2012 წელს „ქართული ოცნების“ გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა ციხის კადრების გასაჯაროებამ... მოსალოდნელია თუ არა მსგავსი ტიპის კომპრომატების გავრცელება?**

– ციხის კადრები იყო მნიშვნელოვანი, მაგრამ ეს არ იყო გარდამტეხი ფაქტორი ჩვენი გამარჯვების. ეს იყო მხოლოდ მცირე ეპიზოდი. უამრავმა ადამიანმა ამ ეპიზოდში ამოიცნო საკუთარი თავი. ამ კადრებმა განწყობებში კი არ შეიტანა ცვლილება, არამედ ადამიანებმა იგრძნეს, რომ უფრო დაცულები იქნებიან და გაერთიანდნენ უსამართლობის წინააღმდეგ. ეს არის მცირე ნაწილი იმ კადრებისა, რაც რეალურად არსებობს. იცით, რა არის? რაც უფრო მეტი რეალობა გამოვა სააშკარაოზე, საზოგადოება უფრო სწორ გადაწყვეტილებას მიიღებს. კომპრომატებით ბრძოლას აქვს დადებითი მხარეც – გამოჩნდეს რეალური სურათი, ვის ვაძლევთ ხმას.

**– თუმცა, როგორც იტყვიან, ეს არასპორტული თამაშია...**

– ვერ დაგეთანხმებით. ადამიანზე, რომელიც არჩევნებზე თავის კანდიდატურას აყენებს, შესაძლოა, სულ სხვა წარმოდგენა გვქონდეს... განვითარებულ ქვეყნებშიც ხდება, რომ ვინმე, იქნება ეს ჟურნალისტი, პოლიტიკოსი, თუ რიგითი მოქალაქე, გამოავლენს ხოლმე მის პირად, თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში არსებულ ნაკლოვანებებს, რომელიც საზოგადოებას მისცემს ზუსტ მესიჯს, ვისთან აქვს საქმე კონკრეტული კანდიდატის სახით. ეს არ არის მხოლოდ საქართველოსთვის დამახასიათებელი. ამას კანონით ვერ აკრძალავ და ამის აკრძალვის საჭიროებაც არ არსებობს.

**– 2016 წლის არჩევნებს ქვეყანა თითქმის უცვლელი საარჩევნო სისტემით შეხვდება, რაც ოპოზიციის, განსაკუთრებით კი არასაპარლამენტო პარტიების გაღიზიანებას იწვევს... რატომ არ ხდება მათი აზრის გათვალისწინება?**

– ადამიანური პატივისცემა მინდა დავუდასტურო იმ ოპონენტებს, რომლებიც საარჩევნო სისტემის შეცვლას მოითხოვენ, მაგრამ ვერანაირად ვერ დავმალავ და ამის მრავალი მაგალითი არსებობს, რომ მათი უმრავლესობა აფილირებულია „ნაციონალურ მოძრაობასთან“. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, ეს ხალხი ახმოვანებს „ნაციონალური მოძრაობის“ ინტერესებს. მიზანი არის ის, რომ, რაც შეიძლება მეტი დაძაბულობა გამოიწვიონ. ვფიქრობ, „ნაციონალების“ გაზაფხულის მიტინგებმა ვერ გაამართლა ვერც რაოდენობრივად და ვერც იდეით, ამიტომ ახლა ეს პარტია ცდილობს, წამოიწყოს ახალი, არცთუ ისე სწორი თამაში.

**– ფიქრობთ, რომ საარჩევნო სისტემის შეცვლის მოთხოვნის უკან, რაიმე სხვა განზრახვა დევს?**

– მიზანი ნათელია: წინასაარჩევნო პერიოდში იყოს რაც შეიძლება მეტი დაძაბულობა, ოღონდ ეს შეფუთონ ისე, თითქოს არსებობს კრიზისი, საიდან გამოსვლაც მხოლოდ „ნაციონალურ მოძრაობას“ შეუძლია. საუბარი საარჩევნო სისტემის შეცვლაზეც ამ პროექტის ნაწილია, ისევე როგორც ეკონომიკურ საკითხებზე პედალირება და იმ მაჩვენებლების გადაფარვა, რომელსაც აქვეყნებს მსოფლიო ბანკი. ცდილობენ, ყველაფერი ეჭვქვეშ დააყენონ, იქნება ეს სიტყვის თავისუფლება, ადამიანის უფლებები, თუ სასამართლოს დამოუკიდებლობის მხრივ გადადგმული სერიოზული ნაბიჯები. ეს არის მათი ერთი სტრატეგია. არსებობს კიდევ მეორე სტრატეგია, რომელიც საზოგადოებისთვის იმდენად თვალსაჩინო არ არის, მაგრამ ცალსახაა ნაციონალების ინტენსიური მუშაობა საზღვარგარეთ, რათა რაც შეიძლება მეტი ნეგატიური, შავი სურათი დახატონ საქართველოსთან და მის საგარეო კურსთან დაკავშირებით.

**– უკაცრავად, ბატონო გია, მეოთხე წელი დაიწყო, რაც ხელისუფლებაში ხართ და რით ვერ მოახერხეთ ამ „ნეგატიური სურათის“ გაქარწყლება?..**

– არსებობს „ევროპის სახალხო პარტია“, კარგად ორგანიზებული გაერთიანება, რომელიც ყველა თავის შემადგენელ ნაწილს, მათ შორის „ნაციონალურ მოძრაობას“, რაც არ უნდა დააშავოს, არავითარ შემთხვევაში არ აკრიტიკებს და ყველა შემთხვევაში აქვს მხარდაჭერა. ამიტომ საპარლამენტო ასამბლეებზე, ხშირად „ნაციონალური მოძრაობა“ გამოდის გამარჯვებული, როცა საქმე კენჭისყრაზე მიდგება ხოლმე. თუმცა მსოფლიოს პოლიტიკური ხელმძღვანელები აბსოლუტურად სხვა მიდგომებს გამოხატავენ. ვერ ვიტყოდი, რომ ჩვენი პიარსაქმიანობა ამ მხრივ ჩავარდნილია. არ შეიძლება, იგივე სურათი შევქმნათ, როგორიც იყო ნაციონალების დროს, როცა მთელი მედიასივრცე ოკუპირებული იყო. აქედან გამომდინარე, შეიძლება ნაკლოვანებებზე ვისაუბროთ პიარსფეროში, მაგრამ სამაგიეროდ ამის ფასი არის პოზიტიური – მედია თავისუფალია ყოველგვარი პოლიტიკური ზეწოლისგან.

**– საარჩევნო სისტემას რომ დავუბრუნდეთ, რამდენად ერთიანია მმართველი გუნდი ამ საკითხში?.. თავის დროზე რესპუბლიკელები მხარს უჭერდნენ მაჟორიტარული სისტემის გაუქმებას.. ახლა რა შეიცვალა?**

– სამწუხაროა, რომ მთელი ეს პროცესი მიმდინარეობს მაჟორიტარული სისტემის დემონიზაციის ფონზე, არადა ეს სისტემა მოქმედებს ძალიან ბევრ დემოკრატიულ ქვეყანაში, მათ შორის აშშ-ში. საზოგადოება ნელ-ნელა უნდა გადავიყვანოთ არა კონკრეტული ადამიანების მოწონება-არმოწონების, არამედ პროგრამების მიხედვით არჩევანის გაკეთებაზე. ეს უნდა მოხდეს ეტაპობრივად და არა რევოლუციური გზით, რასაც შედეგი არ მოაქვს. ამიტომაც გადაწყდა ცვლილებების ამოქმედება 2020 წლისთვის. ამ პოზიციაზეა კოალიციაში შემავალი ყველა სუბიექტი. რამდენიმე ადამიანი არ აწერს ხელს, მათ, უბრალოდ, თავისი შეხედულება აქვთ.

**– ამბობენ, რომ უმრავლესობის ბევრი წარმომადგენელი „ოცნების“ საარჩევნო სიაში ველარ მოხვდება... ამის შესახებ დავით საგანელიძემაც განაცხადა... რას იტყვით თქვენ?**

– დათო საგანელიძე ძალიან საპასუხისმგებლო პოსტზე დაინიშნა და ვფიქრობ, ის იქ გაცილებით ეფექტური იქნება, ვიდრე პარლამენტში იყო. რა მოხდება პარლამენტში, ვინ დარჩება და ვინ არა, გადავწყვეტთ ჩვენ, პარლამენტში დარჩენილი უმრავლესობა. მას შეუძლია, როგორც რიგითმა მოქალაქემ, თავისი აზრი გამოთქვას, მაგრამ გადაწყვეტილების მიმღების ტონი ცოტა არაკორექტულია. გუნდი განახლდება, იქნებიან ახალი სახეები. ვიღაცამ შესაძლოა, აღმასრულებელ ხელისუფლებაში გადაინაცვლოს, შესაძლოა, სხვა სფეროში. მაგრამ ამაზე საუბარი გუშინდელი ლიდერისგან, ვფიქრობ, არაკორექტულია.



## „რა მოხდება პარლამენტში, ვინ დარჩება და ვინ არა, გადავწყვეტთ ჩვენ, პარლამენტში დარჩენილი უმრავლესობა“

**„ეს არის მცირე ნაწილი იმ კადრებისა, რაც რეალურად არსებობს. რაც უფრო მეტი რეალობა გამოვა სააშკარაოზე, საზოგადოება უფრო სწორ გადაწყვეტილებას მიიღებს. კომპრომატებით ბრძოლას აქვს დადებითი მხარეც“**

# EXCLUSIVE



## „ნაციონალების“ გაზაფხულის მიტინგებმა ვერ გაამართლა ვერც რაოდენობრივად და ვერც იდეით, ამიტომ ახლა ეს პარტია ცდილობს, წამოიწყოს ახალი, არცთუ ისე სწორი თამაში“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# პარანორმალური მ

## my View



**ნინო მჭედლიშვილი**

თბილისის ერთ-ერთ გარეუბანში, 15 წლის გოგონას სახლში, უცნაური ამბები ხდება. ამოუხსნელი ძალა, რომელიც გოგონას სახლში ცხოვრობს, ღამით აქტიურდება. როცა ყველას სძინავს, სოფოს ფეხის ხმა ესმის. სინათლეს ანთებს და არავინ არის. პერიოდულად ისმის მამაკაცის ხვრინვა, ხმამაღალი სუნთქვა, მაცივრის კარის ხმა, კარის ჭრიალი. ამოუხსნელი ძალა, რომელზეც სოფო საუბრობს, რამდენიმე კვირის წინ გოგონასთან ფიზიკურ კონტაქტშიც შემოვიდა. ღამით, როცა სოფოს ისე შეეშინდა, რომ დედას ჩაუწვა საწოლში, ფეხზე დაკაწრა. სოფომ ტკივილი იგრძნო, ტელეფონით დაინათა ფეხზე და ნაკაწრი ნახა. დაკაწრულ ფეხს ფოტოც გადაუღო, იმის დასამტკიცებლად, რომ არაფერი მოსჩვენებია. ამ შემთხვევიდან რამდენიმე დღეში, აღნიშნული სახლის იმ ოთახში, სადაც ხატებია განთავსებული, ჯვრები გამოისახა. ჯერ ორი ჯვარი გაჩნდა, რამდენიმე საათში კიდევ ორი. ოთახის ოთხივე კედელზე დღესაც მკაფიოდ ჩანს ერთ სიმაღლეზე, ერთი ზომის ოთხი ჯვარი. კედლებზე გამოსახული ჯვრები გახდა საბაბი იმისა, რომ გოგონას დედასაც დაეჯერებინა შვილის მოყოლილი ამბები და სახლში უფოლოგი გამოეძახებინა.







**„ურთიერთობის ფორმას თვითონ არჩევენ. შეიძლება ეს იყოს წერილობითი, ვიზუალური, სიტყვიერი“**

# EXCLUSIVE



„პრაიმტაიმი“ ექსკლუზიურად დაესწრო პროცესს, თუ როგორ არკვევდა უფოლოგი რასთან გვქონდა საქმე და რა რჩევას აძლევდა სოფოს.

თავდაპირველად ირაკლი შონიამ გოგონას უცნაური ამბების მოყოლა სთხოვა.

**სოფო (15 წლის):**

- 2 სექტემბერს დაიწყო ეს ამბები. მეზობლისგან შემოვედი და მაცივრის კარის ხმა გავიგე. ოთახში შევიხედე. დედას ეძინა. სახლში მხოლოდ მე და დედა ვცხოვრობთ. შემეშინდა, ტელეფონი გავანათე და ვერაფერი დავინახე. დავწექი მეც. 2-3 წუთში უფრო მძაფრად გავიგონე მაცივრის გაღებისა და დახურვის ხმა. ავდექი და დედასთან დავწექი, მცივა-მეთქი, მოვატყუე. 5 წუთის მერე ფეხის ხმა გავიგონე, თითქოს სამზარეულოდან საძინებლისკენ მოდიოდა ვიღაც. მალევე მომესმა, როგორ შეაზანზარა კომპიუტერი. ამ ხმაზე დედამაც გაიღვიძა. გძინავსო, მკითხა, არა-მეთქი, ვუთხარი. საბანს მაფარებდა, ეგონა მციოდა. რამდენიმე წუთში გავიგონე როგორ გავიდა ჩემს ოთახში და როგორ დაჯდა ჩემს საწოლზე. მალევე მამაკაცის ხვრინვის ხმა შემომესმა. ვეცადე ყურადღება სხვა რამეზე გადამეტანა, ჩავთვალე, რომ ეს ყველაფერი მეჩვენებოდა. ტელეფონში ვიყურებოდი და საბნიდან ფეხი მქონდა გამოყოფილი. უცებ, ფეხზე ძლიერი ტკივილი ვიგრძენი, თითქოს რაღაცამ ჩამომკაწრაო. ისეთი შეშინებული ვიყავი, ტელეფონის მინათებაც ვერ გავბედე, შემოვყავი ფეხი საბნის ქვეშ და გავყუჩდი. 2 საათში გათენდა. ავდექი, ფეხზე ნაკაწრები მქონდა. ჩამოვიბანე და სურათი გადავუღე ნატკენ ფეხს.

**„გავიგონე, როგორ გავიდა ჩემს ოთახში და როგორ დაჯდა ჩემს საწოლზე. ცოტა ხანში მამაკაცის ხვრინვის ხმა შემომესმა“**

**ირაკლი:**

**- ეს ხმები დღის განმავლობაშიც გესმის?**

- არა, მხოლოდ ღამით და მხოლოდ მაშინ, როცა დედა იძინებს. ჩავაქრობთ თუ არა სინათლეს და დავწვებით, იწყება.

**- ხომ არ ხედავ კიდეც რამეს?**

- იშვიათად, რაღაც ლანდს ვხედავ, ოღონდ პირდაპირ არა, გვერდიდან. თვალს გავაყოლებ თუ არა, ქრება.

**- ჯვრები როდის გამოიხატა კედლებზე?**

- ერთი კვირის წინ. დივანზე ვიწექი, ტელეფონზე ვსაუბრობდი, რომ დავინახე. ავდექი დავაკვირდი, თავიდან არ ჰქონდა ჯვრის ფორმა, მერე უფრო მკვეთრად გამოჩნდა. 5 წუთში მეორე კედელზე შევამჩნიე იდენტური ჯვარი. შემეშინდა, მარტო ვიყავი, მეზობელთან გავიქეცი, ვყვიროდი, მიშველეთ-მეთქი. შემოვიდა მეზობელი, მანაც ნახა. მერე ყველა კედელი დავათვალიერეთ და არსად იყო მსგავსი რამ. დედას დავურეკე, მოდი, მეშინია-მეთქი. დედა რომ მოვიდა, კიდევ ორი ჯვარი აღმოვაჩინეთ.

**- იმ ღამემ მშვიდად ჩაიარა?**

- მთელი ღამე არ მეძინა, ვნერვიულობდი, იმ ღამესაც მესმოდა ხმები, ფეხის ხმა, ხვრინვა, სუნთქვა.

**ირაკლი შონია:**

**- ირაკლი, შეგიძლია გვითხრა, რასთან გვაქვს საქმე და რამდენად ხშირად მოგმართავენ მსგავსი პრობლემით?**

- ბოლო დროს ხშირია ადამიანის ურთიერთობა რაღაც ფენომენალურთან, ისეთთან, რასაც ადამიანი ყოველდღიურად არ ხვდება, რასაც შეუჩვეველია თვალი. მსგავსი ფაქტები განსაკუთრებით ხშირია კავკასიაში, სადაც ძალიან დაძაბული ფონია, ადამიანები ზემგრძნობიარეები არიან, თითქოსდა მეტს აღიქვამენ, შეგრძნების გამძაფრებული უნარი აქვთ... კი, ხშირად მომმართავენ. არის მომართვები, როცა ადამიანები აღწერენ, რომ მსგავსმა მოვლენებმა მათი ცხოვრება შეცვალა დადებითისკენ, რომ გახდნენ მეტად რელიგიურები, რომ საკუთარ თავში აღმოაჩინეს აქამდე დამალული ნიჭი. ზოგიერთმა დაიწყო ხატვა, როცა მანამდე ფანქარი არ ჭერიათ ხელში, ზოგმა – ხატწერა, ზოგმა – მუსიკალური ნაწარმოების შექმნა დაიწყო, ბევრს ინტუიციის უნარი გაუმძაფრდა. როცა მსგავს ფაქტს აქვს ადგილი, სასურველია ვნახოთ და დაველაპარაკოთ ამ ადამიანებს, რომ სწორად წარმართონ ურთიერთობა ამ ძალებთან და შედეგი დადებითი იყოს. როცა ადამიანისგან მოდის აგრესია იმ ძალის მიმართ, რომელიც ცდილობს კონტაქტს მასთან, ასეთ შემთხვევაში აგრესია საპასუხო რეაქციას იწვევს. ოჯახში ხდება თვითაალება, ცვივა ქვები, იმსხვრევა ჭურჭელი, ავეჯი. როცა ინფორმირებულნი არიან ოჯახის წევრები და იციან როგორ უნდა იურთიერთონ ამ ძალასთან, პრობლემებიც ნაკლებია.

**- ყველა შემთხვევაში ერთი რეცეპტი მოქმედებს?**

- დაახლოებით. ამ დროს უნდა გაძლიერდე, არ შეგეშინდეს,



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ოვლენა თბილისში



„2 საათში გათენდა. ავდექი, ფეხზე ნაკაწრები მქონდა. ჩამოვიბანე და სურათი გადავუღე ნატკენ ფეხს“



## რა ხდება 15 წლის გოგონას სახლში

„ფეხის ხმა გავიგონე, თითქოს სამზარეულოდან საძინებლისკენ მოდიოდა ვიღაც. მალევე მომესმა, როგორ შეაზანზარა კომპიუტერი. ამ ხმაზე დედამაც გაიღ





„აგრესია საპასუხო რეაქციას იწვევს. ოჯახში ხდება თვითაალება, ცვივა ქვები, იმსხვრევა ჭურჭელი, ავეჯი“

გაუშვა დადებითი მუხტი, აღივსო სიყვარულითა და პატივისცემით იმ ძალის მიმართ, რომელიც შენს სახლში ცხოვრობს. მეტი უნდა ისწავლო ამ ურთიერთობიდან, რომ შეძლო ზემოქმედება ურთიერთობაზე.

**- რა ჰქვია ძალას, რომელიც ცდილობს კონტაქტს ადამიანებთან?**

- თავიდან, როცა იწყება კონტაქტი, ჩვენ არ ვამბობთ რასთან გვაქვს საქმე. ეს შეიძლება იყოს უცხოპლანეტელი, გარდაცვლილი ადამიანის სული, პარალელური სამყაროს წარმომადგენელი. მანამ სანამ გავიგებთ რას მოიმოქმედებს, რა ინტერესი აქვს, ვარქმევთ ფენომენს. შემდეგ მიდის კვლევა, კონტაქტის დამყარება და იქიდან მოდის ინფორმაცია, რასთან გვაქვს საქმე. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, სანამ არ შედგება კონტაქტი, ვერ გეტყვით რასთან გვაქვს საქმე.

**- რა სახის კომუნიკაციას ცდილობს ეს ფენომენი ადამიანზე, როგორ შემოდის კონტაქტში?**

- ურთიერთობის ფორმას არჩევენ თვითონ. შეიძლება ეს იყოს წერილობითი, ვიზუალური, სიტყვიერი. არის შემთხვევები, როცა პირდაპირ ხედავენ ამ არამიწიერ არსებას ადამიანები, ესმით მათი ხმა, გრძნობენ, სუნს გრძნობენ მათსას. შესაძლებელია მუსიკალური ნაწარმოების ხმაც კი ჩაესმოდეთ. ამ შემთხვევაში, რადგან სოფოს უყვარს ხატვა, შესაძლებელია აიღოს სუფთა ფურცელი, დაიკავოს ხელში ფანქარი და მოადუნოს ხელი. ის აუცილებლად შემოვა კონტაქტში, დაწერს ვინ არის და რა უნდა. ოღონდ ეს უნდა მოხდეს მაშინ, როცა ის, ჩვეულებისამებრ, ჩნდება ხოლმე, ღამით, როცა ყველას სძინავს.

**- როგორ არჩევს ფენომენი „მსხვერპლს“? მაგალითად, რატომ ამოირჩია სოფო და არა - მე?**

- ძველად იყო ასეთი აზრი, რომ ისინი ბავშვებთან უფრო ადვილად შემოდიან კონტაქტში. შემდეგ კვლევამ აჩვენა, რომ განსხვავება არ არის, არც ასაკში, არც განვითარებაში. არჩევის აბსოლუტურად დემოკრატიული პრინციპები აქვთ. აქ მოქმედებს სხვა პრინციპი, რა ადგილას ცხოვრობს ის, როგორი იოლოგიაა, რამდენად აღგზნებულია გარემო, თავად ადამიანი...

**- ანუ რამდენად მჭირდება მე ის? თუ ვჭირდები მე მას?**

- ადამიანის ფუნქცია თავი დაიცვას, ან საშველად გამოიძახოს მსგავსი ძალები, ხდება არაცნობიერად, აურის დონეზე, ენერგიის დონეზე. სხვა სამყაროს წარმომადგენლები ხედავენ ამ გამოსხივებას და ვექცევით მათი ყურადღების ცენტრში.

**- როგორ ახსნით კავშირს კედლებზე გამოსახულ ჯვრებსა და იმ ძალას შორის, რომელიც ამ კონკრეტულ სახლში გადაადგილდება?**

- მაგალითად, იყო ათეისტი ადამიანი, რომელსაც გამოეცხადნენ უცხოპლანეტელები და წელიწად-ნახევარში ისე შეიცვალა... ამ ძალამ დაიწყო მისი ტარება ეკლესიებში, ასწავლა ლოცვა, რიტუალები.

**- ანუ, ჯვრები არის იმის ნიშანი, რომ უფრო ეკლესიური გახდე?**

- ჯვრები არის იმის ნიშანი, რომ შენ უფლის მფარველობა გაქვს, რომ ის ადგილი იწმინდება ყოველგვარი ცუდისგან. ეს არის ძალიან დიდი მადლი.

**- და კავშირი ჯვრებსა და როგორც თქვენ უწოდებთ, ფენომენალურ ძალას შორის...?**

- ჩვენ შეჩვეული ვართ ფილმებიდან, რომ ცალკე განვიხილოთ სული, უცხოპლანეტელი და რწმენა. სამყარო ისეა მოწყობილი, რომ ყველაფერი ერთად არის ურთიერთობაში. ჩვენ არ ვართ ცალკე არსებები, ჩვენ ვართ სამყაროს შემადგენელი ნაწილები და ჩვენზე მოქმედებს როგორც გარდაცვლილითა სულები, ისე რელიგიური მომენტები, უცხოპლანეტელები.

**- რა არის მთავარი რჩევა იმ ადამიანებისთვის, რომლებიც მსგავსი პრობლემის წინაშე დგანან...**

- ნუ შეეშინდებათ ამ ურთიერთობის, გაითვალისწინონ, რომ ეს ურთიერთობა გვაძლიერებს, რაც უფრო მეტს შევიმეცნებთ და გვექნება რწმენა, მეტად გავძლიერდებით და ნაკლებად საშიში იქნება ჩვენთვის ის, რასაც არ შევხებივართ და ჩვენთვის უხილავია. მეტი კონტაქტი სამყაროსთან, მეტი ურთიერთობა და რაც მთავარია, სიმშვიდე ოჯახში.

**P.S. ჩვენ თვალს მივადევნებთ სოფოს სახლში განვითარებულ მოვლენებს და ცვლილებების შემთხვევაში ინფორმაციას მოგაწვდით.**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ალექსანდრე მეტრეველი - სახელმწიფოსგან დახმარება უნდა იყოს, სრული დაფინანსება - არა

მაგდა კლდიაშვილი

**საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, ალექსანდრე მეტრეველი დადგენილ ბიუჯეტის განხილვას იმედიანად უყურებს და ფიქრობს, რომ მათი ფედერაციისთვის ბიუჯეტის გაზრდა მოხერხდება. 550 ათასი ლარი - ეს არის ჩოგბურთის ფედერაციის ბიუჯეტი, საიდანაც მისი ხელმძღვანელი ხელფასებსაც იხდის, ტურნირებსაც ატარებს, ასაკობრივი ნაკრებებიც ფინანსდებიან, ცალკეული ჩოგბურთელებიც. მთლიანობაში, ეს თანხა ძალიან მცირეა იმისთვის, რომ წარმატება ამ სფეროში თვალსაჩინო გახდეს. სულ ცოტა ხნის წინ, ჭადრაკის ფედერაციამ სახელმწიფოსგან 38 მილიონი ლარის დაფინანსება მიიღო, იქიდან გამომდინარე, რომ ჩოგბურთი საკმაოდ ძვირადღირებული სპორტია, ფედერაციისთვის გადარიცხული წლიური 550 ათასი ყველა სპორტსმენის პრეტენზიას ვერ სწვდება. იგეგმება თუ არა ჩოგბურთის ფედერაციისთვის ბიუჯეტის გაზრდა და რა მოუტანა ახალგაზრდულმა ოლიმპიურმა ფესტივალმა ქართულ ჩოგბურთს. „პრაიმტაიმის“ კითხვებს ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, ალექსანდრე მეტრეველი პასუხობს.**

**- წლევანდელი წელი როგორი იყო ქართული ჩოგბურთისთვის?**

- ალბათ, ბევრად უკეთესი, ვიდრე ყველა გასული წელი ერთად. პირველ რიგში, დავიწყებ იმით, რომ ქალთა ეროვნულმა ნაკრებმა ფედერაციის თასზე ძალიან კარგად ითამაშა. დავრჩით პირველ ლიგაში. იცით, რომ გადასვლა ძალიან ძნელია და დარჩენა კიდევ უფრო ძნელი. პრაქტიკულად, ყველა გუნდს მოვუგეთ, ბელარუსის გარდა. დავამარცხეთ პორტუგალია, ბულგარეთი. ძალიან კარგად ითამაშეს გოგოებმა. ვთვლი, რომ ყველა ასაკობრივ ნაკრებში გვაქვს წინსვლა, რადგან გაუმჯობესებული გვაქვს პირადი რეიტინგები, თვითონ ჩოგბურთის ხარისხიც და ვფიქრობ, რომ ახალგაზრდებს ძალიან კარგი წელი ჰქონდათ. ოლიმპიურ ფესტივალზეც კარგად ითამაშეს. ცოტა დაგვაკლდა მედლებისთვის. თუმცა, ხარისხიანი ჩოგბურთი ითამაშეს დავლიანიძემაც, ჯელიძემაც, მაქაცარიამაც და შანიძემაც. დევისის თასზე დიდი წარმატება გვქონდა. 7 წელი ვერ გადავდიოთ მესამე ჯგუფიდან და წელს მოვახერხეთ მეორეში გადასვლა. ნიკა ბასილაშვილის პირად შედეგებზე საუბარიც არ ღირს. ყველამ ვიცით. ვფიქრობ, ნორმალური, კარგი, წარმატებული წელი გვქონდა. მეტი ფული რომ ჰქონდეს ფედერაციას, კიდევ უფრო კარგი იქნებოდა.

**- ვიცით, რომ ჩოგბურთში ფინანსები არ არის, ახალგაზრდა ჩოგბურთელებს უჭირთ ფინანსურად. ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე, მათგან მედლების მოლოდინი ცოტა გადაჭარბებული ხომ არ იყო?**

- კმაყოფილი ვარ მათი თამაშით. ბიჭებმაც და გოგოებმაც იმის მაქსიმუმი გააკეთეს, რაც შეეძლოთ. მიზეზების ძებნა, რომ ორი საათის შემდეგ ისევ თამაში უწევდათ, სხვებიც ასეთ რეჟიმში იყვნენ. ამიტომ, რა თქმა უნდა, ველოდებოდით მედლებს. მე, პირადად, ველოდებოდი. პირველ რიგში, ჩვენი პირველი ნომრებისგან, ნიკოლოზ დავლიანიძისა და ანა შანიძისგან. ბიჭების წყვილშიც გვქონდა მედლების შანსი და გოგონების წყვილშიც. ძალიან კარგად იყო გუნდი მომზადებული. მწვრთნელებმა თავიანთ მაქსიმუმზე იმუშავეს. ყველა ელოდებოდა ამას. თუმცა, წააგეს. სპორტია და მიზეზების ძებნას აზრი არ აქვს.

**- ყველა ჩოგბურთელს ერთი პრობლემა აქვს - ფინანსები. სპონსორები არ არიან. ხომ არ თვლით, რომ სახელმწიფომ ბიზნესმენს, რომელსაც სურვილი აქვს სპორტში ფული ჩადოს, რაიმე შეღავათი უნდა დაუწესოს?**

- რასაკვირველია. ძალიან გვჭირდება ყველა სპორტსმენის დაფინანსება, ხელის შეწყობა. თუ ეს არ იქნება პრიორიტეტული სახეობა სახელმწიფოსთვის, არაფერი გამოვა. ვერ ვიტყოდი, რომ ამ ბავშვებს დახმარება არ აქვთ. ოლიმპიური ფესტივალისთვის მზადება, ჩვენი გოგონების და ბიჭების ნაკრებებმა წლების წინ დაიწყო. ფესტივალი 6 დღე იყო და ჩვენ რა დაგვრჩა - პირველი, ყველაზე მნიშვნელოვანი, ჩემი სახეობიდან ვილაპარაკებ, ეს ახლადაშენებული ფანტასტიკური კორტია, რომელიც ამ დღეებში გადმოვა ფედერაციის მმართველობაში. ეს დაგვრჩა ყველაზე მნიშვნელოვანი და ასე ვიტყოდი, შეგვრჩა დაფინანსება ამ ბავშვებისთვის, რომელიც ჩვენი პრიორიტეტია. მათ, წლების განმავლობაში აიმაღლეს რეიტინგი, თამაშის ხარისხი. ეს პროგრამა არსებობდა და ამ ასაკში ჩოგბურთი გამოაცოცხლა. მე მაქვს გეგმა, რომ ეს პროგრამა არ დავხურო, ოლიმპიური კომიტეტისგან დამოუკიდებლად, ისევ გამოვყოთ ნაკრებებისთვის გარკვეული ფული, მაგრამ ამის გაკეთებას შევძლებთ იმ შემთხვევაში, თუ იქნება ნორმალური ბიუჯეტი. ველოდები ახლა, რომ ნელ-ნელა დაიწყება ბიუჯეტის განხილვა და შემდეგ, უკვე შევძლებ კონკრეტულ ციფრებზე საუბარს. რასაც ამბობენ, გარკვეულწილად სიმართლეა, გარკვეულწილად, ვერ ხვდებიან რეალობას. მაქსიმალურად ვეხმარებით ამ ბავშვებს მოედნებით, ბურთებით, იმ რეალობიდან გამომდინარე, რომელიც არის ფედერაციაში. რაღაც თანხები არსებობს ამ ინდივიდუალურ დაფინანსებაზე, მაგრამ ყველაფრისთვის საკმარისი არ არის. ეს ზოგადად, ჩვენი პრობლემაა. კანონი არ აძლევს საშუალებას ბიზნესსფეროს ადამიანებს, რომ მეტი ჩართულობა ჰქონდეთ სპორტში და მეტი დაფინანსება მისცენ. ძალიან ძნელია დღეს ჩვენთან სპონსორის ნახვა, პრაქტიკულად შეუძლებელია. სულ ვმუშაობთ ამ სფეროში, ვიღაცები ნაპოვნი გვყავს, ვიღაცებს ველაპარაკებით, თუმცა, ეს, ჯერჯერობით ამ ბავშვების მხარდაჭერაზე არ აისახება.

**- ისინი არც უარყოფენ, რომ ფედერაცია ეხმარება მათ. ისინი ამბობენ, რომ ეს რესურსი საკმარისი არ არის, თუმცა, საბოლოო ჯამში, ხელს მაინც ყველა თქვენსკენ იშვერს...**

- ფედერაციისკენ იშვერს, მაგრამ აქ დასამალი არაფერია. არც ჟურნალისტებთან, არც მშობლებთან დასამალი არაფერი მაქვს. წლევანდელი ჩვენი ბიუჯეტი 550 ათასი ლარი იყო.

**- რას ჰყოფნის ეს თანხა?**

- ძალიან ბევრ რამეს ვაკეთებთ. ინდივიდუალურ დაფინანსებაზეც ამ თანხებს ვახმართ, როგორც ქალების, ისე კაცების ეროვნულ ნაკრებებს. ვეხმარებით ბასილაშვილს, შაფათავას, ახალგაზრდებს, მაგრამ არ ჰყოფნის. ამ ფულიდან, ჩვენ გვაქვს ჩასატარებელი ევროპის გუნდური პირველობები ყველა ასაკში, როგორც ზამთრის, ისე ზაფხულის. ფედერაციის თასი, დევისის თასი. წლიური ბიუჯეტი 550 ათასი ლარია, რაც დღევანდელ კურსზე 230 ათას დოლარამდეა.

**- როცა ბასილაშვილს წელიწადში 80 ათასი დოლარი სჭირდება ტურნირებში მონაწილეობისთვის...**

- არ ეყოფა ნამდვილად. აქედან გამომდინარე, ამ თანხით, ბევრი რაღაცის გაკეთება შეუძლებელია, მაგრამ ვაკეთებთ. გაწერილია ბიუჯეტი და მივყვებით. რისი შესაძლებლობაც გვაქვს, ვეხმარებით ყველას.

**- კულუარებში იყო საუბარი, რომ უსახსრობის გამო, შესაძლოა ნაკრებმა დევისის თასზე თქვას უარიო, მართალია ეს?**

- ასეთი საუბარი არასდროს ყოფილა. პირველად მესმის თქვენგან.

**- რამდენია საჭირო მინიმუმ, რომ ფედერაციამ სპორტსმენებს მნიშვნელოვანი ტურნირები დაუფინანსოს?**

- სრული პასუხისმგებლობით მინდა გითხრათ, ფული ყოველთვის არ არის საკმარისი, ნებისმიერი სპორტის სახეობისთვის, მით უმეტეს ჩოგბურთისთვის. სრულად, ყველა ასაკობრივი ნაკრები რომ იყოს დაფინანსებული, კაცების და ქალების, ფედერაციის ბიუჯეტიდან, ასეთი რამ წარმოუდგენელია, ან სპორტის სამინისტროდან და არც მიზანშეწონილად მიმაჩნია. ეს ნამდვილად არ არის სწორი. როდესაც ადამიანი, წლების განმავლობაში, პროფესიულ ტურნირს თამაშობს, სადაც საპრიზო თანხებია, რასაკვირველია, სახელმწიფო მას უნდა დაეხმაროს, მაგრამ სრული დაფინანსება, ამ ადამიანის, არ მიმაჩნია სწორად. ბიუჯეტის გაზრდა გვჭირდება და ჩვენი პრიორიტეტი არის ნიჭიერი ბავშვები, რომელთაგანაც უნდა წამოვიდეს შემდეგი თაობა.

**- რამდენად მნიშვნელოვანია მთელ ამ პროცესებში მედიის ჩართულობა?**

- მედიის ჩართულობა ყოველთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ყოველთვის პრობლემაა რაღაცის გაშუქება. სათანადო დაინტერესება არ არის. მეტი გაშუქება მეტ პოპულარიზაციას ნიშნავს. ამის შემდეგ, უფრო ადვილია, ვიღაცას დაელაპარაკო და სპონსორობაზე მოელაპარაკო.

**- ოლიმპიური ფესტივალის ფარგლებში მზიურში ახალი კორტები აშენდა. რა შეღავათი მისცა ამან ფედერაციას?**

- ძალიან ბევრი რამ მოგვცა ამ ფესტივალმა. ყოველთვის გვქონდა მოედნების პრობლემა, განსაკუთრებით დახურული კორტის. ახლა გვაქვს ორი დახურული მოედანი და ცხრა ღია, სადაც შეგვიძლია შეჯიბრებები ჩავატაროთ. ყველა ასაკობრივი ნაკრები მზიურში უფასოდ ვარჯიშობს, ეს ძალიან დიდი ხელშეწყობაა ბავშვებისთვის. სავარჯიშო მოედანი არ გვქონდა, არამარტო მათ, ჩოგბურთის ფედერაციასაც. როცა ვატარებდით საქართველოს პირველობას, კომერციულ ფასს ვიხდიდით კორტის ქირაში. ბაზა საშუალებას მოგცემს, პირველი - ბავშვებმა აქ ივარჯიშონ და მეორე - გავზარდოთ ახალგაზრდა თაობა, საიდანაც ნიჭიერი ბავშვების სელექცია მოხდება.



„წარმატებული წელი გვქონდა. მეტი ფული რომ ჰქონდეს ფედერაციას, კიდევ უფრო კარგი იქნებოდა“

ალექსანდრე მეტრეველი: „სრული პასუხისმგებლობით მინდა გითხრათ, ფული ყოველთვის არ არის საკმარისი, ნებისმიერი სპორტის სახეობისთვის, მით უმეტეს ჩოგბურთისთვის“

„ამ თანხით, ბევრი რაღაცის გაკეთება შეუძლებელია, მაგრამ ვაკეთებთ“

„ველოდებოდით მედლებს. მე, პირადად, ველოდებოდი. პირველ რიგში, ჩვენი პირველი ნომრებისგან, ნიკოლოზ დავლიანიძისა და ანა შანიძისგან“

„შეგვრჩა დაფინანსება ამ ბავშვებისთვის, რომელიც ჩვენი პრიორიტეტია. მათ, წლების განმავლობაში აიმაღლეს რეიტინგი, თამაშის ხარისხი. ეს პროგრამა არსებობდა და ამ ასაკში ჩოგბურთი გამოაცოცხლა“


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ტელემედიცინა - ამერიკული კლინიკა საქართველოში ინოვაციას ნერგავს

სალომე ჩადუნელი

**საქართველოში უმაღლესი სტანდარტებისა და ინოვაციური ტექნოლოგიის მქონე ამერიკული კლინიკა გაიხსნა. მაღალი ხარისხის სამედიცინო კონსულტაციებს თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ტელეკომუნიკაციის გამოყენებით ამერიკაში სერტიფიცირებული ექიმები შემოგთავაზებენ. რაც ყველაზე მთავარია, დაინერგა მედიცინის უახლესი და უმნიშვნელოვანესი მიღწევა - ტელემედიცინა, რომელიც პაციენტსა და ექიმს შორის მანძილს ამცირებს და საშუალებას გაძლევთ ქვეყნიდან წაუსვლელად და ზედმეტი თანხის დახარჯვის გარეშე პროფესიონალ ამერიკელ და ამერიკაში მოღვაწე ქართველ ექიმებთან კონსლუტაცია გაიაროთ და იმკურნალოთ.**




## გიორგი კაციტაძე: „ტელემედიცინის დადებითი მხარე არის ის, რომ აქრობს მანძილს პაციენტსა და სპეციალისტს შორის და თვითონ ექიმი მოდის პაციენტთან“

EXCLUSIVE

ამერიკული კლინიკა თბილისში და ამერიკაში მოღვაწე ქართველმა ექიმებმა ერთობლივი ძალისხმევით დააარსეს. მათი მიზანი გამოცდილებისა და ცოდნის საქართველოსთვის მოხმარება და მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურებისა და ტექნოლოგიის დანერგვა იყო. ექიმები, რომლებიც ემურის, იელის, ჯონ ჰოპკისნის უნივერსიტეტებში სწავლობდნენ და ამჟამად ამერიკის წამყვან კლინიკებში მუშაობენ, მთავარ პრინციპად ხარისხს, თანამედროვე მიდგომას, მულტიმედიურ მუშაობასა და ტელემედიცინას მიიჩნევენ.

ჩვენ ვესაუბრეთ ამერიკული კლინიკის ქართველ პედიატრს გიორგი კაციტაძეს, რომელიც 15 წელზე მეტია ქალაქ ატლანტაში მუშაობს. მისი თქმით, ტელემედიცინა არის მიმართულება, რომელიც ახლა იკიდებს ფეხს, როგორც ამერიკაში, ისე მსოფლიოში. უმაღლესი ხარისხის გამოსახულება და დაცული ინტერნეტხაზები ეხმარება პაციენტსა და ექიმს დასვას სწორი დიაგნოზი და დანიშნოს შესაბამისი მკურნალობა.

„ტელემედიცინის საშუალებით ჩვენ შეგვიძლია პაციენტები დისტანციურად გავსინჯოთ. მაგალითად, მე ვიყო კლინიკაში ქალაქ ატლანტაში, ჩემი პაციენტი კი მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში. ჩვენ ვსინჯავთ პაციენტს სპეციალური აპარატით, კამერებით, სტეტოსკოპით და ა.შ. ასეთი სახის აპარატურა საქართველოში პირველადაა. არა მარტო საქართველოში, არამედ ძალიან ცოტა ქვეყანაშია განვითარებული, რადგან ტელემედიცინა საკმაოდ ახალი დარგია და ძალიან სწრაფად ვითარდება. ჩვენ პაციენტს არა ჩვეულებრივი ინტერნეტით, არამედ შიდა დაცული ხაზებით ვუკავშირდებით. აქ საუბარია კონფინდენციალურ სამედიცინო ინფორმაციაზე“, - გვიხსნის პედიატრი **გიორგი კაციტაძე**.

ტელემედიცინის დახმარებით ექიმი პაციენტს კლინიკაში მისვლის გარეშე გასინჯავს და პროცედურებს უფრო კომფორტულსა და ინოვაციურს გახდის.

,,ჩვენ გვაქვს კამერები, მოსასმენი სტეტოსკოპები და ამ აპარატს უერთდება ულტრაბგერითი მოწყობილობაც. კამერის საშუალებით შემიძლია ჩავიხედო თვალში, გავსინჯო ყელი, ყური, კანი, სტეტოსკოპის საშუალებით მოვუსმინო გულს, ფილტვებს და შინაგან ორგანოებს: ღვიძლს, ელენთას, ნაღვლის ბუშტს შევხედო, ულტრაბგერის საშუალებით და მუცლის ღრუ ცოცხალ რეჟიმში დავინახო. დამუშავების პროცესში არსებობს სპეციალური ხელთათმანები, რომლის ტესტირება ხდება და რომლითაც ჩვენ შევძლებთ პალპაციას, ხელთათმანს რომ ჩავიცვამ და მედდა რომ დააწვება მუცლის ღრუს, მე ვიგრძნობ ელენთას და ა.შ. ეს ჯერჯერობით ტესტირების ფაზაშია, მაგრამ მალე იქნება“. - ამბობს გიორგი კაციტაძე.

ყოველივე ეს საქართველოსთვის წარმოუდგენლადაც კი ჟღერს, ბევრისთვის კი უნდობლობის მაჩვენებელიცაა. ამერიკული კლინიკის პროფესიონალთა ჯგუფისთვის სიახლე და სიახლისადმი უნდობლობა მნიშვნელოვანი გამოწვევაა, რომელსაც თავს წარმატებით ართმევენ. ამაზე მეტყველებს მუდმივი ზარები მიმლებში, ჩაწერები, აქტიურობა რაიონიდან და დაინტერესებული ადამიანების შეუწყვეტელი ნაკადი კლინიკის ფოიეში.

**გიორგი კაციტაძე:**

- დისტანციურად პაციენტის ნახვა, ზოგადად, ყველასთვის ახალია და მით უმეტეს საქართველოში ნდობის მოპოვებას დრო დასჭირდება. ამ აპარატურის საშუალებით მათ ურთიერთობა ექნებათ უმაღლესი დონის სპეციალისტებთან, დიაგნოსტიკა მაღალ დონეზე იქნება, გამოჯანმრთელება, ხშირ შემთხვევაში სწრაფი იქნება, მარტო იმიტომ კი არა, რომ ეს არის კარგი ტექნოლოგია, არამედ ამ ტექნოლოგიის საშუალებით მოხდება ის, რაც არა მარტო საქართველოში, არამედ ამერიკულ მედიცინაშიც დაიკარგა. ეს არის: კონსილიუმები, სპეციალისტების ერთობლივი მიდგომა პაციენტისადმი. როდესაც მე მყავს პაციენტი ვირტუალურ გასასინჯ ოთახში, შემიძლია ამ ოთახში შემოვიყვანო პედიატრი, პედიატრიული კარდიოლოგი და ერთობლივად, ერთდროულად გავუწიოთ კონსულტაცია.

მნიშვნელოვანია, რომ ამერიკულ კლინიკაში მოგემსახურებიან საერთაშორისო სერტიფიკატისა და დიდი გამოცდილების მქონე, როგორც ამერიკელი, ისე ქართველი პროფესიონალი ენდოკრინოლოგები, ნევროლოგები, ჰემატოლოგ ონკოლოგები, დერმატოლოგები, ფსიქიატრები და პერინატოლოგები. მომავალი სამი თვის განმავლობაში სპეციალისტებისა და მიმართულებების რაოდენობა გაიზრდება და კლინიკაში მოსულებს ხარისხთან და პროფესიონალიზმთან კითხვის ნიშანი არასდროს გაგიჩნდებათ.

გამოწვევას სახელად ლაბორატორიას, კლინიკამ წარმატებით გაართვა თავი. მსოფლიოში უდიდესი ლაბორატორია „ქუესტ დაიაგნოსტიკს“კლინიკის პარტნიორია. ქართველ პაციენტებს აქვთ უნიკალური შესაძლებლობა, გააგზავნონ ანალიზები აშშ-ში, „ქუესტ დაიაგნოსტიკს“-ის ლაბორატორიაში და პასუხები 3-4 სამუშაო დღეში მიიღონ.

გიორგი კაციტაძის თქმით, კლინიკის მეორე გამოწვევა ხარისხიანი მედიკამენტებია. კლინიკის პროფესიონალთა ჯგუფს დაგეგმილი აქვს თავის პაციენტს ამერიკული წარმოების წამლები მიაწოდოს.

**გიორგი კაციტაძე:**

- მეორე აუცილებლობა კარგი მედიკამენტების არსებობაა, რაც, უმეტეს შემთხვევაში, საქართველოში არის, მაგრამ ჩვენ მაინც დაგეგმილი გვაქვს, რომ გვქონდეს ამერიკული წარმოების წამლები, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში ჯენერიკებით იქნება და ძვირი არ გამოვა. ამ შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია პასუხი ვაგოთ, რომ წამალი, ლაბორატორიული კვლევა და ყველაფერი ის, რაც დაკავშირებულია პაციენტის მკურნალობასთან, იქნება უმაღლესი დონის.








**რატომ ამერიკული კლინიკა?**

ფასი ხელმისაწვდომი და მისაღებია. მცირდება ისეთი ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია მგზავრობასთან, უცხოეთში მკურნალობასა და ცხოვრებასთან. დიაგნოზი არის ზუსტი და დასაბუთებული, ანალიზები იგზავნება ამერიკაში და ტარდება უმაღლესი ხარისხის, სანდო გამოკვლევა. თქვენ გექნებათ შანსი მკურნალ ექიმთან ერთად დაგისვან დიაგნოზი და მიიღოთ მულტიდისციპლინური გუნდის მომსახურება, თავიდან აიცილებთ ისეც პროცედურებს, როგორიცაა მიმართვებითა და ისტორიით სირბილი სპეციალისტსა და ზოგადი პროფილის ექიმს შორის. ტელემედიცინის დანერგვა ქართველი ექიმების კვალიფიკაციას გაზრდის, ხელი შეეწყობა მათ ონლაინ გადამზადებას, სტუდენტები გაეცნობიან ახალ ინოვაციებს მსოფლიო მედიცინაში, ტელემედიცინის საშუალებით დააკვირდებიან ამერიკელი ქირურგებისა თუ სხვა პროფილის ექიმების მუშაობას, გაიზრდება სამედიცინო მომსახურების ხარისხი და მკურნალობა უფრო სწრაფი და ეფექტური გახდება.

გსურთ ბნელი დერეფნები ჰიგიენურმა და ნათელმა გარემომ შეცვალოს? გსურთ დაგიბრუნდეთ ექიმის ნდობა და სწორად იმკურნალოდ? გსურთ დაეწიოთ მედიცინის განვითარებას? გსურთ ბნელი და კედლებდახეთქილი პალატებიდან მაღალი დონის ტექნიკით აღჭურვილ გარემოში მოხვდეთ? გსურთ ჩაიტაროთ ანალიზები ამერიკაში და მის სანდოობაში ეჭვი არ შეიტანოთ, ან მიიღოთ ამერიკაში დამზადებული მედიკამენტები, შეამციროთ უცხოეთში მკურნალობის ხარჯები? გსურთ თქვენ კი არ მიხვიდეთ ექიმთან, არამედ ექიმი მოვიდეს თქვენთან? მაშინ მიმართეთ ამერიკულ კლინიკას და მიიღეთ მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურება მაღალკვალიფიციური ამერიკელი პერსონალისგან.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ლევან კობიაშვილი საქ
# ფედერაციის ახა

მაგდა კლდიაშვილი

**ცხრასაათიანი ვნებათაღელვის ფონზე ჩაიარა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის 24-ე ყრილობამ, სადაც ახალი პრეზიდენტი უნდა აერჩიათ. ლევან კობიაშვილი, რევაზ არველაძე და მამუკა კვარაცხელია – ეს სამი კანდიდატი იბრძოდა პრეზიდენტის პოსტის დასაკავებლად. საარჩევნო დღე იმაზე ამაღელვებელი და დაძაბული გამოდგა, ვიდრე ამას ყველა ვარაუდობდა. არჩევნები 9 საათის დაგვიანებით დაიწყო, 33 დელეგატიდან ხმათა უმრავლესობა ლევან კობიაშვილს ხვდა წილად.**

არჩევნების წინა ღამეს, ინვალიდ-ამპუტანტთა კავშირის დელეგატი, გერმანე (გეგა) გობეჯიშვილი სამართალდამცავებმა ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარების ფაქტზე დააკავეს და იზოლატორში გადაიყვანეს. მიუხედავად იმისა, რომ გობეჯიშვილი ამავე ბრალდებით 2007 წელსაც იყო დაკავებული, საქმემ, რასაკვირველია, პოლიტიკური დატვირთვა მიიღო.

გობეჯიშვილის განთავისუფლების მოთხოვნით, რევაზ არველაძემ არჩევნების ჩაშლა მოითხოვა და დელეგატებს მოუწოდა, რომ არჩევნებში მონაწილეობა არ მიეღოთ, სანამ დელეგატი საპყრობილიდან არ განთავისუფლდებოდა.

საარჩევნო დღემ ურთიერთბრალდებების ფონზე ჩაიარა. საბოლოოდ, სასამართლომ გობეჯიშვილი 500-ლარიანი ჯარიმა შეუფარდა და გაათავისუფლა, მაგრამ მან დელეგატობაზე უარი განაცხადა, მის ნაცვლად კი ზურაბ პეტრიაშვილი დაინიშნა დელეგატად. უეფას წარმომადგენლებიც საკმაოდ გაისარჯნენ. საარჩევნო პროცესს ადგილზე აკვირდებოდა უეფას პრეზიდენტი გრიგორი სურკისი, რომელმაც საბოლოოდ მხარეების დაყოლიება მოახერხა.

ვიდრე კანდიდატებისთვის ხმის მიცემის პროცესი დაიწყებოდა, დელეგატებმა კენჭი უყარეს გურიისა და რაჭის პრეზიდენტებს, რომლებსაც, უეფას გადაწყვეტილებით, საკუთარი რეგიონების ბედი უნდა გადაეწყვიტათ. ფარული კენჭისყრით, 17 ხმით 15-ის წინააღმდეგ, რაჭამ და გურიამ ხმები დაკარგეს, შემდეგ კი ყრილობა პრეზიდენტის არჩევაზე გადავიდა.

ხმის მიცემის დაწყებამდე ლევან კობიაშვილი სიტყვით გამოვიდა, შემდეგ კი თავის ორივე მეტოქეს გადაეხვია. ყრილობაზე უმალ გაირკვა ახალი პრეზიდენტის საკითხი.

ლევან კობიაშვილმა 33 ხმიდან 18 მოაგროვა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ახალი პრეზიდენტი გახდა.

უეფას ვიცე-პრეზიდენტმა, გრიგორი სურკისმა არჩევნებს დაძაბული უწოდა და გამჭვირვალედ შეაფასა მიმდინარე პროცესები:

„მისი ცრემლები ჩემში პატივისცემას იმსახურებს. მინდა გამოვხატო ჩემი მისდამი პატივისცემა და მივულოცო ღირსეული გამარჯვება. ყველა მონაწილეს მადლობას ვუხდი დღევანდელი მძიმე დღის მშვიდობიანად ჩატარებისთვის.














## ლევან კობიაშვილი: „ქართული ფეხბურთი უკეთეს ფეხბურთს იმსახურებს. მინდა ვუთხრა სხვა კანდიდატებს, რომ ჩვენ არ ვართ ოპონენტები, ჩვენ ვართ მეგობრები“

ჩვენ ყველანი გავხდით ღირსეული ბრძოლის მოწმე.

რევაზ არველაძემ დელეგატთა მხოლოდ 15 ხმა მიიღო. დამარცხების შემდეგ მან ჟურნალისტებთან განაცხადა, რომ იმას, რაც მან ვერ მოახერხა ფეხბურთში, მისი შვილი გააკეთებს.

**რევაზ არველაძე:**

„რაც მე ვერ მოვახერხე ფეხბურთში, ჩემი შვილი გააკეთებს... ვერ ვიფიქრებდი, თუ ოდესმე ასეთი ჯოჯოხეთის გავლა მომიწევდა. ეს რომ მეფიქრა, არც ჩემს თავს და





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ართველოს ფეხბურთის ლი პრეზიდენტია












## რევაზ არველაძე: „მე ისევ ისე ამაყად ვივლი ამ ქვეყანაში და ამ ქალაქში. ხან წააგებ, ხან მოიგებ“





არც ოჯახს არ ვანერვიულებდი. ყველაფერი კეთდებოდა უზენაესი მიზნისთვის – დიდი ფეხბურთისთვის და რაც გამოვიდა, გამოვიდა. უთანასწორო ბრძოლაში ვიყავი. მე არ ვამბობ, რომ ეს კობიაშვილის ბრალი იყო. ეს ყველაფერი ერთად იყო ჩემს წინააღმდეგ. არა უშავს, გავუძლებ და მე ისევ ისე ამაყად ვივლი ამ ქვეყანაში და ამ ქალაქში. ხან წააგებ, ხან მოიგებ. ცოტა ხანს კომენტარს აღარ გავაკეთებ და ვიფიქრებ, როგორ დავისვენო ამ ჯოჯოხეთის შემდეგ“.



სფფ-ს ყოფილმა გენერალურმა მდივანმა ლევან კობიაშვილს გამარჯვება მიულოცა და წარმატებებიც უსურვა.

ემოციური იყო ლევან კობიაშვილი გამოსვლა გამარჯვების შემდეგ. სიტყვით გამოსვლისას „კობიმ“ ემოციები ვერ შეიკავა და ცრემლები წამოუვიდა, რის გამოც სიტყვაც შეწყვიტა.

**ლევან კობიაშვილი:**

„ძალიან დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ყველას. ჩემთვის მართლაც ძალიან ემოციურია ეს ყველაფერი. ეს არ არის მარტო ჩემი, ეს არის ერთიანი ქართული ფეხბურთის გამარჯვება. ვიცი, რამხელა პასუხისმგებლობა და გამოწვევაა, მაგრამ ერთ რამეში დარწმუნებული ვარ, რომ ქართული ფეხბურთი იმსახურებს უკეთეს ფეხბურთს. მინდა ვუთხრა სხვა კანდიდატებს, რომ ჩვენ არ ვართ ოპონენტები, ჩვენ ვართ მეგობრები.

ლევან კობიაშვილი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას, მინიმუმ, ოთხი წლის ვადით უხელმძღვანელებს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ოლიმპიური ფესტივალის მეოთხედფინალისტს

მაგდა კლდიაშვილი

**ნიკოლოზ დავლიანიძეს დღეს უკვე ბევრი იცნობს. თბილისის ახალგაზრდულ ოლიმპიურ თამაშებზე ის ერთადერთი ჩოგბურთელი იყო, რომელმაც მეოთხედფინალამდე გააღწია. სამწუხაროდ, მეოთხედფინალში, ტურნირის მეხუთე ნომრად განთესილი ქართველი, პოლონელ მესამე ნომერთან, რაფალ მიხალსკისთან დამარცხდა. დავლიანიძემ, წყვილთა თანრიგშიც მეოთხედფინალში წააგო და გათამაშებას გამოეთიშა. ცოტამ თუ იცის, რომ პოლონელი მეტოქის წინააღმდეგ ახალგაზრდა ჩოგბურთელი ტრავმით თამაშობდა, უფრო ზუსტად კი ფეხზე ამძვრალი ფრჩხილებით, რომელიც კორტზე, სამსაათნახევრიანი თამაშის შემდეგ დაუზიანდა. ვიდრე ნიკოლოზ დავლიანიძე ოლიმპიური ფესტივალისთვის ემზადებოდა, ოლიმპიურ კომიტეტს მისთვის ბიუჯეტი ჰქონდა გამოყოფილი. მას ჩოგბურთის ფედერაციაც ეხმარებოდა, ახლა კი მისი მომავალი გაურკვეველია. მას შემდეგ, რაც ფესტივალი დასრულდა, ნიკოლოზისთვის ტურნირი აღარავის დაუფინანსებია. ოჯახმა ბევრი კომპანია მოიარა, თუმცა სპონსორი მაინც ვერ იშოვა. ორ ნოემბერს კი დუბაიში ორი მნიშვნელოვანი ტურნირია, რომელზე მონაწილეობაც ჩოგბურთელისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.**

იმ შემთხვევაში, თუკი დავლიანიძეების ოჯახი სპონსორს ვერ იპოვის, ნიკა ტურნირის მიღმა დარჩება და ეს პირველი ტურნირი არ იქნება, რომელსაც ჩოგბურთელი დააკლდება. ჩოგბურთის ფედერაციას ძალიან მწირი ბიუჯეტი აქვს, შესაბამისად, მანაც ამოწურა უკვე ყოველგვარი რესურსი, რომ დავლიანიძეს ტურნირები დაუფინანსოს.

ნიკას დედა, ნინო ბალიაშვილი ამბობს, რომ ბევრ ბიზნესმენთან იყო, შეიძლება ითქვას, რომ მაგნატებთანაც, მაგრამ მათგან დაუსაბუთებელი უარი მიიღო. როგორი იყო ნიკოლოზის განცდები ოლიმპიურ ფესტივალზე, რატომ იტირა ჩოგბურთელმა და რისი იმედი აქვს ოჯახს.

**ნინო ბალიაშვილი:**

- შარშანდელი და წლევანდელი მდგომარეობა ნიკოლოზს ძალიან კარგი ჰქონდა. ჯერ კიდევ 14 წლის, ევროპაში მეშვიდე ნომერი იყო. ეს ძალიან დიდი მიღწევაა. აღმოსავლეთ ევროპის ჩემპიონატი მოიგო, ერთეულებიც და წყვილთა თანრიგიც. საქართველო ორჯერ მოიგო, შემდეგ კი ITF-ის გუნდში მოხვდა. 5 ბავშვი ამოარჩიეს აღმოსავლეთ ევროპის ჩემპიონატზე, გაიყვანეს და იქ ათამაშეს. 5 უფასო ტურნირი ითამაშა. ძალიან დიდი წვლილი მიუძღვის ამაში ოლიმპიურ კომიტეტს. ვინც ოლიმპიურ ფესტივალზე თამაშობდა, დაფინანსება ხვდებოდა. ნიკა პირველი ნომერი იყო საქართველოდან. ჩვენი გადასახდელი იყო კორტი, ბურთები, ტანსაცმელი, ფორმები. ძალიან ბევრი რამ სჭირდება ჩოგბურთს. ტურნირებს გვიფინანსებდნენ. ახლა გაუჭირდა ოლიმპიურ კომიტეტს, ჩოგბურთის ფედერაციას, ზუსტად ვიცი, რომ ისინი უკან არ დაიხევენ, რომ დაეხმარონ კარგ ბავშვებს, მარტო ნიკოლოზს კი არა, სხვა კარგი ბავშვებიც არიან. იმედი მაქვს, ფედერაციას უფრო მეტ თანხას გამოუყოფენ, რომ ბავშვებს მოახმარონ. ეს თუ არ იქნება, თუ ტურნირზე ვერ გამოვა, შედეგიც არ გვექნება. წელს, ნიკოლოზმა რა ტურნირებიც ითამაშა, ყველგან, ან ფინალში იყო, ან გამარჯვებული გახდა.



**- ნიკა ჯერ მხოლოდ 15 წლისაა, თუმცა ძალიან ბევრი თასი და მედალი აქვს. რამდენი გათამაშება აქვს მოგებული?**

- ძალიან ბევრი. 10 წლიდან დადის ტურნირებზე. 12 წლამდე, 14 წლამდე, 16 წლამდე, წელიწადში მინიმუმ, 15 ტურნირს თამაშობს. ძალიან კარგი შედეგები ჰქონდა ამ პერიოდში.



**- ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე, რომელიც თბილისში ჩატარდა, ქართველი ჩოგბურთელებიდან ნიკოლოზი პირველ ნომრად იყო განთესილი. სამი წრე წარმატებით გაიარა, თუმცა მეოთხედფინალში წააგო. ფსიქოლოგიურად მზად იყო ამ ყველაფრისთვის?**

- საქართველოდან პირველი იყო, ტურნირზე კი მეხუთე ნომრად იყო განთესილი. ძალიან კარგად ითამაშა. ყველაზე ცუდი ის იყო, რომ ყველა, ვინც კი შეხვდებოდა, ეუბნებოდა, რომ მისგან მედალს ელოდებოდნენ. მედალი გვინდა, აბა, შენ იცი, დაიზაფრა. ღამეები არ ეძინა. ათენებდა. მერე დავამშვიდეთ რაღაცნაირად. პირველი მატჩი, ფსიქოლოგიურად ძალიან გაუჭირდა. ყველაზე რთული მატჩი ბრიტანელთან მოიგო. ორი თავით მაღალი იყო. ძალიან რთული შეხვედრა მოიგო. სამსაათნახევარი თამაშობდა კორტზე. ამ თამაშზე ტრავმა მიიღო, ძალიან ცხელოდა. რეზინის საფარზე ამდენი მოძრაობისგან ტრავმა მიიღო. ფრჩხილები სულ დასძვრა. მედალი არ აგვილია, მაგრამ მეოთხედფინალში იბრძოლა. რომ არ ჰქონოდა ასეთი რთული ფიზიკური მდგომარეობა, ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტიც ამბობდა, ნიკა მოიგებდა.

**- ერთეულთა თანრიგის შემდეგ, რამდენიმე საათში, ნიკა წყვილთა თანრიგშიც გამოდიოდა. ასწრებდა ფიზიკურ აღდგენას?**

- აღდგენა კარგი აქვს, მაგრამ რთულია. საშინელი სიცხეები დაემთხვა. ალბათ, 50 გრადუსი მაინც იყო კორტზე. წარმოიდგინეთ, ამ საფარზე, სამსაათნახევარი რომ დარბიხარ და ზუსტად ორ საათში, წყვილებს თამაშობ, ნიკამ წყვილიც მოიგო და იქაც ნახევარფინალში წააგო, შემდეგ ნერვებზე აიშალა. მსაჯმაც არასწორად იმსაჯა. ყოველ შემთხვევაში, ასეთი გრანდიოზული ტურნირისთვის, ცუდი ნამდვილად არ არის მეოთხედფინალი.

**- ისინი, ვინც ნიკოლოზისგან მედალს ითხოვდნენ, მათთვის რამდენად იყო ეს კარგი შედეგი?**

- ძალიან დაწყდათ გული, რომ მედალი ვერ აიღო ნიკოლოზმა. ვერ აიღო მედალი და მორჩა. მეტი არაფერი.

**- ამის შემდეგ ყურადღება გაქრა ნიკას მიმართ?**

- ახლა კორტს აძლევენ ნაკრებს უფასოდ და ძალიან დიდი რაღაცაა. დაფინანსებას რაც შეეხება, ხომ გეუბნებით, ფედერაციას არ აქვს ფინანსები, არც ოლიმპიურ კომიტეტს აქვს. არავის არ აქვს, თუ არ დაგვეხმარნენ, თუ არ მიხედეს ამ ნიჭიერ ბავშვებს, მხოლოდ ნიკოლოზზე არ ვსაუბრობ, ბევრი ნიჭიერი ბავშვია, რომლებსაც, თუ მოკიდებენ ხელს, არანაკლები მოთამაშეები იქნებიან ევროპის ბავშვებთან შედარებით.

**- ვიცი, რომ მსხვილ ბიზნესმენებთან იყავით მისული, მაგრამ ყველამ უარი გითხრათ, არ აინტერესებთ საქართველოში ჩოგბურთი?**

- თუ ვინმესთან შეიძლებოდა მისვლა, ყველასთან მივედით, მაგრამ ყველა უარს ამბობს, არ ვიცი, რატომ.

**- კონკრეტულად რომელ კომპანიებთან იყავით?**

- არ აქვს მნიშვნელობა ახლა ამას. თუ არ უნდათ გაკეთება, არც ისე გააკეთებენ და არც ასე. ბევრ ბიზნესმენს შევხვდი. შეიძლება ითქვას, რომ მაგნატებთანაც ვიყავი, მაგრამ უარი მივიღეთ.



**„ერთ ტურნირზე წასვლა, მწვრთნელის გარეშე, დაახლოებით 2 ათასი დოლარი ჯდება“**

**- სპონსორი ვერ იპოვეთ, ფედერაციას ბიუჯეტი არ აქვს, რას აპირებთ?**



**„დიდი დრო მქონდა მოსამზადებლად. ნორმალურად ვითამაშე. ასე ვთვლი, თუმცა მეტი შემეძლო“**

- ყველაზე მეტად ამას ნიკოლოზი განიცდის. ტურნირზე რომ უნდა წახვიდე, რადგან კარგი ტურნირია და ვერ მიდიხარ, ბავშვს გული წყდება. ვერაფერს ვაკეთებთ. ძალიან კარგი მწვრთნელი გვყავს. არაჩვეულებრივი ბიჭია, დათუნა კვერნაძე. ძალიან უყვართ მწვრთნელსა და ნიკოლოზს ერთმანეთი. ვვარჯიშობთ, მომავლის, ფედერაციის იმედი გვაქვს. იქნებ, სპორტის სამინისტრომ გაზარდოს თანხები და ფედერაციას დაეხმაროს, მაგრამ ეს ყველაფერი იქნება ახალი წლიდან, ალბათ.

**- ნიკოლოზს მოწვევაც ჰქონდა უცხოეთიდან, მაგრამ უსახსრობის გამო ვერ წახვედით, რომელ ქვეყნებზე იყო საუბარი?**

- ნამდვილად იყო. შარშან ნიუ-იორკ-



**„ორ თითზე ამძვრა ფრჩხილი. თამაშის დროს ძალიან მტკიოდა“**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ბიზნესმენებმა დაფინანსებაზე უარი უთხრეს




# ნიკოლოზ დავლიანიძე: „მეოთხედფინალში ქართველებიდან მხოლოდ მე ვიყავი დარჩენილი და ძალიან გამიჭირდა“

ის კლუბიდან მოუვიდა მოწვევა. მათ ეგონათ, რომ ორენჯბოლზე წავიდოდით, მაგრამ ვერ წავედით. ძალიან დიდ თანხებთან იყო დაკავშირებული. 6 ათასი დოლარი სჭირდებოდა. კარგი, პრესტიჟული ტურნირია. ყველა კარგი მოთამაშე მიდის. ოლიმპიურ კომიტეტს ნიკაზე 25 ათასი ლარი ჰქონდა გამოყოფილი. ეს 12 ათას დოლარზე ცოტა მეტია. გამოდიოდა, რომ ამ ტურნირზე წავიდოდით, სხვაგან კი ვერსად. ერთ ტურნირზე წასვლა, მწვრთნელის გარეშე, დაახლოებით 2 ათასი დოლარი ჯდება. მთელი წლის განმავლობაში უნდა იკმარო ეს თანხა. იქ რომ წასულიყო, სხვა ტურნირებისთვის აღარ რჩებოდა თანხა. იმ კლუბის წარმომადგენელმა მოგვწერა, ველოდებოდით, რატომ არ ჩამოვიდაო. მივწერეთ, რომ ფინანსური სახსრების გამო ვერ წავედით. მოგვწერა, როგორ არ გვითხარით, ჩვენ თვითონ ავულებდით ბილეთს და ჩამოვიყვანდითო. ძალიან უნდოდათ. ოღონდ ნიკას ეთამაშა, აბსოლუტურად უფასოდ ავარჯიშებდნენ. კარგი კლუბია თურქეთში, იქაც უფასოდ შემოგვთავაზეს ორჯერადი ვარჯიში, ფიზიოთი. საქმე იმაშია, რომ ვარჯიში აქაც შეიძლება, მთავარიაა, ტურნირი ითამაშოს. გადასარევი მწვრთნელები გვყავს, დათუნა კვერნაძე, ირაკლი უშანგიშვილი. დიდი წვლილი მიუძღვის გაგა დოლიძეს, რომელიც ახლა ვერ ავარჯიშებს, მაგრამ მუდამ ნახულობს, ამხელა ამაგის შემდეგ თავს ვერ დაანებებს. არიან კარგი ბიჭები, ვისთანაც შესაძლებელია კარგი ვარჯიში. მთავარი ტურნირია. ტურნირი ზრდის ბავშვს. 2 ნოემბერს დუბაიში ორი კარგი ტურნირი იწყება. თუ დაგვიფინანსებენ, ეს არის მთავარი. ვნახოთ, როგორ იქნება ეს.

**- ოლიმპიურ ფესტივალზე წაგების შემდეგ, როგორი იყო დამარცხებული ნიკოლოზი?**

- ძალიან განიცადა. იტირა. იმხელა პასუხისმგებლობა ჰქონდა. მე უფრო არ ვიმჩნევ, რომ აგებს, ვეფერები. არის მომენტები, როდესაც მატჩი მოსაგებია, მაგრამ აგებ. ჩოგბურთია და ყველაფერი ხდება. ნიკოლოზი კი არა, ფედერერი აგებს. შეიძლება შენზე სუსტთან დამარცხდე, მაგრამ ბოლომდე როცა იბრძვი და მაქსიმუმს აკეთებ, როგორ შეიძლება მომიბრუნდეს ჩემს შვილზე ენა და საყვედური ვუთხრა. ისე განიცდის, შემდეგ საჩუქრებს ვყიდულობ. პირველი ფსიქოლოგი მე და თავისი მწვრთნელი ვართ. ძმა ეხმარება ძალიან, ისიც ჩოგბურთელი იყო. ახლა 18 წლამდე დაიწყო თამაში. ორჯერ ბაქოში იყო, სადაც მეოთხედფინალებში წააგო. გამოცდილება დიდი აქვს, მაგრამ თუ არ ითამაშებს, აღარც ეს იქნება.

თავად ნიკოლოზი ამბობს, რომ ოლიმპიურ ფესტივალზე თამაში უკეთესად შეეძლო და მედლის მოპოვებაზეც უნდა ებრძოლა. მარცხი ძალიან განიცადა, თუმცა ის წაგება დაივიწყა და ახლა მხოლოდ მომავალზე ფიქრობს.

**ნიკოლოზ დავლიანიძე:**

- ფსიქოლოგიურად მზად ვიყავი. დიდი დრო მქონდა მოსამზადებლად. ნორმალურად ვითამაშე. ასე ვთვლი, თუმცა მეტი შემეძლო. ბოლო თამაშზე ვერ გავაკეთე ისე, როგორც საჭირო იყო. მედლის აღების შანსი მქონდა.

**- ყველაზე რთული რომელი თამაში იყო?**

- ყველაზე მძიმე მეორე თამაში იყო, ბრიტანელთან ამ შეხვედრის შემდეგ კიდევ ერთი მოვიგე და მეოთხედფინალში დავმარცხდი. დილას მქონდა პირველი თამაში, იმის შემდეგ სადღაც 2 საათი ვისვენებდი, ძალების აღდგენას ბოლომდე ვერ ვასწრებდი.

**- ბოლო თამაში ტრავმით ითამაშე, როგორ მოახერხე საერთოდ კორტზე გასვლა?**

- ორ თითზე ამძვრა ფრჩხილი. თამაშის დროს ძალიან მტკიოდა. უფრო მეტს გავაკეთებდი, მაგრამ ისეც მეტი უნდა გამეკეთებინა.

**- ტურნირამდე ყველა მედალს ითხოვდა შენგან, ამან ხომ არ დაგაკომპლექსა?**

- ვნერვიულობდი. კარგ ფორმაშიც ვერ ვიყავი. პირველი თამაშის შემდეგ უკეთესად ვითამაშე და ნერვიულობაც მომეხსნა. მეოთხედფინალში ქართველებიდან მხოლოდ მე ვიყავი დარჩენილი და ძალიან გამიჭირდა. ფსიქოლოგია კორტზე ბევრს ნიშნავს. წაგება რთულია, შემდეგ უფრო ადვილი მეტოქე მოდიოდა, რომლის დამარცხებაც შემეძლო. ხელი არ ჩამიქნევია. დუბაიშია ნოემბერში ორი ტურნირი და იმედია, წავალ.

**„ხელი არ ჩამიქნევია. დუბაიშია ნოემბერში ორი ტურნირი და იმედია, წავალ“**





**„ნიკა პირველი ნომერი იყო საქართველოდან. ჩვენი გადასახდელი იყო კორტი, ბურთები, ტანსაცმელი, ფორმები. ძალიან ბევრი რამ სჭირდება ჩოგბურთს“**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რომან ფიფია - წასვლა



## რომან ფიფია: „მამაჩემი გაგრაშია დასაფლავებული. რამდენჯერმე შემოგვთავაზეს გადმოსვენება. ეს წარმოუდგენელი რაღაცაა. ამის გაკეთება ჩემთვის აფხაზეთის საბოლოოდ დაკარგვას ნიშნავს“

> „ბევრი ბიზნესმენი გვყავს, ვისაც სურს ქართულ ფეხბურთში ფულის ჩადება, მაგრამ მათ გამჭვირვალობა, სისუფთავე და სიმართლე უნდათ“

მაგდა კლდიაშვილი

**რამდენიმე წელია “დინამო თბილისს” რომან ფიფია ინახავს. მას სხვადასხვა ბიზნესები აქვს, მაგრამ საზოგადოებამ მაინც “დინამოდან” გაიცნო, კიდევ იმ ქველმოქმედებებიდან, რაც მის სახელთან არის დაკავშირებული. “დინამო თბილისის” მეპატრონემ ბევრი მენეჯერი და მწვრთნელი შეცვალა. არ უყვარს ინტერვიუები, თუმცა “პრაიმტაიმთან” ექსკლუზიურ ინტერვიუში ის იმ შეცდომებზე საუბრობს, რომელიც “დინამოში” ყოფნის პერიოდში დაუშვა. 13 ივნისის სტიქიის შემდეგ, პირველი იყო, რომელმაც დაზარალებულებს დახმარების ხელი გაუწოდა და ხუთ ოჯახს ბინაც შეუძინა. ცოტამ თუ იცის დღეს, რომ რომან ფიფიამ, გაგრადან მამის საფლავის თბილისში გადმოტანაზე უარი რამდენჯერმე განაცხადა. როგორც თავად ამბობს, მას არ უნდა ერთადერთი ძაფის გაწყვეტა იმ ადგილთან, სადაც დაიბადა და გაიზარდა. რამ განაპირობა რომან ფიფიას ცხოვრებაში სოციალური პასუხისმგებლობის მაღალი დონე და რატომ აპირებს ის წასვლას. სამაგალითო სხვებისთვის - ემოციური და განსხვავებული რომან ფიფია “პრაიმტაიმთან” ამ ყველაფერზე საუბრობს.**

**- გასაგებია, რომ ვეტერანების ღვაწლი დიდია და ისინი მუდამ გვახსენებენ 1981 წელს, მაგრამ მათ არ მიუძღვით ბრალი ქართული ფეხბურთი ასეთ მდგომარეობაში რომაა?**

- არ შეიძლება, ასე დავადანაშაულოთ ვეტერანები, რომ მათი ბრალია ეს ყველაფერი, თუმცა, შემიძლია ვთქვა, რომ თითოეული ჩვენგანის ბრალია, რაც ხდება ქართულ ფეხბურთში. ჩემიც, ვეტერანებისაც, ყველა იმ ადამიანის, ვინც დღეს წარადგინა კანდიდატურა ფედერაციის არჩევნებზე. იმიტომ, რომ დროულად არ ხდებოდა რეაგირება არაფერზე. რატომ გავხსენი მარტო მე აკადემია, ჩემამდე არავინ მოღვაწეობდა ქართულ ფეხბურთში? რატომ გააკეთა ეს ფიფიამ და რატომ ჩადო ინვესტიციები? როდესაც, ვსაუბრობთ, თუნდაც ბავშვთა ფეხბურთზე. უნიკალური სკოლა გაკეთდა „დინამო თბილისის“ აკადემიაში. ასეთი სკოლა რომ 4 გაკეთდებოდეს, უკვე საკმარისი იქნება. ჩვენ ხომ მივეცით მაგალითი. როდის გაგიგიათ, ფედერაციაში ამაზე საუბარი ყოფილიყოს. როგორ შეიძლება ასეთმა ფედერაციამ უკეთესი დღე მოგვიტანოს ხვალ. ამიტომ არის აუცილებელი ცვლილება. სწორედ ამიტომ დაუდგა „დინამო“ გვერდში კობიაშვილს. ჩვენ გვსურს ცვლილებები. კობიაშვილში ვხედავთ ფეხბურთის განვითარების უკეთეს გზას. ეს არის ჩვენი ხედვა.

> „როგორ შეიძლება ასეთმა ფედერაციამ უკეთესი დღე მოგვიტანოს ხვალ“



**- როგორ უნდა დაკომპლექტდეს აღმასკომი, ორგანო, რომელიც ფეხბურთში ცვლილებებს განაპირობებს?**

- ეს უკვე მსჯელობის საგანია. მე ვერ დავაკომპლექტებ, როგორც „დინამოს“ პრეზიდენტი, აღმასკომის წევრების რაოდენობას თუ შემადგენლობას. აღმასკომში უნდა იყვნენ ის ადამიანები, ვინც ფულს დებს ქართულ ფეხბურთში. დიდი პატივისცემა ვეტერანებს, მაგრამ ჩვენ გვინდა საქმე, მათთან ერთად. უნდა ვუხმოთ ისეთ ხალხს, ვინც ხვალ წვლილს შეიტანს ქართულ ფეხბურთში. იქ ვეტერანებიც უნდა იყვნენ, მათი აზრიც უნდა იყოს გათვალისწინებული, მაგრამ მაპატიეთ, გადამწყვეტი აზრი - არა. ქართულ ფეხბურთში ფულის ჩადება დღეს, ქველმოქმედებაა. ბიზნესი, შესაძლოა, 10-15 წლის შემდეგ გახდეს, სწორედ ასეთ ხალხს უნდა უხმონ. ბევრი ბიზნესმენი გვყავს, ვისაც სურს ქართულ ფეხბურთში ფულის ჩადება, მაგრამ მათ გამჭვირვალობა, სისუფთავე და სიმართლე უნდათ. რას ნიშნავს ეს, ეს ნიშნავს იმას, რომ შეუძლებელია, რომელიმე ცალკეულ გუნდს მიეცეს ბიუჯეტიდან დაფინანსება ჩემს ხარჯზე, „დინამოს“ ხარჯზე, რომელიც იხდის საშემოსავლოს და აქედან ფინანსდება „დინამოს“ კონკრეტული კონკურენტი. ძალიან კარგია, კონკურენტს რა სჯობს, ფეხბურთი სხვანაირად ვერ ვითარდება, მაგრამ ჩემი ფულის ხარჯზე არა. „დინამომაც“ ზუსტად იგივე თანხა უნდა მიიღოს, რამდენსაც ცალკეული გუნდი იღებს. ეს უნდა იყოს სამართლიანი გადანაწილება, მხოლოდ სამართლიანი და ა.შ. ასე განვითარდება ჩვენი ფეხბურთი. ჩემი აზრით, 16 გუნდი, დღევანდელი საქართველოს პირობებში, ძალიან გაზრდილი რაოდენობაა.

**- ძალიან ცოტა გვყავს ისეთი ადამიანი, ვინც ქართულ ფეხბურთში ინვესტიციას ჩადებს. ვნახეთ, რომ აღმასკომმა ილია კოკაია ფეხბურთიდან მოკვეთა. რას აკეთებს სახელმწიფო, სფფ, რომ ინვესტორი არ გაიქცეს?**

- როგორც ხედავთ, სახელმწიფო დებს ფულს ფეხბურთში, ათეულობით მილიონს, მაგრამ, ვიმეორებ, ეს არ არის სამართლიანი გადანაწილება. ამაზე გვაქვს გამახვილებული ყურადღება. ყველას უნდა შეხვდეს ერთნაირად. მე თუ მკითხავთ, კერძო მეპატრონეს მეტი უნდა ხვდებოდეს, ვიდრე საბიუჯეტო გუნდებს, რომ დაინტერესება იყოს. რაშია მაშინ დაინტერესება? თუ საბიუჯეტო გუნდი იღებს იმას, რასაც კერძო გუნდი, მაშინ ინვესტორს როგორ მოვიზიდავთ, საბოლოო მიზანი ხომ ინვესტორების მოზიდვაა. ბედნიერება იქნება, თუ უმაღლესი ლიგა, საბოლოოდ, დაკომპლექტებული იქნება კერძო კლუბებით. სრული კონკურენცია მაშინ დაიწყება და არა მაშინ, როდესაც, ბიუჯეტის ხარჯზე ხდება არასამართლიანი გადანაწილება, განუზომელი ხელფასების ხდა. ეს ნორმალური არ არის. ამას წერტილი დაესმება.

**- ბოლო პერიოდში გამოჩნდა კონკრეტული ჯგუფი, რომელიც, პირდაპირ რომ ვთქვათ, თქვენ წინაალმდეგ იბრძვის. ბევრჯერ დაიწერა, რომ ქართული ფეხბურთიდან მიდიხართ, ვის არ აწყობს თქვენი აქ ყოფნა?**

- ჩემი „დინამოში“ არყოფნა აწყობს ისეთ ხალხს, ვისაც ეშინია აქ შემოსვლის. ვისაც ეშინია იმ სიკეთის დანახვა, რაც გაკეთდა ქართულ ფეხბურთში, „დინამოსთვის“. ასეთ ხალხს არ აწყობს, თქვენ თვითონ მიხვდებით, ვინ არიან ეს ადამიანები. ვინც ამაზე ვერ ლაპარაკობს, ვინც ამას გაურბის, რომ ფიფიასნაირი ადამიანები არ იყვნენ ქართულ ფეხბურთში.

**- ეს ჯგუფი თბილისის „დინამოს“ დაბრუნებას ითხოვს. თქვენ ხართ მათი მოპასუხე მხარე?**

- ყოველთვის ვაფიქსირებდი ჩემს პოზიციას და დღესაც შემიძლია დავაფიქსირო. ის, რომ შსს-მ „დინამო“ დაიბრუნა თავის დროს, როგორც წერენ და ლაპარაკობენ. შსს იყო მესაკუთრე, ამიტომ, „დინამოს“ დაბრუნებაზე იურიდიული ბაზა არ არსებობს. შესაძლებელია, მხოლოდ და მხოლოდ შესჩივლონ სახელმწიფოს და მას მოსთხოვონ, მაგრამ რა უნდა მოსთხოვონ? აქ მე არ ვარ მხარე. საკმაოდ ბევრ ფულს ვდებ „დინამოში“. ამ თემაზე ძალიან მოკრძალებული პასუხი მაქვს.

**- ჩვენი ინფორმაციით, ამ ჯგუფმა თქვენ წინადადებაც შემოგთავაზათ, რომ აკადემიისთვის გეპატრონათ, ბაზა და გუნდი კი მათთვის დაგეთმოთ, რეალურად იყო ეს შემოთავაზება?**

- აბსოლუტური ჭორია. ჩემთვის დიდი პატივია „დინამოს“ პატრონობა, მაგრამ პასუხისმგებლობაც ძალიან დიდია. დიდ თანხებთან არის ეს დაკავშირებული. არ მგონია, ვინმეს ჰქონდეს ამ ტვირთის თავის ზურგზე შემოგდების სურვილი. ასეთ ადამიანს ვერ ვხედავ, მაგრამ, თუ ასეთი გამოჩნდება, მზად ვარ „დინამო“ დავთმო.

**- მერაბ ჟორდანიამ განაცხადა, რომ ის ამ ჯგუფის უკან არ დგას და „დინამოს“ დაბრუნებასთან დაკავშირებით პირადი ინტერესი არ გააჩნია. მეორე მხარეს არველაძეები და მათი მეგობრები არიან, რომლებიც ამ ჯგუფის დამაარსებლები არიან. თქვენი ინფორმაციით, ვინ დგას მათ უკან?**

- მერაბ ჟორდანიამ ჩემთანაც დააფიქსირა ეს პოზიცია. მეც ვიცი, რომ იყო პრობლემები მესაკუთრეებთან, ბევრჯერ გამოიცვალა პატრონი. მე არ ვარ ვალდებული, გავცე პასუხი ძველ ქმედებებზე. არანაირი ვალდებულება არ გამაჩნია. რაც შეეხება არველაძეებს, დიდ პატივს ვცემ შოთის, პროფესიონალია. აჩი არველაძე კარგი ფეხბურთელი იყო, რაც შეეხება რეზის, ვთვლი, რომ ის არ უნდა იყოს პრეზიდენტი. კმარა. ეს არის ჩემი აზრი. რეზის თავისი აზრი აქვს. ყველას აზრს ვცემ პატივს. ის ხალხი, ვინც ამ ჯგუფში ტრიალებს, განიხილებიან, როგორც რეზის უახლოესი მეგობრები. ვის რა ილუზიები აქვს, არ ვერევი ამ თემაში და არც ვაპირებ აპელირებას. ამას, ჩემთან, აბსოლუტურად არაფერი აქვს საერთო. რის დაბრუნებას აპირებენ, როგორ აპირებენ, არ ვიცი, ან სად უნდა განიხილონ ეს თემა. არ მსურს ამაზე ლაპარაკი. რა გიპასუხოთ, როგორ წარმოგიდგენიათ ამის დაბრუნება. სახელმწიფოსგან კი არ მიყიდია, რომ თუნდაც სახელმწიფომ დაუბრუნოს.

**- რამდენიმე წელია თბილისის „დინამოს“ მეპატრონე ხართ. მანამდე სხვადასხვა ბიზნესში საქმიანობდით, თუმცა საზოგადოებამ მაინც „დინამოდან“ გაგიცნოთ. რატომ გადაწყვიტეთ ქართულ ფეხბურთში ინვესტიციის ჩადება და ხომ არ ნანობთ ახლა ამას?**

- ადრე რუსეთში გუნდი მყავდა. ბევრი მინერვიულია და დიდი თანხაც ჩამიდია. ჩემს ოჯახს ეს კარგად ახსოვს. სწორედ ამიტომ, ჩემს ოჯახს ყველაზე მეტად გაუკვირდა, რომ ეს ნაბიჯი ისევ გადავდგი. დარწმუნებული ვარ, რამდენი ბოროტი ადამიანიც არ უნდა არსებობდეს, რომელთაც შესაძლოა, არ უნდოდეთ ისეთი ადამიანების ყოფნა ქართულ ფეხბურთში, როგორიც ფიფია, კოკაია, ჩიხრაძე და ინჯიაა. ეს გავაკეთე, იმიტომ, რომ დავინახე, ქართულ ფეხბურთს აქვს პოტენციალი და დღესაც დარწმუნებული ვარ ამაში. თუ სინანულზეა ლაპარაკი, ვნანობ, რომ სა-



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# არასდროს არ არის ცუდი

**„ჩემი „დინამოში“ არყოფნა აწყობს ისეთ ხალხს, ვისაც ეშინია აქ შემოსვლის“**

დღაც სამი წელი დავაგვიანე. პირველი დღიდან აკადემია უნდა გამეკეთებინა. ამას ვთვლი ჩემს შეცდომად. ჩვენ გვყავს უნიკალური თაობა, ნიჭიერი ბავშვები, რომლებსაც აღზრდა სჭირდებათ. ბრწყინვალე მშობლები ჰყავთ, მაგრამ საფეხბურთო აღზრდას ვგულისხმობ, რომ ნაცნობი დაავადებები, გამრუდებები და სხვა უბედურებები ავიცილოთ. ამისთვის საჭიროა ინფრასტრუქტურა. შევქმენით ეს და დავიწყეთ ფეხბურთელების გაზრდა, აღზრდა. შევარჩიეთ უნიჭიერესი მწვრთნელები, მოვიყვანეთ ჰოლანდიელი სპეციალისტი, სისტემა ააწყო და ა.შ. იქ ცხოვრობს 30 ბავშვი, ჯერჯერობით და იმედი მაქვს, რომ ეს რაოდენობა გაიზრდება. 200 ბავშვი უფასოდ ვარჯიშობს აკადემიაში, აქ არის კვება, ვარჯიში და სხვა ყველაფერი, რაც საჭიროა. დარწმუნებული ვარ, მომავალ 4-5- წელიწადში, შეიძლება მე ფეხბურთში არ ვიყო, ყველაფერი ხდება, მაგრამ ქვეყანას დარჩება უნიკალური აკადემია, ბევრი სწორად გაზრდილი ფეხბურთელი, რომელიც, პირველ რიგში, სიამაყეს მოუტანს ჩვენს ფეხბურთს, საქართველოს და ნაკრებს. ის ადამიანები, ვისაც ტვინი სხვაგვარად აქვთ მოტრიალებული, ამაზე არ ფიქრობენ, არც უფიქრიათ, რადგან არ გაუკეთებიათ. უპირველესად, ამაზე ვფიქრობ. მართლა გიჟი უნდა ვიყო, რასაც ვაკეთებ. ძალიან მალე ქართული ფეხბურთი მიიღებს მაღალკვალიფიციურ ფეხბურთელებს. ეს არის სამოთხე, რაშიც სახელმწიფომ ფული უნდა ჩადოს, კერძო სექტორმაც. ზუსტად მაშინ დაიწყება აღორძინება, დავიწყებთ მოგებებს, ახალგაზრდებს იმედი გაუჩნდებათ.

**- წასვლას აპირებთ?**

- რა თქმა უნდა. წასვლა არასდროს არ არის ცუდი, უნდა იყოს დროული და არ უნდა იყოს დაგვიანებული, მაგრამ ამას უნდა მოჰყვებოდეს რაღაც მიღწევა. საერთოდ, ნორმალური

**„ვნანობ, რომ სადღაც სამი წელი დავაგვიანე. პირველი დღიდან აკადემია უნდა გამეკეთებინა. ამას ვთვლი ჩემს შეცდომად“**

ადამიანები ასე ფიქრობენ, რომ რაღაცას მიაღწიონ დროთა განმავლობაში და შემდეგ წავიდნენ. ეს არის სწორი. შემდეგ სხვა რაღაცას უნდა მიხედო.

**- დროთა განმავლობაში გუნდში ბევრი მენეჯერი შეიცვალა. ამ გადასახედიდან, როგორ გგონიათ, მათ თქვენი ფინანსური რესურსები პირადი ინტერესებისთვის ხომ არ გამოიყენეს?**

- ფეხბურთი, საერთოდ, ჯენტლმენების სპორტია. ასე ვთვლი, არ ვლაპარაკობ არაჯენტლმენებზე. ყველაფერი სააშკარაოზე არ უნდა გამოიტანო. ცუდი რაღაცებიც ხდება ხოლმე, მაგრამ ამის გამოტანა გარეთ, პატარა ადამიანების საქმეა. არიან ადამიანები, მათ შორის ფეხბურთელებიც, ვისაც პატივისცემამ აწყინა.

**- აკადემიისა და გუნდის შენახვა რა გიჯდებათ ყოველწლიურად?**

- ეს თანხა ძალიან მაღალი იყო, ცხრა მილიონ დოლარამდე. ჩვენ, ლეგიონერების ჯგუფს არაადეკვატურ ხელფასებს ვუხდიდით. ასეთივე ხელფასები ჰქონდათ ქართველ ფეხბურთელებსაც. არასწორი გადაწყვეტილება მქონდა მიღებული, დაყრდნობილი ვიყავი ჩემს თანამოაზრეებზე, ამიტომ გავყევი მათ. შემდეგ მივხვდი, რომ თავად უნდა მიმელო გადაწყვეტილებები, დამემთავრებინა ეს. თუ ჩვენ არ გავზრდით მომავალ თაობას, შეიძლება წუთიერ გამარჯვებას მივაღწიოთ, მაგრამ ჩვენი ახალგაზრდები ვერ დაიკავებენ გუნდში ადგილებს, ისევ ლეგიონერებზე ვიქნებით ჩამოკიდებული. ქართველ ფეხბურთელებს დავკარგავთ. როცა მივხვდი, რომ ამის საშიშროება იდგა, ახლოს ვიყავით ამასთან, მივიღე გადაწყვეტილება გაახალგაზრდავების შესახებ. ეს არის ჩვენი ფეხბურთის შანსი. აქ უნდა გავზარდოთ ფეხბურთელები. იმ პოზიციებზე, რომელზეც საქართველოში ნაკლებობა გვაქვს, მოვიწვევთ 3-4 ლეგიონერს. ვაპირებთ უცხოელებით გაძლიერებას, სხვა გზა არ გვაქვს, მაგრამ მათი რიცხვი იქნება მცირე.

**- აქვს თუ არა ფულის ხარჯვას აზრი, თუკი „დინამოს“ არ ეყოლება კონკურენტი?**

- იმისთვის, რომ ჩემპიონატი კონკურენტუნარიანი იყოს, ამას სჭირდება 10 გუნდი, ან რვა, კარგი საფარით. ფეხბურთელები რომ რეზინის მოედანზე თამაშობენ, არც ხასიათი აქვთ, არც ფეხბურთის თამაში უნდათ. როგორ შეიძლება უმაღლეს ლიგაში ასეთი მინდვრები იყოს. აუცილებელია, ცოტა, მაგრამ ხარისხიანი. ეს ფორმულაა, ახალი არავის არაფერი მოუფიქრებია. უნდა იყოს 10 გუნდი, 4 წრე და კარგი პირობები, შედეგს ხალხი აიძულებს. ჩვენს არენაზე არ მოდის ხალხი, მაგრამ რეგიონებში, სადაც ჩავდივართ, მოსახლეობას ძალიან უყვარს ფეხბურთი. როდესაც ხალხს ეცოდინება, რომ თუ გუნდს ინფრასტრუქტურა არ ექნება და ამიტომ შეიძლება მოხსნან უმაღლესი ლიგიდან, ის აიძულებს ადგილობრივ მუნიციპალიტეტს, გააკეთოს სათანადო მოედანი. სხვანაირად ვერ განვვითარდებით, როგორ შეიძლება უკონკურენტოდ იყო. დღეს არის რამდენიმე გუნდი, იგივე გორის „დილა“, ბათუმის „დინამო“, რომლებიც ლიდერის ხასიათს ავლენენ, მაგრამ, სამწუხაროდ, მსაჯთა შეცდომები არანაკლებ დისკომფორტში გაყენებს. ცალკეული ადამიანების საქციელი, შენ ამდენი ფული უნდა მიიტანო ფეხბურთში, "ქუხილავებმა" კი არასწორად უნდა დაფსტვინონ. ფეხბურთის ფედერაციის ცვლილებები ძალიან ბევრ რაღაცას შეეხება, ბევრი რამე შეიცვლება.

**- „დინამომ“ ბევრი მწვრთნელი შეიცვალა. გეგუჩაძის მუშაობას კარგი შეფასება და გაშუქება აქვს. იპოვეთ ის მწვრთნელი, ვინც გჭირდებოდათ?**

- არ მინდა ვინმეს ვაწყენინო, მაგრამ მიმაჩნია, რომ გეგუჩაძე ის მწვრთნელია, რომელმაც უნდა გაწვრთნას „დინამო თბილისი“. თუ გეგუჩაძე არა, მაშინ უნდა ვიფიქრო უცხოელ მწვრთნელზე. კომფორტი მაქვს გეგუჩაძესთან. ვმსჯელობთ სხვადასხვა საკითხებზე, მე ჩემს აზრს ვამბობ, იმედი მაქვს, ის გაგებით ხვდება ამას. არის შტაბი და იქ განვიხილავთ. გეგუჩაძის ხელწერა დაეტყო გუნდს. ალბათ, ცოტა ადრე რომ გადამეწყვიტა, უფრო წაადგებოდა თბილისის „დინამოს“.

**- თქვენ იყავით ერთ-ერთი პირველი, ვინც 13 ივნისის სტიქიით დაზარალებულებს დაეხმარა და ბინები შეუძინა. მსგავსი ქველმოქმედება თქვენგან პირველი არ ყოფილა. სოციალურად ძალიან აქტიური ხართ, რამ განაპირობა ეს?**

- მე ძალიან კარგად ვიცი, რას ნიშნავს საცხოვრებელი სახლის დაკარგვა, მით უმეტეს, თუ რაღაც პატარა ძაფი გაკავშირებს ამ საცხოვრებელთან და ისიც იკარგება. ეს ხალხი ყველაზე დაუცველი აღმოჩნდა. ვიცი ეს პრობლემა, აფხაზეთიდან ვარ. ჩვენ დავკარგეთ სახლ-კარი და არამარტო ჩვენ. 300 ათასზე მეტი ადამიანი გახლავთ დევნილი, რომელიც იძულებით გადაადგილებაში იმყოფება. ზოგი შეეჩვია ამ ვითარებას, ზოგი ვერა, ზოგი კარგად ცხოვრობს, მაგრამ ვერ ეჩვევა. ყველას თავისი ვითარება, ნაცნობობა, ოჯახი და ადგილი აქვს. მამაჩემი გაგრაშია დასაფლავებული. რამდენჯერმე შემოგვთავაზეს გადმოსვენება. ეს წარმოუდგენელი რაღაცაა. ამის გაკეთება ჩემთვის აფხაზეთის საბოლოოდ დაკარგვას ნიშნავს. ბევრჯერ შემომთავაზეს სასაფლაოს მონახულება ლესელიძეში, მაგრამ სხვა ადამიანებმა რა დააშავეს? ძალიან მიყვარს მამაჩემი, ჩემთვის ყველაზე დიდი ადამიანი იყო. ჩვენ უნდა დაველოდოთ, როცა ყველას ერთად გვექნება საშუალება, მოვინახულოთ ის ადგილები და პატივი მივაგოთ მათ, ვინც იქ განისვენებს. რაც შეეხება ამ ამბავს, არ მიფიქრია. კარგად იცით, პიარი ჩემი თემა არაა. პირველი, რაც გამახსენდა, იყო უბედურება. ვთქვი, რომ ამის გაკეთება მსურს და მინდოდა, ამით მაგალითი მიმეცა სხვებისთვის. ცხოვრებაში მაგალითი ძალიან მნიშვნელოვანია. მეც ძალიან ბევრ მაგალითს ვიღებ, რაც მომწონს. თუ ადამიანს რაღაც სწყინს და უხარია, ის აუცილებლად ითვისებს კარგ მაგალითს. ეს ჩემთვის ბრიფინგი არ ყოფილა, გულის ძახილი იყო, ჩვენი ვალია და ვისაც აქვს შესაძლებლობა, უნდა დაეხმაროს. ეს დაუწერელი კანონია, რომელიც ყველა ჩვენგანმა უნდა დაიცვას.



**„მე ძალიან კარგად ვიცი, რას ნიშნავს საცხოვრებელი სახლის დაკარგვა, მით უმეტეს, თუ რაღაც პატარა ძაფი გაკავშირებს ამ საცხოვრებელთან და ისიც იკარგება“**

EXCLUSIVE

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „ბავშვები სუფთა იბადებიან, ადა

**my View**
**ნინო მჭედლიშვილი**

**„როცა გზაზე ადამიანები ხშირად აღარ დადიან, გზამაც მოწყენა იცის. თანდათან ბელტდება და ვიწროვდება. მერე კი სულაც ნაგზევი ხდება და ემატება იმ სიტყვებს, როგორიცაა: ნასოფლარი, ნასაყდრალი, ნასახლარი, ნაფუძარი, ნაცოლარი, და ვინ იცის, კიდევ რამდენი სიტყვა შეემატოს ამ სიტყვებს, ვინ გაიგებს, როგორ ქარს წამოუბერავს ზენაარი დედამიწაზე, თუ ადამიანები საერთოდ დაივიწყებენ ისეთ სიტყვას, როგორიცაა - სიყვარული!“ - წერს გოდერძი ჩოხელი „სიყვარულის ცეცხლში“... სიყვარული კი ბევრი დატოვა. იმდენი, ყველას რომ ეყოს, ყველას რომ ახსოვდეს და უყვარდეს მისი შემოქმედება, მისი პროზა, ფილმები...**

2 ოქტომბერს, მწერლის დაბადების დღეს, „ახმეტელის თეატრმა“ 35-ე სეზონი გახსნა. სპექტაკლი გოდერძი ჩოხელის მოთხრობების მიხედვით პირველად დაიდგა ქართულ თეატრში. „ბედისწერის თეატრი“ ირაკლი გოგიამ და ლაშა გოგნიაშვილმა განახორციელეს (ინსცენირება საბა მეტრეველისა).

ადამიანთა დარდისა და სევდის შემგროვებელი, ამქვეყნად მოსვლის მიზანზე ჩაფიქრებული გოდერძი ჩოხელი გუდამაყრიდან, ამ მიკროსივრციდან, ხედავს მთელ სამყაროს და გვესაუბრება იმ მთავარ ფასეულობებსა და ღირებულებებზე, რომელთა გარეშეც ადამიანს გაუძნელდება არსებობა. სიკეთე, რწმენა, ღირსება, სიყვარული, ერთგულება და ბავშვური გულუბრყვილობა-ალალმართლობა თან სდევს ბედისწერის ამ თეატრში მოფუსფუსე პერსონაჟთა ცხოვრებას.

მწერლის დაბადების დღეს თეატრის ფოიეში გაიხსნა ფოტოგამოფენა - „გოდერძი ჩოხელი გადასაღებ მოედანზე“ - ფოტოები, აფიშები უნიკალური ავტოგრაფებით... ახმეტელის თეატრის მაყურებელს მთელი სეზონის განმავლობაში მისი დათვალიერების საშუალება ექნება.

პრემიერის შემდეგ მსახიობებს, მაყურებელს, მწერლის გახსენება ვთხოვეთ.

**კახი კავსაძე:**

- დამაფიქრა... სხვანაირია გოდერძი, არ არის ისეთი, როგორსაც ვხედავთ ჩვენ ყოველდღიურობაში ადამიანებს. კარგი რეჟისორები არიან, კარგ ტონში მიდის სპექტაკლი, კარგი არტისტები თამაშობენ. კარგი შთაბეჭდილება დატოვა ამ დასმა ჩემზე... გოდერძი ჩემი და გივის ძალიან ახლო მეგობარი იყო. რომ გავიგეთ მისი ნაწარმოები იდგმებოდა, სახლში რა გამაჩერებდა.

**- თქვენ რას სთხოვთ მართას ანგელოზს?**

- რომ ჩემიანები კარგად იყვნენ, ჩემი სამშობლო ვნახო გაბრწყინებული. სიძულვილი ზეობს. რამ გადაარჩინა საქართველო? სიყვარულმა. დაავიწყდათ სიყვარული. ამას ვთხოვდი, სიყვარული იყოს ქვეყანაში.

**გივი ბერიკაშვილი:**

- იყოს არა, იქნება!

**- თქვენ რას გვეტყვით, ბატონო გივი, სპექტაკლზე, მწერალზე...**

- რეჟისორმა გოდერძი გაგვიცოცხლა დღეს. დამაბრუნა იმ დროში, როცა ჩვენ ერთმანეთი გავიცანით და რაღაცნაირად შევიკარით, ერთმანეთის გარეშე ნაბიჯს აღარ ვდგამდით. მე და კახი დაგვჩაგრა განგებამ, იმიტომ რომ, გოდერძი აღარ არის. ის რომ გვყოლოდა, კიდევ ბევრ კარგ საქმეს გავაკეთებდით ერთად. ბევრ სპექტაკლს დავდგამდით ერთად.









**კახი კავსაძე: „გოდერძი ჩემი და გივის ძალიან ახლო მეგობარი იყო“**

**„ხშირად გარბიან ადამიანები იქიდან, სადაც სიკვდილი ეგულებათ და იქით კი მირბიან, სადაც სინამდვილეში ელოდება ის“**





**„გოდერძი იმისთანა კაცია, მკერდში, ნეკნებში ჩაგიყოფს ხელს, გულს ამოგიღებს, გაგიწურავს და ცხარე ცრემლით გატირებს, დიდი, უზარმაზარი კურცხლებით გაბღავლებს“**

**ნანა შონია:**

- ჩემთვის ყოველთვის ამაღელვებელია, როცა სხვის თეატრს ვესწრები, სხვა თეატრში. ამიტომ ვერ ვარ ხოლმე ობიექტური. რაღაცნაირად მსახიობების ტყავში შევდივარ, განვიცდი იმას, რასაც მსახიობები განიცდიან... არაჩვეულებრივი ავტორია, კარგი შთაბეჭდილების ქვეშ ვარ, ჯერ ვერც ვალაგებ სიტყვებს, რა უნდა ვთქვა. ვულოცავ რეჟისორსაც და მსახიობებსაც პრემიერას.

**ბექნუ ქაფიანიძე:**

**- ყველასთვის საყვარელ მწერალს შეეხეთ, რა შეგრძნება იყო, როცა ამ სპექტაკლზე მუშაობდით, რამდენად ფრთხილი იყო დამოკიდებულება თქვენი მხრიდან?**

- უზომო ნერვიულობის ფასად დამიჯდა ეს ყველაფერი. გოდერძი, ნინო, ლუკა და ნიკა ჩემი ოჯახის წევრები არიან. მინდოდა გამოსულიყო ის, რაც ჩაფიქრებული გვქონდა ყველას. მამაჩემი და გოდერძი უახლოესი მეგობრები იყვნენ, ძალიან დიდი სიყვარული ჰქონდათ ერთმანეთის. მე და გოდერძის შვილები, ლუკა და ნიკა ერთად გაზრდილები ვართ. ძალიან ახლობელი იჯახია ჩემთვის.

**- რა შეგიძლია გაიხსენო თავად მწერალზე?**

- დიდი სიყვარულით იყო გამსჭვალული ყველას მიმართ და ჩემ მიმართაც. გამორჩეულად ვუყვარდი, თბილ სიტყვებს მეუბნებოდა, საოცარი მოფერება იცოდა. განსაკუთრებული სიყვარული ჰქონდა დედის. მე 14 წლის ასაკში გარდამეცვალა დედა და, ალბათ, ესეც განაპირობებდა მის



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# მიანებს მერე გვემღვრევა სული“








**გივი ბერიკაშვილი: „მე და კახი დაგვჩაგრა განგებამ, იმიტომ რომ, გოდერძი აღარ არის“**

# გოდერძი ჩოხელი

EXCLUSIVE










თანაგრძნობას და სიყვარულს ჩემ მიმართ. უზომოდ თბილი ადამიანი იყო... ჩემი პერსონაჟი ამ სპექტაკლში არის მწერალი, მაგრამ არავითარ შემთხვევაში გოდერძი ჩოხელი. მე ვერც და არც ვითამაშებდი გოდერძი ჩოხელს. არც იქნებოდა სწორი, მისი ტიპაჟი გაეცოცხლებინა ვინმეს. მე ვიყავი მწერალი, რომელსაც გოდერძის სათქმელი მაყურებლამდე მიაქვს.

**გია ჯაფარიძე:**

- შესანიშნავი კინორეჟისორია, დიდებული ადამიანი, მაგრამ კიდევ უფრო დიდია, როგორც მწერალი. გოდერძი იმისთანა კაცია, მკერდში, ნეკნებში ჩაგიყოფს ხელს, გულს ამოგიღებს, გაგიწურავს და ცხარე ცრემლით გატირებს, დიდი, უზარმაზარი კურცხლებით გაბღავლებს. დიდებული შემოქმედია, მას, როგორც კარგ ღვინოს, დროთა განმავლობაში უფრო დაედება ფასი.

**- იყო, ცრემლები რეპეტიციების დროს?**

- აბა რა. ის ადამიანები, რომლებიც მთაში იბადებიან და უზარმაზარი სიწმინდითა და სისუფთავით მოდიან ქალაქში, აუცილებლად აგატირებენ. ძალიან ძნელად შეეგუა ქალაქს. ხშირად ვადარებ გოდერძის ვაჟა-ფშაველას. ისიც თბილისში გარდაიცვალა და გოდერძიმაც ვერ გაუძლო ქალაქს. სხვანაირი ცხოვრებაა მთაში, ცისფერი, გამჭირვალე, ამაღლებული. ეს ცხოვრება ჩამოიტანა გოდერძიმ ქალაქში, როგორც ვაჟას ჩამოჰქონდა ხოლმე. ვაჟა იყო გოდერძი ჩოხელის სული და ასე მგონია, რასაც დღეს მე ამ სცენაზე ვთამაშობ, არის ვაჟას სული გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში.

**- ალბათ, ფრთხილად ეკიდებოდით ამ როლს...**

- რა თქმა უნდა, ქართველი მაყურებელი, მკითხველი გოდერძის ძალიან კარგად იცნობს. ვიცოდი, რომ დღეს სწორედ ნაღები საზოგადოება მოიყრიდა პრემიერაზე თავს. მათ წინ დგომა, სცენიდან მორალის კითხვა, ცოტა რთულია თუ მართლა დარწმუნებული არ ხარ საკუთარ თავში. დღეს უდიდესი ძალა გვქონდა თითოეულ ჩვენგანს, ჩვენ მხარეს იყო გოდერძი ჩოხელი (იღიმება).

„რაა სიკვდილი? - ზოგისთვის წამი, ზოგისთვის მთელი ცხოვრება. ზოგი დაბადებიდან გრძნობს თანდაყოლილ სიკვდილს და მანამდე აწვალებს ამის შიში, სანამ სულ-ხორცი არ გაეყრება ერთიმეორეს“; „ხშირად გარბიან ადამიანები იქიდან, სადაც სიკვდილი ეგულებათ და იქით კი მირბიან, სადაც სინამდვილეში ელოდება ის“... ეს არის გოდერძი ჩოხელი, სევდით, ტკივილით, ადამიანთა დარდითა და დიდი სიყვარულით...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

PRIME Time

N39 (340) ორშაბათი, 5 ოქტომბერი, 2015 წ.

ყოველკვირეული გაზეთი

ფასი 2 ლარი

www.ptpress.ge



ნიკოლოზ დავლიანიძე: „მეოთხედფინალში ქართველებიდან მხოლოდ მე ვიყავი დარჩენილი და ძალიან გამიჭირდა“

## ოლიმპიური ფესტივალის მეოთხედფინალისტს ბიზნესმენებმა დაფინანსებაზე უარი უთხრეს



„ასაკობრივი სხვაობა ცოლიდან ცოლამდე იზრდება. პირველზე ხუთი წლით უფროსი ვიყავი, მეორეზე - ცხრა წლით, მესამეზე - ჩვიდმეტი წლით უფროსი ვარ. მე არ ვბერდები, ახალგაზრდა ვრჩები“

exclusive

## დათო ევგენიძის ცხოვრებისეული გამოცდილება

# exclusive



# გოდერძი ჩოხელი

## „ბავშვები სუფთა იბადებიან, ადამიანებს მერე გვემღვრევა სული“

exclusive

ISSN 1987-7404

9 771987 740005

შპს „ასავალ-დასავალის სტამბა“



## დააბრუნებენ თუ არა ძველ კატოს „ჩემი ცოლის დაქალებში“

„ძალიან მალე გაირკვევა ყველაფერი...“



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება